

მსხლის ქართული ჯიშების და მათი ველური წინაპრის - პანტის (*Pyrus caucasica* Fed.) მრავალფეროვნების და მოშინაურების პროცესის
შესწავლა.

ზეზვა ასანიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სიცოცხლის
შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა
სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ახალკაცი,
ბიოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა
და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს,
პროფესორ დავით თარხნიშვილს,
ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის
ზეზვა ასანიძის

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - „მსხლის ქართული
ჯიშების და მათი ველური წინაპრის - პანტის (*Pyrus caucasica* Fed.)
მრავალფეროვნების და მოშინაურების პროცესის შესწავლა“ ავტორი, ვაცხადებ, რომ
ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების
მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად
წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული
სათანადო წესების შესაბამისად.

ზეზვა ასანიძე

07/20/15

მადლობა

სადოქტორო კვლევის პროექტის განხორციელების და თეზისის მომზადების პროცესში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით:

ჩემს მიერ შესრულებული სადოქტორო კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ მაია ახალკაცს კვლევით ჯგუფში ჩართვის, კვლევის პროცესისთვის სწორი მიმართულების მიცემის, პუბლიკაციებში თანაავტორობის და ყველა რეკომენდაციისთვის, რამაც დაგეგმილი სადოქტორო კვლევის განხორციელება რეალური გახდა.

პროფესორ დავით თარხნიშვილს რეკომენდაციების მოცემისთვის, რაც მნიშვნელოვნად დამეხმარა გენეტიკური კვლევის მონაცემების გაანალიზებაში და ინტერპრეტაციაში.

პროფესორ ოთარ აბდალაძეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტში მცენარეთა ეკოლოგიის კვლევით ჯგუფში თანამშრომლად მიწვევისთვის, რამაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ჩემი სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის.

სადოქტორო კვლევის პროექტის პროსპექტუსის რეცენზენტს, პროფესორ მარინე მოსულიშვილს. მისი რეკომენდაციების და შენიშვნების საფუძველზე მოწესრიგდა სადოქტორო კვლევის ტაქსონომიური ნაწილი.

პუბლიკაციის Asanidze et al., (2014) უცხოელ თანაავტორებს: გილ ვოლკს, კრისტოფერ რიჩარდსს და ადამ ჰენკს განხორციელებული კვლევის გენეტიკურ ნაწილში კოლაბორაციისთვის.

ასევე მსურს მადლიერება გამოვთქვა დოქტორ მირიან გვრიტიშვილის მიმართ, ვინც კვლევის იდეის ერთ-ერთი ავტორი, მორფოლოგიური მეთოდებით განხორციელებული კვლევის თანაავტორი და ველზე ჩატარებული სამუშაოების დამგეგმავი იყო.

დოქტორ ლევან მუმლაძეს საველე და სტაციონარულ კვლევებში გაწეული დახმარებისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევის განყოფილების თანამშრომელს, უფროს ლაბორანტ - ნათია ჩიხელიძეს საველე და სტაციონარულ კვლევებში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი

სქემების, ცხრილების და სურათების ჩამონათვალი:.....	3
შემოკლებების ჩამონათვალი:.....	5
რეზიუმე	8
საკვანძო სიტყვები.....	9
თავი 1. შესავალი	12
თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	16
2.1. მსხლის გვარის კვლევის ისტორია და თანამედროვე სისტემა.....	16
2.2. პალეოლოგიური მონაცემები მსხლის გვარის განვითარებაზე სამხრეთ კავკასიაში	20
2.3. მსხლის გვარის ზოგადი დახასიათება და ფილოგენია.....	26
2.4. მსხლის გვარის გავრცელება.....	31
2.5. მსხლის კულტურის მნიშვნელობა და ისტორია	33
2.6. საქართველოში გავრცელებული მსხლის სახეობები და ადგილობრივი ჯიშები..	35
თავი 3. კვლევის აქტუალობა	41
3.1. კვლევის აქტუალობა ზოგადი თვალსაზრისით.....	41
3.2. კვლევის აქტუალობა საქართველოში	44
თავი 4. მასალა და მეთოდები.....	45
4. 1.მორფოლოგიური ანალიზი.....	45
4.1.1. მცენარეული მასალა მორფოლოგიური კვლევისთვის.....	45
4.1.2. ნიმუშების შეგროვება მორფოლოგიური ანალიზისთვის და საველე კვლევა.....	52
4.1.3. დესკრიპტორული ანალიზი.....	55
4.1.4. მორფომეტრიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.....	60
4.2. გენეტიკური კვლევის მეთოდები.....	62
4.2.1. მცენარეული მასალა გენეტიკური კვლევისთვის და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.....	62
4.2.2. საველე ნიმუშების შეგროვების და შენახვის მეთოდი მოლეკულური ანალიზისთვის	69
4.2.3. ნიმუშების მომზადება მოლეკულური შესწავლისთვის.....	72

4.2.4. დნმ-ის ექსტრაქციის მეთოდი.....	73
4.2.5. ექსტრეტირებული დნმ-ის გელ-ელექტროფორეზი	77
4.2.6. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია და გამოყენებული მიკროსატელიტური მარკერები	80
4.2.7. PCR - პროდუქტების გელ-ელექტროფორეზი და სექვენირება	83
4.2.8. გამოუქვეყნებელი გენეტიკური მონაცემები	83
4.3. ნაპრალების ანალიზი (გეპ-ანალიზი)	89
4. 3. 1. ნაპრალების ანალიზის მეთოდი	90
4.3.2. მასალები ნაპრალების ანალიზისთვის	94
თავი 5. შედეგები	95
5.1. მორფოლოგიური კვლევის შედეგები	95
5.2. გენეტიკური კვლევის შედეგები	109
5.3. ნაპრალების-ანალიზის შედეგები	121
თავი 6. განხილვა	125
თავი 7. დასკვნები	138
გამოყენებული ლიტერატურა:	140
დანართი	151

სქემების, ცხრილების და სურათების ჩამონათვალი:

სურათი 1.	თანამედროვე (A) და ნამარხი (B) პანტის (<i>P. caucasica</i>) თესლები.	გვ 22
სურათი 2.	პანტის ფოთლები.	გვ 23
სურათი 3.	მორფომეტრიული ანალიზისთვის გადაღებულ ფოთლების ციფრული ფოტოსურათის ნიმუში	გვ 54
სურათი 4.	გელზე გამომჟღავნებული დნმ-ის ფრაგმენტების მაგალითი	გვ 79
სქემა 1.	აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული აღჩაგილური ფლორის განლაგება.	გვ 24
სქემა 2.	პანტის (<i>P. caucasica</i>) და ტყის მსხლის (<i>P. pyrastrer</i>) არეალების ზოგადი მოდელი	გვ 37
სქემა 3.	ველური მსხლების ნიმუშების შეგროვების ადგილები	გვ 49

	საქართველოში	
სქემა 4.	მორფომეტრიული პროგრამა - Shape 1.3-ით განხორციელებული გარდაქმნა	გვ 58
სქემა 5.	მოლეკულების ფრაგმენტების ზომის ინდიკატორი	გვ 78
სქემა 6.	მსხლის ველური სახეობების და ჯიშების 239 ინდივიდის DFA -ს დისპერსიის სქემები (A, B)	გვ 104-106
სქემა 7.	HCA დენდროგრამა	გვ 110
სქემა 8.	მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა, (ტაქსონური ჯგუფები)	გვ 111
სქემა 9.	მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა, (გენეტიკური დისტანციები)	გვ 112
სქემა 10.	პოპულაციათა რაოდენობის ალბათობა.	გვ 114
სქემა 11.	გენოფონდის სტრუქტურული ანალიზის შედეგი.	გვ 116
სქემა 12.	მორფოლოგიურად ვალიდურ ტაქსონებში კლასტერული ანალიზით გამოვლენილი 7 სტრუქტურული ჯგუფის ურთიერთკავშირის ამსახველი დენდროგრამა.	გვ 117
სქემა 13.	საქართველოში შეგროვილი და NCGR მონაცემთა ბაზებიდან აღებული ველური და კულტურული მსხლების ყველა ტაქსონის მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა	გვ 120
სქემა 14.	პანტების არეალი	გვ 123
ცხრილი 1.	აღზარდილი ფლორის ელემენტები	გვ 24
ცხრილი 2.	ნიმუშებად აღებული მსხლის ჯიშების ნუსხა და შეგროვების ადგილები	გვ 46
ცხრილი 3.	დესკრიპტორული მეთოდით განსაზღვრული მორფოლოგიური ნიშნების ნუსხა	გვ 55
ცხრილი 4.	საქართველოში შეგროვილი ველური მსხლების ნიმუშები, გამოყენებული გენეტიკური კვლევებისათვის.	გვ 62
ცხრილი 5.	გენეტიკურ ანალიზში ჩართული მსხლის სახეობები NPGS კოლექციიდან	გვ 64
ცხრილი 6.	საქართველოში ნიმუშად აღებული მსხლის ჯიშები	გვ 66
ცხრილი 7.	მსხლის ტაქსონების გენეტიკურ ანალიზში გამოყენებული ლოკუსების მახასიათებლები	გვ 79
ცხრილი 8.	NGCPR-ს კოლორადოს ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის ლაბორატორიული მეთოდი	გვ 82
ცხრილი 9.	კულტურული მცენარეების ველური ნათესავების	გვ 94

	(CWRs) საკონსერვაციო პრიორიტეტულობის ანგარიშის სისტემა	
ცხრილი 10.	ერთ-ფაქტორიანი ვარიანსას ანალიზის შედეგები	გვ 96
ცხრილი 11.	ფოთლის ნაყოფის და ღეროს კატეგორიული (ხარისხობრივი) ცვლადების სტატისტიკური ანალიზის შედეგები.	გვ 98
ცხრილი 12.	ფოთლის და ნაყოფის ოთხი ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი დესკრიპტორული ნიშანის განაწილების სიხშირე	გვ 100
ცხრილი 13.	DFA -ს შედეგები	გვ 102
ცხრილი 14.	239 ინდივიდის კლასიფიკაცია	გვ 103
ცხრილი 15.	გენეტიკური სხვაობა <i>P. caucasica</i> -ს, <i>P. pyraster</i> -ს და <i>P. salicifolia</i> -ს შორის.	გვ 104
ცხრილი 16.	გენეტიკური სხვაობა <i>P. caucasica</i> -ს საქართველოში შეგროვილ და NPGS ბაზიდან აღებულ ნიმუშებს შორის.	გვ 112
ცხრილი 17.	გენეტიკური სხვაობა მსხლის ჯიშებსა და <i>P. caucasica</i> -ს საქართველოში შეგროვილ ნიმუშებს შორის.	გვ 113
ცხრილი 18.	ნაპრალური-ანალიზით <i>P. caucasica</i> -ს შეფასების შედეგები.	გვ 124

შემოკლებების ჩამონათვალი:

თეზისის ზოგადი და მორფოლოგიური ნაწილი:

AFLP - ამპლიფიცირებული ფრაგმენტების სიგრძეთა პოლიმორფიზმი (Amplified fragment length polymorphism)

ANOVA – ვარიანსას ანალიზი (Analysis Of Variance)

CWRs - კულტურული მცენარის ველური ნათესავები (Crop Wild Relatives)

DFA - დისკრიმინანტული ფუნქციების ანალიზი (Discriminant Function Analysis)

GP - გენოფონდი (Gene pool)

HCA - იერარქიული კლასტერული ანალიზი (Hierarchical Cluster Analysis)

IBPGR/BI - მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო საბჭო (International Board for Plant Genetic Resources/Biodiversity international)

IHVO - მეხილეობის, მეღვინეობის და მევენახეობის ინსტიტუტი (Institute of Horticulture, Viticulture and Oenology).

IUCN - გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Union for Conservation of Nature)

NCGR - ამერიკის ეროვნულ კლონური გენოფონდის საცავი (National Clonal Germplasm Repository).

NPGPR - ამერიკის ეროვნული მცენარეთა გენოფონდის შენარჩუნების და კვლევის მოდული (National Plant Germplasm Preservation Research unit).

NPGS - ამერიკის ეროვნული მცენარეთა გენოფონდის სისტემა (National Plant Germplasm System).

PCA - პრინციპულ კომპონენტთა ანალიზი (Principal Component Analysis)

TBI - თბილისის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის) ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმის საერთაშორისოდ მიღებული აკრონიმი (Tbilisi Botanic Institute)

TG – ტაქსონური ჯგუფი (Taxon Group)

UPOV - მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის კავშირი (Union for the Protection of New Varieties of Plants)

პროგენიტორი - ცოცხალი ორგანიზმის გენოფონდის შემქმნელი წინაპარი ან მისგან ტაქსონომიური საზღვრით გამიჯნული ნათესავი

თეზისის გენეტიკური ნაწილი:

CTAB - ცეტილ-ტრიმეთილ-ამონიუმ-ბრომიდი $((C_{16}H_{33})N(CH_3)_3Br$ (ბუფერული ხსნარი)

dd H₂O - დისტილირებული (მარილებისგან თავისუფალი) წყალი

dNTP - დეოქსინუკლეოზიდ ტრიფოსფატი. N მიუთითებს ნებისმიერ ფუძეს ბაზალური წყვილებიდან (მაგ.: dTTP - 2'-დეოქსითიმიდინ-5'-ტრიფოსფატი; dATP 2'-დეოქსი ადენოზინ-5'-ტრიფოსფატი და ა.შ.)

EDTA - ეთილენ-დიამინ-ტეტრააცეტატის მჟავა (ბუფერული ხსნარი)

HCl- მარილმჟავა

KCL - კალიუმის ქლორიდი

M - მოლარობა (ნივთიერების კონცენტრაცია გამოხატული გრამების რაოდენობით ერთ ლიტრ ხსნარში, რომელიც ჯერადია ნივთიერების მოლეკულური მასისა)

MgCl₂- მაგნიუმის ქლორიდი

mM - მილიმოლი ($=10^{-3}$ მოლ/ლ)

NaCL - ნატრიუმის ქლორიდი

PCR - პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია (Polymerase chain reaction)

RNAse - რნმ-აზა (რნმ-ის [რიბოქსირიბონუკლეინის მჟავის] დამშლელი ფერმენტი)

SSR/SSRs - მიკროსატელიტური მარკერი/მარტივი ფრაგმენტული თანმიმდევრობა (Simple sequence repeats)

TAE - ტრის-აცეტატ-EDTA (ბუფერული ხსნარი)

TE - ბუფერული ხსნარი (1M ტრის-HCl (pH $\approx$ 8.0), 0.1M EDTA)

μ l - მიკრო ლიტრი ($=10^{-6}$ ლ)

დნმ - დეოქსირიბონუკლეინის მჟავა

რეზიუმე

მოცემულ კვლევაში მორფოლოგიური და გენეტიკური მეთოდებით გამოკვლეული იქნა ნათესაური კავშირები მსხლის ველურ სახეობებს და კულტურულ ჯიშებს შორის. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მსხლის ევროპული და კავკასიური ჯიშების ორი მთავარი პროგენიტორ სახეობას *Pyrus caucasica* Fed. (*P. communis* L. subsp. *caucasica* (Fed.) Browicz) და *Pyrus pyraster* Burgsd. (*P. communis* L. subsp. *pyraster* (L.) Ehrh) და საქართველოში გავრცელებული მსხლის ჯიშებს შორის ნათესაური კავშირების გამოვლენა; პანტის (*P. caucasica*) შიდაპოპულაციური მრავალფეროვნების დადგენა; მსხლის საქართველოში გავრცელებული ჯიშების მრავალფეროვნების და წარმოშობის პროცესის შესწავლა.

მორფოლოგიურ კვლევაში მსხლის 27 ადგილობრივი ჯიშის 78 ინდივიდი და 12 შემოტანილი ჯიშის 25 ინდივიდი (ჯამში 39 ჯიშის 103 ინდივიდი) შედარდა პროგენიტორ სახეობებს *P. caucasica*-ს, *P. balansae*-ს და *P. pyraster*-ს (N=112). სახეობებსა და ჯიშებს შორის ნათესაური კავშირები დაზუსტდა კულტურული მსხლის ჯგუფთან შორეული ნათესაობის მქონე ველური მსხლების სახეობების (*P. demetrii*, *P. georgica*, *P. syriaca*, *P. ketzkhovelii*, *P. sachokiana*) კვლევაში ჩართვით. მსხლის ტაქსონების კვლევა განხორციელდა 27 დესკრიპტორული მორფოლოგიური ნიშნის მორფომეტრიული ანალიზით.

223 ინდივიდის [*P. caucasica* (N=73), *P. balansae* (N=9), *P. salicifolia* (N=15), *P. demetrii* (N=5), *P. ketzkhovelii* (N=4), *P. sachokiana* (N=5), *P. syriaca* (N=4), NCGR *P. communis* subsp. *caucasica* (N=42); NCGR *P. communis* subsp. *pyraster* (N=31, ICV, (N=11) LCV, (N=12) (HCV, N=12)] გენეტიკური კვლევა განხორციელდა 11 მიკროსატელიტური მარკერით: GD12, GD96, GD142, GD147, CH01D08, CH01D09, CH01F07A, CH02B10, CH02D12, CH01h01, NH015a.

კვლევის შედეგად დადასტურდა რომ, პანტა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ერთგვაროვანი არ არის. პანტა, რომელიც მცირე კავკასიონზე და დიდი

კავკასიონის დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული, აღმოჩნდა საქართველოს ფლორისთვის ნაკლებად ცნობილი პანტის მონათესავე განსხვავებული სახეობა - *P. balansae*, ხოლო კავკასიური პანტა (*P. caucasica*) მხოლოდ დიდი კავკასიონის ცენტრელურ და აღმოსავლეთ ნაწილებში გვხვდება. საქართველოში გავრცელებული მსხლის ჯიშებს და ველური მსხლის სახეობებს შორის ადგილი აქვს გენთა გაცვლას, თუმცა ბერყენა მსხლების სახეობების გენები მსხლის ჯიშების გენოფონდში არ ფიქსირდება, რადგან ბერყენები პანტის (*P. caucasica*) გენების რეციპიენტები არიან და არა პირიქით; მორფოლოგიური და გენეტიკური კვლევების შედეგები ერთმანეთს დაემთხვა. ორივე კვლევის შედეგმა უჩვენა, რომ *P. caucasica*-სთან ახლო ნათესაურ კავშირში არიან „პანტა მსხლების“ და „კალოს მსხლების“ ჯგუფის ჯიშები. „ხეჩეჭური მსხლების“ და „გულაბი მსხლების“ ჯგუფების მსხლის ჯიშებმა შუალედური პოზიცია დაიკავეს მსხლის ჯიშების ორ პროგენიტორს - *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ს შორის, რაც მიუთითებს მათ შედარებით თანამედროვე პერიოდში შეჯვარების გზით წარმოშობაზე, ხოლო პანტის სელექციური ჯიშების პრეისტორიულ წარმოშობაზე; კვლევის შედეგების საფუძველზე განისაზღვრა *P. caucasica*-ს არეალი და დადგინდა, რომ იგი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე აქამდე იყო მიჩნეული. თეზისში აღწერილი კვლევის შედეგებით შესაძლებელია საქართველოში გავრცელებული მსხლის ჯიშების და მათი ველური პროგენიტორების ნომენკლატურის კორექტირება.

საკვანძო სიტყვები: გვარი *Pyrus*, საქართველო; დომესტიკაცია; მრავალფეროვნება, კულტურული მცენარის ველური ნათესავები; მორფომეტრია; მიკროსატელიტური მარკერები; *P. caucasica* Fed.; მსხლის ჯიშები; არეალი, კონსერვაცია.

Abstract

In the present study relationship between major progenitor species of pear varieies distributed in Georgia has been studied. A major aims of the research were: To study relationship between progenitor species *Pyrus caucasica* Fed. (*P. communis* L. subsp. *caucasica* (Fed.) Browicz), *Pyrus pyrastrer* Burgsd. (*P. communis* L. subsp. *pyrastrer* (L.) Ehrh) and cultivated pears of Georgia; To indicate population diversity of local pear progenitor wild species *P. caucasica* which is endemic to Caucasus and diversity of local and introduced pear varieties; To reveal process of hybridization between wild pears of Georgia and determine influence of this process on gene pool of cultivated pears of Georgia and to study the domestication processes of local pears.

In a morphological study 78 individuals of 27 local pear cultivars and 25 individuals of 12 introduced cultivars were compared to most common progenitor species: *P. caucasica* and *P. pyrastrer* (N=112). A relationship between cultivars and wild progenitors has been verified by involving the distant group of semi-arid habitat pear species (*P. demetrii*, *P. georgica*, *P. syriaca*, *P. ketzkhoveli*, *P. sachokiana*) in the study as an out group. Morphological study was performed by morphometric measurement of 27 descriptor traits of the pears.

223 individuals of wild and cultivated pears [*P. caucasica* (N=73), *P. balansae* (N=9), *P. salicifolia* (N=15), *P. demetrii* (N=5), *P. ketzkhoveli* (N=4), *P. sachokiana* (N=5), *P. syriaca* (N=4), NCGR *P. communis* subsp. *caucasica* (N=42); NCGR *P. communis* subsp. *pyrastrer* (N=31, ICV, (N=11) LCV, (N=12) (HCV, N=12)] were studied genetically based on 11 microsatellite markers: GD12, GD96, GD142, GD147, CH01D08, CH01D09, CH01F07A, CH02B10, CH02D12, CH01h01, NH015a.

The results of the study showed that: population of *P. caucasica* is not morphologically uniform in Georgia. Populations of this wild progenitor of pears located on the lesser Caucasus and western part of the greater Caucasus is different from *P. caucasica*. Different populations of *P. caucasica* were recognized as *P. balansae* which is also

mesophytous but less known species in the flora of Georgia; *P. caucasica* and *P. balansae* are morphologically and genetically very close relatives to of indigenous pear cultivars of Georgia “Panta Pears” and “Kalo Pears”, the other two groups of local pears “Khechechuri pears” and “Gulabi pears” showed intermediate morphological and genetic relationship between the both of major progenitors of European and Caucasian pears: *P. caucasica* and *P. pyraster*. We assume that “Khechechuri pears” and “Gulabi pears” have originated later than “Panta Pears” and “Kalo Pears”; Pear species found in Georgia are involved in hybridization process, however genes of dry land species of pear do not enter in gene pool of cultivated pears as they are recipients of genes *P. caucasica*. Based on the results of the morphological and genetic studies, the distribution range of *P. caucasica* has been determined. The range of this species appears to be smaller than it was estimated earlier. The results described in this PhD thesis can help correct the nomenclature of cultivated pears of Georgia and their wild progenitor species

Key words: genus *Pyrus*, country of Georgia, domestication; diversity; progenitor species; morphometry; microsatellite markers; *P. caucasica* Fed.; pear cultivars; distribution range, conservation;

თავი 1. შესავალი

კავკასია და კერძოდ საქართველო მრავალი კულტურული მცენარის, მათ შორის მსხლის კულტურული ჯიშების წარმოშობის ცენტრადაც არის მიჩნეული (Вавилов, 1931). ამ ფაქტზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ველურად გავრცელებული მსხლების სახეობრივი მრავალფეროვნება. შ. ქუთათელაძეს (ქუთათელაძე, 1946) საქართველოს ფლორისთვის მსხლის 11 სახეობა აქვს დადგენილი, რომელთაგან ყველაზე ფართო გავრცელება ახასიათებს პანტას (*Pyrus caucasica* Fed.). იგი მსხლის ლოკალური ჯიშების უმრავლესობის წარმომშობ სახეობად ითვლება. არესებობს აზრი, რომ ლოკალური მსხლის ჯიშების წარმოქმნა პანტის პირდაპირი გაკულტურების გზით მოხდა (ხომიზურაშვილი, 1973). ამ თეორიას სარწმუნოს ხდის ის ფაქტი, რომ პანტა ხასიათდება პოლიმორფულობის მაღალი დონით (Федоров, 1937; Туз, 1972). პანტა ასევე სანამყენედ და საძირედ გამოიყენება სიცივისა და დაავადებებისადმი მდგრადი ჯიშების გამოსაყვანად.

კავკასიის ენდემი პანტა (*P. caucasica*) და ევროპაში გავრცელებული მისი მონათესავე სახეობა - ტყის მსხალი (*P. pyraster* L.) მსხლის ევროპული ჯიშების ყველაზე ახლო ნათესავ სახეობებად ითვლებიან (Zohary and Hopf, 2000; Volk et al., 2006; Yamamoto and Chevreau, 2009). ორივე სახეობა მსხლის გვარის (*Pyrus* L.) თანამედროვე სისტემაში ტაქსონომიურად კულტივირებადი მსხლის სახეობების ჯგუფში - 'ჩვეულებრივი მსხალი' (*Pyrus communis* L.) არიან განთავსებული ქვესახეობის ტაქსონომიური რანგით [პანტა (*Pyrus communis* L. subsp. *caucasica* (Fed.) Brovitz.); ტყის მსხალი (*P. communis* L. subsp. *pyraster* (L.) Ehrh.)]. ასეთ ნომენკლატურას მრავალი გავლენიანი კვლევა არ ეთანხმება (Seifriz, 1932; Гроссгейм, 1946; Туз, 1974; ქუთათელაძე, 1980; Брежнев & Коровина, 1981; Bläsing, 2004), რომელთა მიხედვითაც ეს ველური მსხლები ერთმანეთისგან მორფოლოგიურად, ტერიტორიულად და გენეტიკურად განცალკევებული სახეობები არიან და მათი გენოფონდების ურთიერთგადაკვეთა მხოლოდ ჯიშებში ხდება.

ქვესახეობის რანგი *P. caucasica*-ს და *P. pyraister*-ს მსხლის გვარის თანამედროვე სისტემის ავტორის, პოლონელი მეცნიერის კაზიმირ ბროვიჩის (Browicz, 1993) მიერ მიენიჭა მორფოლოგიური მსგავსების გამო. მეორე მიზეზი, რამაც განაპირობა მათი ქვესახეობის რანგამდე ჩამოქვეითება, იყო ამავე მეცნიერის აღმოჩენა. ამ აღმოჩენის მიხედვით ვავილოვის (Вавилов, 1926, 1931) მიერ მსხლის სახეობების და ჯიშების წარმოშობის მეორეულ, იგივე შუააზიურ ცენტრად განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახეობათა წარმოქმნა ჰიბრიდიზაციის გზით ხდება. ამ თეორიის თანახმად, შუააზიური ცენტრის მსხლის სახეობები, ისევე როგორც კულტურული ფორმები მონაწილეობენ ჰიბრიდიზაციის პროცესში, რადგან არ არსებობს რელევანტური ბარიერი, რომელიც გენთა მიმოცვლას შეაჩერებდა მათ შორის. ეს თეორია ნაწილობრივ გამართლდა მსხლის ევროპული ჯიშების იზოზიმური მარკერებით კვლევის დროს (Chevreau et al., 1997). ამ კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა მსხლის რამოდენიმე პოლიპლოიდური ჯიში, რომელიც სხვადასხვა ველური სახეობის ქრომოსომის ფრაგმენტს იზიარებდნენ.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზნად დავისახეთ ამ ორი ალტერნატიული კონცეფციიდან რომელიმე ერთის დამასაბუთებელი მტკიცებულების მოპოვება საქართველოს მაგალითზე, რისთვისაც *P. caucasica*-სთან ერთად მსხლის რამოდენიმე ველური სახეობა და სხვადასხვა გენოფონდის მქონე ჯიშები მორფოლოგიურად და გენეტიკურად გამოვიკვლიეთ. ჩვენი გენეტიკური კვლევის დიზაინი შეიქმნა მსგავსი ამოცანის მქონე კვლევის მიხედვით (Volk et al., 2006), რომლის ავტორებიც ჩვენი კოლაბორატორები გახდნენ წინამდებარე კვლევის გენეტიკურ ნაწილში. ასეთი მიდგომა ავირჩიეთ სავსელე მონაცემების არასაკმარისი რაოდენობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხელთ ამიერკავკასიის დიდი ნაწილიდან შეგროვილი ნიმუშების მორფოლოგიური და გენეტიკური მონაცემები გვქონდა, მასალა საკმარისი ვერ იქნებოდა დივერგენტულობის და ჰიბრიდულობის კონცეფციების სრულფასოვანი ტესტირებისათვის. ასეთი კვლევის განხორციელება, რეალისტურად

შუა აზიის, რუსეთის და კავკასიის ეკო-რეგიონის მასშტაბით შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

დავინტერესდით იმ ფაქტითაც, რომ საქართველოს მეხილეობაში (ხომიზურაშვილი, 1973) მსხლის ქართული ჯიშები, ისევე როგორც საქართველოში შემოტანილი ჯიშები, განხილულია რომელიმე ველურ მსხალთან მათი კავშირის დასაბუთების გარეშე. ქართული მეხილეობის ლიტერატურულ წყაროებში შედარებით რელევანტური ინფორმაცია არსებობს პანტის და მისი სელექციის გზით მიღებულ ჯიშებს „პანტა მსხლებს“ შორის მსგავსებაზე, თუმცა კლასიფიკაცია არ ეფუძნება სხვა უფრო ზუსტ მონაცემებს, გარდა ნაყოფის არომატული თვისებების და პომოლოგიური მახასიათებლების მსგავსებისა. ერთ-ერთი წყაროზე (კუბლაშვილი და სხვ., 1980) დაყრდნობით, რომელშიც საქართველოში გავრცელებული პანტების მრავალფეროვნებაა განხილული, წარმოიშვა ვარაუდი რომ მსხლის ადგილობრივი ჯიშები ამ მრავალფეროვნებასთან კავშირს გამოავლენდა.

სადოქტორო ნაშრომი დაფუძნდა კვლევებზე, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა: საქართველოში გავრცელებული ველური პანტების პოპულაციის მორფო-გენეტიკური შესწავლა; ნათესაური კავშირების გამოვლენა ადგილობრივ პანტებთან (*P. caucasica*; *P. balansae* Deciasne.), მსხლის აბორიგენულ ქართულ ჯიშებთან, მსხლის შემოტანილ ჯიშებთან და მათ სავარაუდო ველურ ნათესავთან - პანტასთან (*P. pyraeaster*); ჰიბრიდიზაციის პროცესის გამოვლენა ველურ მსხლებს შორის და გარკვევა, თუ რამდენად აისახებოდა ეს ფაქტორი მსხლის ჯიშების გენოფონდზე. კვლევების ამოცანას წარმოადგენდა ასევე მსხლის დომესტიკაციის ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალების დადგენა; პანტის (*P. caucasica*) არეალის დაზუსტება და მისი გამიჯვნა საქართველოში გავრცელებულ, თუმცა ნაკლებად ცნობილ მსხლის მეზოფიტი სახეობის - ბალანზეს პანტის (*P. balansae* Deciasne.) არეალისგან და *P. caucasica*-ს კონსერვაციული ღირებულების განსაზღვრა.

სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის დროს დაგეგმილ მსხლის ქართული ჯიშების და მათი ველური წინაპრის - პანტის (*Pyrus*

caucasica Fed.) მრავალფეროვნების და დომესტიკაციის პროცესის კვლევის თემატიკაზე გამოქვეყნებულ 5 პუბლიკაციას (იხ. დანართი):

1. **Asanidze, Z.**, Akhalkatsi, M., Gvritishvili, M. 2011. Comparative morphometric study and relationships between the Caucasian species of wild pear (*Pyrus* spp.) and local cultivars in Georgia. *Flora*, Elsevier. Vol. (206) 11, 974 – 986.

<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0367253011001186>

2. **Asanidze, Z.**, Akhalkatsi, M., Henk, A.D., Richards Ch. M., Volk G. M. 2014. Genetic relationships between wild progenitor pear (*Pyrus* L.) species and local cultivars native to Georgia, South Caucasus. *Flora*, Elsevier (209), 504–512.

<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0367253014000930>

3. Akhalkatsi M., Ekhvaia J., **Asanidze Z.** 2012. "Diversity and genetic erosion of ancient crops and wild relatives of agricultural cultivars for food: implications for nature conservation in Georgia (Caucasus)". *Intech*. DOI: 10.5772/30286. Free downloadable. Link:

<http://www.intechopen.com/books/perspectives-on-nature-conservation-patterns-pressures-and-prospects/diversity-and-genetic-erosion-of-ancient-crops-and-wild-relatives-of-agricultural-cultivars-for-food>

4. Akhalkatsi, M., **Asanidze, Z.** 2015. *Pyrus caucasica* Fed. - Ancestor of Georgian Pear Landraces. *Sci. Tech. and Dev.* vol. 34 (2): 105-108.
5. **Asanidze, Z.** Akhalkatsi, M. 2011. Morphological relationships between wild and cultivated pears in Georgia. *Proc. Georg. Acad. Sci. Biol. Ser. B.* vol. 9 (1-4); 20-27.

მათგან პირველი ორი (Asanidze et al., 2011; Asanidze et al., 2014) გამოქვეყნებულია საერთაშორისო გავლენის ფაქტორის მქონე ჟურნალში ფლორა (Flora, გამომცემელი Elsevier).

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. მსხლის გვარის კვლევის ისტორია და თანამედროვე სისტემა

მსხლის (*Pyrus* L.) გვარს პირველად სისტემატიკური სტატუსი ლინემ მიანიჭა 1753 წ. და მასში გააერთიანა არა მხოლოდ მსხლის, არამედ ვაშლის ინდივიდებიც. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხნის შემდეგ მილერმა გვარი დააცალკევა და ვაშლი (*Malus* Mill.) ცალკე გვარად გამოყო, ლინესეული კლასიფიკაციის გამოყენება მაინც ხშირად ხდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნის ბოლომდე გვარი ცირცელიც (*Sorbus*) მსხლის გვარში შედიოდა. ლინეს პერიოდიდან მოყოლებული, აღმოჩენილი მსხლის სახეობების რიცხვმა 60-ს გადააჭარბა (Browicz, 1982, 1993).

მსხლის გვარის პირველი სისტემა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დეკნეს (Decaisne, 1872-74) მიერ იქნა შემუშავებული. დეკნეს მონოგრაფია ერთ-ერთ საუკეთესო შრომად არის შეფასებული მსხლის გვარის ისტორიის შესწავლაში. იგი ამ გვარს მონოტიპურად მიიჩნევდა და იმ დროისთვის ცნობილი მსხლის 23 სახეობა გაანაწილა 6 რასაში (*Proles*). სახელები კი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დაარქვა: კელტური, გერმანული, პონტოური, ელინური, ინდური და მონღოლური.

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ კოენმა (Koehne, 1890) მსხლის 14 ახალი სახეობა აღმოაჩინა და ისინი სხვა, არსებულ სახეობებთან ერთად ორ სექციაში გააერთიანა:

1 სექცია: *Pashia* (პაშია) Koehne-ს სახეობები ხასიათდებიან ჯამის ფოთოლაკებისგან თავისუფალი ნაყოფებით, მოთეთრო ფერის ძლიერი შებუსვით და ბუტკოს 2-5 სვეტით.

2 სექცია: *Achras* (ახრას) Koehne -ის (ამ სექციის ამჟამინდელი სახელწოდებაა *Pyrus* -ი) სახეობებს გააჩნია ჯამის ფოთოლაკებიანი ნაყოფები და 5 სვეტი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაყოფა ძალზე არაბუნებრივი იყო (ეს სისტემა კოენის ხელოვნურ სისტემადაც მოიხსენიება), იგი შემდგომში გვარ *Pyrus*-ის თანამედროვე სისტემის შექმნის მთავარი საფუძველი გახდა.

შემდეგი, ვინც გვარ *Pyrus*-ის შეფასება მოახდინა, იყო კ. შნეიდერი (Schneider, 1906), რომელმაც დამატებით 11 სახეობა აღმოაჩინა და მიაკუთვნა სხვადასხვა სადაო, განუსაზღვრელი რანგის და ჰიბრიდულობის ტაქსონს. მოგვიანებით, მე-20 საუკუნის შუა ხანებში, ა. რედერმა (Rehder, 1949) განიხილა ამ გვარზე დაგროვილი მასალა და შეიმუშავა სახეობათა სია. სია შეიცავდა 23 სახეობას, რამოდენიმე ვარიაციას და 4 ჰიბრიდს. რედერს არ მოუშველიებია კოენის სექციები თავის კვლევებში, თუმცა სახეობათა მის მიერ დადგენილი დაჯგუფება შესაბამისობაში იყო კოენის სექციებთან და განყოფილებებთან.

მე-19 საუკუნის დასაწყისში აქტიურად დაიწყო მუშაობა *Pyrus*-ის გვარზე კავკასიის რეგიონშიც, სადაც პ. პალასის (Pallas, 1812) შემდეგ, რომელმაც ამ რეგიონში *Pyrus*-ის პირველი სახეობა - *P. salicifolia* Pall. აღწერა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში კვლევები ამ მიმართულებით აღარ ჩატარებულა და მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მკვლევარებს ძირითადად მხოლოდ სამი სახეობა *P. communis* L., *P. salicifolia* Pall. და *P. eleagnifolia* Pall. მოჰყავდათ კავკასიის ფლორისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა *Pyrus*-ის გვარზე 1925 წელს ი. ნ. ვორონოვს ეკუთვნის (Воронов, 1925), სადაც მას კავკასიის ფლორისთვის მოჰყავს მსხლის 8 სახეობა. აქედან სამი, მის მიერ ახლად იყო აღმოჩენილი. მანვე პირველმა განსაზღვრა, რომ *P. eleagnifolia* კავკასიაში არ ვრცელდებოდა და მისი გავრცელების არეალი შემოისაზღვრებოდა ყირიმით, მცირე აზიით და თურქეთით. კავკასიის რეგიონში ამ სახელით გარკვეული მსხლეები მან *P. salicifolia*-დ ჩათვალა.

გვარ *Pyrus*-ის ძველი სისტემის გარდაქმნის პირველი მცდელობა ა. მალეევს ეკუთვნის (Малеев, 1939), რომელმაც ყოფილი სსსრ-ს ფლორის შედგენისას დეკნეს სისტემას ნაწილობრივ შეუცვალა სახე. მალეევმა ძველი სისტემის ერთეულებს - “პროლებს” (Prole) სახელი გადაარქვა და მწკრივები უწოდა, გვარი კი 6 მწკრივად დაყო: 1. *Communis* Maleev; 2. *Cordata* Maleev; 3. *Sinenses* Maleev; 4. *Pontica* Maleev; 5. *Syriaca* Maleev; 6. *Heterophyllae* Maleev და თითოეული სახეობა თავისი დამახასიათებელი ნიშანთვისებების მიხედვით სათანადო მწკრივებში მოათავსა.

ა. ფიოდოროვმა (Федоров, 1943) თავის ნაშრომში „კავკასიის ველური მსხლების მონოგრაფია“, დეკნეს, მალეევის და კოენის სისტემებზე და ასევე ვორონოვის კვლევაზე დაყრდნობით, *Pyrus*-ის გვარის სრულიად ახალი, უნივერსალური სისტემა შექმნა. ფიოდოროვმა ამ გვარში 39 ახალი სახეობა აღწერა და სექციებს – *Pashia* Koehne-ს და *Achras* Koehne-ს დაამატა კიდევ ორი სექცია: *Xeropyrenia* Fed. და *Argyromalon* Fed.:

შედეგად მიღებული იქნა 4 სექცია:

1. *Pashia* Koehne
2. *Achras* Koehne (*Euachras*)
3. *Xeropyrenia* Fed.
4. *Argyromalon* Fed.

უკანასკნელ ორი სექციაში, ფიოდოროვის მიერ კავკასიაში აღმოჩენილი სახეობები და ჰიბრიდებია განთავსებულია მათი მორფოლოგიური ნიშნების და საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური პირობების მიხედვით. ამგვარად, სექცია *Achras*-ში მეზოფილური სახეობები, ხოლო *Xeropyrenia*-სა და *Argyromalon*-ში შედარებით ქსეროფილური სახეობები გაერთიანდნენ. ფიოდოროვი (Федоров, 1943) კავკასიაში გვარ *Pyrus*-ზე ჩატარებული კვლევისას მივიდა დასკვნამდე, რომ ვორონოვის თეორია მართებული იყო და ევროპისგან განსხვავებით კავკასიაში *P. communis*-ის სრულიად

განსხვავებული რასა ჩამოყალიბდა, რომელსაც კიდედაუკბილავი ფოთლის ფირფიტები ჰქონდა.

კავკასიის რეგიონზე მუშაობდა ა. გროსჰაიმიც, რომელმაც ფიოდოროვის შემდეგ ამ რეგიონში რამოდენიმე ახალი სახეობა აღმოაჩინა და თავის ნაშრომში „კავკასიის ფლორა“ მსხლის 22 სახეობა შეიტანა (Гроссгейм, 1952).

საქართველოს ველური მსხლების კვლევაში ახლებური ხედვის ჩამოყალიბება შ. ქუთათელაძის და ა. ფიოდოროვის მოღვაწეობის პერიოდთან არის დაკავშირებული. თუ ახალი სისტემის შექმნამდე მკვლევარებს საქართველოს ფლორისთვის ძირითადად მხოლოდ სამი სახეობის მსხალი (*P. communis*- მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებისთვის, *P. salicifolia*- ჭალის და დაბლობის ტყეებისთვის, *P. ealeagnifolia*- მთის ქვედა და შუა სარტყლის მუხნარ და რცხილნარ ტყეებისთვის) მოჰყავდათ (კეცხოველი 1935), ფიოდოროვის სისტემის გამოქვეყნების და შ. ქუთათელაძის კვლევების შემდეგ საქართველოს ფლორისთვის უკვე მსხლის 11 სახეობა იქნა დადგენილი (ქუთათელაძე 1964):

1. პანტა - *Pyrus caucasica* A. Fed.
2. ბალანზეს პანტა - *Pyrus balansae* Deen.
3. ელდარის ბერყენა - *Pyrus eldarica* A. Grossh.
4. დიმიტრის ბერყენა - *Pyrus demetrii* Kuthath.
5. კეცხოველის ბერყენა - *Pyrus kezkhovelii* Kuthath.
6. ხერხბილა ბერყენა - *Pyrus oxyprion* Woron.
7. ფიოდოროვის ბერყენა - *Pyrus fedorovii* Kuthath.
8. ტახტაჯიანის ბერყენა - *Pyrus takhtadzianii* A. Fed.
9. სახოკიას ბერყენა - *Pyrus sachokiana* Kuthath.
10. ქართული ბერყენა - *Pyrus georgica* Kuthath.
11. ტირიფფოთოლა ბერყენა - *Pyrus salicifolia* Pall.

აღნიშნული სახეობები სექცია *Pyrus*-ის სამივე სუბსექციის წარმომადგენლები არიან, რომლებიც გამოყოფა ა. ტუზმა (Туз, 1972), როდესაც მსხლის გვარის თანამედროვე სისტემა შეიმუშავა. მან ფიოდოროვისეული ორი ახალი სექცია ჩამოაქვეითა სუბსექციებად და სუბსექცია *Pyrus*-თან ერთად სექცია *Pyrus*-ში (=Achras) გააერთიანა. ტუზმა სექცია *Pashia* Koehne -ც სამი სუბსექციად დაყო:

1. სექცია *Pashia* Koehne

1. სუბსექცია *Pashia* - *P. betulifolia*, *P. phaeocarpa*, *P. calleryana*, *P. pashia*
2. სუბსექცია *Pyrifoliae* Tuz - *P. pyrifolia*, *P. bretscheideri*, *P. serrulata*
3. სუბსექცია *Ussuriensis* Tuz - *P. usuriensis*

2. სექცია *Pyrus* Tuz


1. სუბსექცია *Pyrus* - *P. communis*, *P. caucasica*, *P. pyraster*
2. სუბსექცია *Xeropyrenia* (Fed.) Tuz - *P. syriaca*, *P. korshinskyi*, *P. regalii*
3. სუბსექცია *Argyromalon* (Fed.) Tuz - *P. salicifolia*, *P. spinosa*, *P. nivalis*, *P. eleagnifolia*

ბროვიჩის მიხედვით (Browicz, 1993), მსხლის გვარის დახასიათება ხშირად ინდივიდუალური ტაქსონის კრიტიკული შეფასების გარეშე ხდებოდა და ამ დრომდე არ არსებობს გვარის სრული მონოგრაფია, რადგან მსხლის სახეობების ზუსტი რიცხვის დადგენა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ან შეუძლებელია. ამ მიმართულებით მუშაობის ყველა მცდელობა ყოველთვის წარუმატებელი იყო, რადგან მსხლის სახეობებს ახასიათებს მაღალი შიდასახეობრივი ვარიაციურობა. ამასთანავე სახეობებს შორის გაიოლებული ჰიბრიდიზაცია და შედეგად დიდი რაოდენობის ჰიბრიდების წარმოშობა, რომელთაც ფორმის, ვარიაციის და ზოგჯერ სახეობის სტატუსიც ენიჭებათ კიდევ უფრო ართულებს გვარის სისტემატიკას.

2.2. პალეოლოგიური მონაცემები მსხლის გვარის განვითარებაზე სამხრეთ კავკასიაში

გვარ მსხლის (*Pyrus* L.) წარმომადგენლების კვალი საქართველოს ფლორის განვითარების მესამეული გეოლოგიური პერიოდში, მეოტური ეპოქის სარმატულ სართულში ფიქსირდება (Rubtzov, 1944; Shatilova et al., 2012). ამ პერიოდით დათარიღებულ ნამარხებში აღმოჩენილია - *Pyrus theobroma* Ung. და განუსაზღვრელი ტაქსონის *Pyrus Malus* L. მაკრონაშთები. ნამარხებში მსხლის სახეობის იდენტიფიკაცია მოხდა პალეობოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის ჟ. დოლიძის (1965) და ბოტანიკის ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ. შემდგომში მონაცემების ვალიდაცია ა. პალიაზინმა განახორციელა, რომელსაც კავკასის რეგიონიდან ეგზავნებოდა ნამარხი ფლორის ნიმუშები საბჭოთა კოლექციისთვის. ამგვარად მოხვდა საბჭოთა კოლექციაში *P. theobroma* Ung. ს ნამარხი ფოთლების ნიმუშიც, რომელიც ქართულ კოლექციებში აღარ მოიპოვება.


P. theobroma -ს ნაშთები რუბცოვის და სხვა წყაროების მიერ (Rubtsov, 1944, Коваловский, 1973) მესამეული, იგივე მეოტური გეოლოგიური პერიოდით (23.7 - 5 მლნ. წ. ჩვ. წ. აღ. მდე) თარიღდება, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე უმეტეს წილად ფლორის მეზოფილური კომპლექსები იყვნენ გავრცელებული (Shatilova et al., 2012). ეს სახეობა უძველესია კავკასიის ეკორეგიონის ნამარხებში ნანახი ველური მსხლებიდან და კავკასიაში წარმოშობილი მსხლის სახეობების საერთო ნათესავად ითვლება. მასალა მოპოვებულია კახეთის კავკასიონზე, კერძოდ მარტყოფის ღვთაების მონასტრის შემოგარენში 1933 წელს. ნამარხებში მსხლის სახეობები ამოცნობილია ფოთლის ფორმის და დამარღვის მიხედვით (დოლიძე, 1965). ფოთლების მორფოლოგიური მახასიათებლებით *P. theobroma* -ს ნამარხი ფორმები მსხლის თანამედროვე მეზოფილური სახეობების (*P. caucasica*; *P. pyrastrer*) მსგავსია უფრო მეტად, ვიდრე სემიარიდული და არიდული სახეობების. მორფოლოგიური მსგავსება მიუთითებს ამ სახეობების ახლო ნათესაურ კავშირზეც.



სურათი 1. თანამედროვე (A) და ნამარხი (B) პანტის (*P. caucasica*) თესლები. A. *P. caucasica*-ს თესლები, მ. გვრიტიშვილის კოლექცია. თანამედროვე პერიოდში აღებული მასალა (2004-2005 წ.); B. *P. caucasica*-ს ნამარხი თესლები, ლ. რუხაძის კოლექცია, პალეობოტანიკის ინსტიტუტი. ნიმუშის შეგროვების თარიღი: 1962 წ. ნიმუშის გეოლოგიური ასაკი - 3.6 – 2.6 მლნ. წ. ჩვ. წ. აღ. მდე (პლიოცენი, პიაცენზიური ეპოქა).

ქსეროფილური ველური მსხლელები, ანუ ბერყენები კავკასიის რეგიონში წარმოიშვნენ (Tuz, 1974). ბერყენების ჯგუფის სახეობების უმეტესობა კავკასიის, ან მისი რომელიმე რეგიონული ერთეულის ენდემია. მათი წარმოშობა უკავშირდება პლიოცენის გეოლოგიური პერიოდის სარმატულ სართულს, რომლის განმავლობაშიც კლიმატის გლობალური არიდიზაცია, ანუ ტენიანი კლიმატის მშრალად გარდაქმნა დაიწყო.


პლიოცენის გეოლოგიური პერიოდის აღჩაგილური ეპოქით (5.2 - 3.3 მლნ წ. ჩვ. წ. აღ. მდე) თარიღდება კახეთის ტერიტორიაზე: ქვაბეთის და დათვის ხევის ხეობებში აღმოჩენილი *P. caucasica*-ს ფოთლების ნამარხები (სურ. 2, B). ამ სახეობის თესლები (სურ. 1, B) პლიოცენის შედარებით თანამედროვე - პიაცენზიური ეპოქის (3.6 – 2.6 მლნ. წ. ჩვ. წ. აღ.-მდე) ნამარხებშია დაფიქსირებული.



სურათი 2. პანტის ფოთლები. A) *P. caucasica*-ს თანამედროვე ინდივიდების ფოთლები და B) იგივე სახეობის ფოთლის ნამარხები, ჟ. დოლიძის კოლექცია, პალეობოტანიკის ინსტიტუტი. ნიმუშის შეგროვების თარიღი 1962-1963 წ. ნიმუშის გეოლოგიური ასაკი - 5.2 - 3.3 მლნ. წ. ჩვ. წ. აღ. მდე (ზემო პლიოცენი, აღჩაგილური ეპოქა).

„აღჩაგილი“ გაუდაზნოებული მთის სახელწოდებაა, რომელიც თურქმენეთში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს. ამ მთის ქანების გამოკვლევით (Андрусов, 1961) დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიას პლიოცენიდან ნეოგენურში გარდამავალი პერიოდის (5.2 - 3.3 მლნ წ. ჩვ. წ. აღ.-მდე) ზღვებიდან ერთ-ერთი უკანასკნელი ზღვა ფარავდა. ზღვის აუზი კასპიის ზღვას მთლიანად მოიცავდა და ურალის მთებამდე ვრცელდებოდა. აღმოჩენის საფუძველზე სხვადასხვა (ძირითადად რუსულენოვან) შრომაში ეს ზღვა აღჩაგილის ზღვად, ხოლო მისი არსებობის სავარაუდო გეოლოგიური პერიოდი - აღჩაგილურ ეპოქად არის მოხსენიებული.

ჟ. დოლიძის (1965) მიხედვით აღჩაგილური ფლორის არეალი მხოლოდ კახეთის რეგიონის ნაწილს, უმეტეს წილად კი, ალფატრის ხევს (ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე დიდი შირაქის ველის აღმოსავლეთით) მოიცავს საქართველოში და სხვა ტერიტორიებზე ქვეყნის შიგნით თითქმის არ ვრცელდება.



სქემა 1. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული აღჩაგილური ფლორის განლაგება. ● ჟ. დოლიძის მიერ დაფიქსირებული აღჩაგილური ფლორის წერტილები (დოლიძე, 1965) ▲ ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით დადგენილი აღჩაგილური ფლორის წერტილები.

ცხრილში (ცხრ. 1) მოცემულია აღჩაგილური პერიოდის ნამარხებში აღმოჩენილი ფლორის ელემენტების ნუსხა, რომელთან ერთადაც *P. caucasica*-ც იყო გავრცელებული ფლორის მეზოფილურ ელემენტებთან ერთად საქართველოში. ზოგიერთი მათგანი დღემდეა შემორჩენილი რუკით ნაჩვენებ ყოფილი აღჩაგილური ფლორის არეალში საქართველოს ტერიტორიაზე (სქემა 1).

ცხრილი 1. აღჩაგილური ფლორის ელემენტები (დოლიძე, 1965)

სახეობები	მეზოფილური და ჰიგროფილური ელემენტები			ჰემიქსეროფილური ელემენტები
	წყლისპირის და ჭაობის ელემენტები	დაბლობის და ჭაობის ტყეების კომპონენტები	მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეების კომპონენტები	მთისწინა კალთების კომპონენტები
<i>Acer tataricum</i>			+	

<i>Alnus hornensis</i>		+		
<i>Carex sp.</i>	+			
<i>Fraxinus excelsior</i>			+	
<i>Gledichia captica</i>				+
<i>Juglans sp.</i>			+	
<i>Ligustrum vulgare</i>			+	
<i>Liquidambar sp.</i>		+		
<i>Ostria carpinifolia</i>		+	+	
<i>Phragmites communis</i>	+			
<i>Populus sp.</i>		+		
<i>Populus tremula</i>			+	
<i>Punica granatum</i>				+
<i>Pyracantha coccinea</i>				+
<i>Pyrus caucasica</i>			+	
<i>Quercus iberica</i>			+	
<i>Rhododendron sp.</i>			+	
<i>Salix alba</i>	+			
<i>Salix sp.</i>	+			
<i>U. foliaceae</i>				+
<i>Ulmus suberosa</i>			+	
<i>Viburnum orientale</i>			+	
<i>Vitis silvestris</i>			+	
<i>Zelkova karpinifolia</i>			+	
Fabaceae gen. ind.			+	+
Cyperaceae gen. ind.				
Poaceae gen. ind				

აღზავილური ფლორის კომპლექსებში მონაწილეობას ეფუძნება წარმოდგენა *P. caucasica*-ს რელიქტურობის შესახებ. აღსანიშნავია ამ სახეობის მორფოლოგიური ახლო მსგავსებაც კავკასიის ველური მსხლის სახეობების საერთო წინაპარ *P. theobroma* -სთან (Rubtzov 1944), რაც ამყარებს იმ აზრს, რომ ბერყენას ჯგუფის ქსეროფიტი მსხლის სახეობები მეზოფიტ პანტასთან (*P. caucasica*) შედარებით გვიან წარმოიშვნენ.

ცნობილია, რომ კავკასიაში ენეოლითის პერიოდში მოსახლე შომუ-შულავერის ცივილიზაცია მიწათმოქმედებას მისდევდა (Hamon, 2008; Lyonnet et. al., 2015). შულავერის და არუხლოს მიდამოების ნამარხებში, რომელიც ამ ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს, სხვა მცენარეულ კულტურებთან ერთად მალაიდების

ქვეოჯახის წარმომადგენლების (ვაშლი, მსხალი, ცირცელი) თესლებიც არის აღმოჩენილი (Kushnareva, 1997; FAO, 2010). შულავერის და არუხლოს ტერიტორიების ნახევრად განამარხებული ნარჩენები 6 000 წლით არიან დათარიღებული ჩვ. წ. აღ.-მდე. აღნიშნული ფაქტი მიანიშნებს, რომ მსხლის კულტივირება საქართველოს ტერიტორიაზე არქაული პერიოდიდან ხდებოდა.

2.3. მსხლის გვარის ზოგადი დახასიათება და ფილოგენია

მსხლის გვარი (*Pyrus* L.) ეკუთვნის ვარდისებრთა ოჯახის (*Rosaceae* L.) ვაშლისებრთა ქვეოჯახს (*Maloideae* (Small ex Britton & Small) C. Weber). მისი ყველაზე ახლომონათესავე გვარებია ცირცელი [*Sorbus* (s.l.)], ვაშლი (*Malus* Mill.) და კომში (*Cydonia* Mill.). გვარში გაერთიანებულია 60-მდე ვარიაბელური მორფოლოგიური ნიშნების მქონე სახეობა. ამ გვარის წარმომადგენლებისთვის ძირითადი დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებია: მაღალი 25 მ-მდე სიმაღლის ღერო, მონაცრისფრო დამსკდარი ქერქით; პირამიდული ან ოვალური ფორმის ვარჯი; მომრგვალო, ოვალური, ან მსხლისებრი ფორმის ნაყოფი, რომელიც მდიდარია სკლეროიდული უჯრედებით; კიდემთლიანი - კვერცხისებრი, მომრგვალო კვერცხისებრი, ან ოვალური ფოთოლი, მომრგვალებული ან გულისებრი ფუძით; ფარისებრი ან ქოლგისებრი ყვავილედით, რომელიც მოიცავს 5-8 ძირითადად მოთეთრო ფერის ყვავილს. სახეობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია: ფოთლის მორფოლოგიური ნიშნები - შებუსვა, ფუძის ფორმა და ყუნწის სიგრძე; ნაყოფზე ჯამის ფოთოლაკების პერსისტენტულობა (ქუთათელაძე, 1945; Rubtzov 1944).

როგორც ცნობილია, მსხლები დიპლოიდები არიან ($2n = 34$). თუმცა ზოგიერთ ჯიშს ახასიათებს პოლიპლოიდია ან ანეუპლოიდია, მაგალითად *P. canyon*-ს (რომელიც სავარაუდოდ *P. lindleyi*-ის ერთ-ერთი კულტივირებადი სახეობაა) ქრომოსომთა კომპლექტია $2N=43$ (Gladkova & Svenchikova, 1990). აპომიქსისის მოვლენა ამ გვარისთვის ცნობილი არაა (Aldasoro et al. 1996). ასევე არსებობს ცნობები მსხლის გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის ალოტეტრაპლოიდურობაზეც. ეს

ფაქტი *P. communis*-ის ფორმების იზოზიმური მარკერებით კვლევის დროს იქნა გამოვლენილი (Chevreau et al. 1997). შემდეგში კი აღმოჩნდა, რომ ალოტეტრაპლოიდია ევროპაში და აზიაში გავრცელებულ მსხლის ზოგიერთ სხვა სახეობის ჯიშსაც ახასიათებდა (Dirlewanger et al., 2004). გვარის წარმომადგენლები ერთსახლიანი მცენარეებია და ჰიბრიდიზაციის გზით შეუძლიათ მაღალი ფერტილურობის მქონე შთამომავლობის წარმოქმნა (Дуганова, 1972; Browicz, 1993; Fischer, 2009). მსხლების დამტვერვის ფორმად ძირითადად ჯვარედინი დამტვერვაა ცნობილი, რაც ძლიერი ჰიბრიდულობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია (Tyż, 1972, Dirlewanger et al., 2004). ჰიბრიდიზაცია ადვილად ხდება, როგორც სახეობათა შორის, ასევე სახეობებსა და ჯიშებს შორისაც. ამის გამო მსხლის გვარში მეტ-ნაკლებად სტაბილურ ფორმებთან ერთად გარდამავალი ფორმებიც მრავლადაა, რაც გვარის ტაქსონომიური კვლევისას მრავალ სიმძნელეს ქმნის. ბროვიჩის მიხედვით (Browicz, 1993), ბუნებრივი ჰიბრიდიზაცია გვარ *Pyrus*-ში ძირითადად სექცია *Pyrus*-ში ხდება. ეს მოვლენა ტერიტორიულად ყველაზე ხშირია კავკასიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მათ შორის ამ მხრივ ცხელ წერტილად კავკასია ითვლება, სადაც ჰიბრიდიზაცია ხდებოდა და სავარაუდოდ ახლაც მიმდინარეობს - მეზოფილურ პანტასა (*P. caucasica*) და ქსეროფილურ ბერყენას (*P. salicifolia*) შორის. ჰიბრიდიზაცია სავარაუდოდ ხდებოდა *P. eleagnifolia* Pall. თან და *P. nivalis*-თანაც, რომლებიც ძირითადად თურქეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული. ასეთი ჰიბრიდები სავარაუდოდ კულტივირებად ფორმებს ეჯვარებოდნენ, რამაც პოლიჰიბრიდული ფორმების წარმოშობა გამოიწვია (Browicz, 1993).

მსხლის გვარის წარმოშობის პირველად ცენტრად მიჩნეულია აღმოსავლეთ აზია (Tuz, 1974, Browicz, 1993). არსებული პალეობოტანიკური მონაცემები საკმაოდ მწირია გვარის წარმოშობაზე და განვითარებაზე. ცნობილია, რომ მესამეული პერიოდის ბოლოს ევროპის ტერიტორიაზე უკვე არსებობდნენ თანამედროვე მსხლების მსგავსი მსხლის ფორმები – *P. minor*, *P. theobroma*, *P. euphemes* (Вавилов, 1926, Rubtzov, 1944). ფიოდოროვის მონაცემებით გვარი *Pyrus* ვარდისებრთა ოჯახის

სხვა წარმომადგენლებთან შორის, შედარებით უფრო სიცოცხლისუნარიან და ნაკლებად კონსერვაციულ შტოს წარმოადგენს, რომელმაც მესამეული პერიოდის ბოლოს და მეოთხეული პერიოდის დასაწყისში ძლიერი განვითარება განიცადა. ეს გეოლოგიური პერიოდი მშრალი კლიმატით ხასიათდება, სწორედ ეს იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა მსხლის ახალ ფორმათა წარმოშობაზე. კლიმატის მშრალ ტიპს გვარი *Pyrus*-ის წარმომადგენლები კარგად შეეგუვნენ, ანუ გვარის განვითარება ქსერომორფოგენეზის გზით წარიმართა (Федоров, 1943).

ა. ტუზის მიხედვით (Туз, 1972), მსხლის გვარის წარმოშობა და განვითარება უფრო გვიან მოხდა, ვიდრე აღმოსავლეთ აზიაში წარმოშობილ ვაშლისებრთა ქვეოჯახის სხვა ძირითადი წარმომადგენელი გვარების – ვაშლის (*Malus* Mill.), კუნელის (*Crataegus* L.) და ცირცელის (*Sorbus* L.). ცნობილია, რომ ეს გვარები სამხრეთ ამერიკის ფლორაში სახეობების დიდი რიცხვით არიან წარმოდგენილი, მსხლის სახეობები კი აქ საერთოდ არ გვხვდება. ტუზმა ასევე გამოთქვა ვარაუდი, რომ მსხალი და ვაშლი საერთო წინაპრებისგან წარმოიშვნენ და ეს წინაპრებს წარმოადგენენ აღმოსავლეთ აზიის ვაშლის სახეობები – იუნანური, განსუური და სხვ., რომელთა ნაყოფი შეიცავს მსხლისთვის დამახასიათებელ გაქვავებულ, სკლერეიდულ უჯრედებს. ვაშლის და მსხლის გვარებს ასევე აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი – ჯამის ფოთოლაკების პერსისტენტულობა. ეს ნიშანი ახასიათებს, როგორც აღმოსავლეთ აზიურ ლოკალურ სახეობებს, ასევე გაცილებით ძველი გვარების – კუნელის და ცირცელის სახეობათა უმეტესობას.

ამავე ავტორის (Туз, 1974) მიხედვით მსხლის გვარის ფორმირება და სახეობათა წარმოშობა ორ - აღმოსავლეთ აზიის და შუა აზია-ხმელთაშუაზღვეთის ეკოგეოგრაფიულ რეგიონში მოხდა:

1. მსხლის გვარის წარმოშობის პირველადი ცენტრი აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს. რუბცოვის აზრით (Rubtsov, 1944) მსხლის გვარი აზიის ტერიტორიაზე წარმოიშვა ჩინეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ მთიან რეგიონებში. ეს ცენტრი

მოიცავს ორ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ სახეობათა ჯგუფს, რომელთა უმრავლესობა *Pashia*-ს სექციის წარმომადგენელია სპეციფიური ნიშნებით - ფორთოხლისფერი ნაყოფი და არაპერსისტენტული ჯამის ფოთოლაკები. ეს ჯგუფი გავრცელებულია ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩინეთის სამხრეთ ნაწილში კი გავრცელებულია სექცია *Pyrus*-ის სახეობების ჯგუფი, რომელთა ნაყოფებიც არ შავდება და ხასიათდება ჯამის ფოთოლაკების პერსისტენტულობით. სახეობათწარმოქმნის აღმოსავლეთ აზიური სახეობების ჯგუფში თავმოყრილია გვარის დომინანტური გენები. ეს სახეობები ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით და თავისებურებებით: მეზოფიტურობა, მოსვენების ხანმოკლე პერიოდი, დაბალი ყინვაგამძლეობა, ძლიერი მდგრადობა სოკოვანი დაავადებებისადმი, ახალგაზრდა ტოტების და ფოთლების დახრილობის მცირე კუთხე, კვერცხისებრი ფოთოლი, ფოთლის ფირფიტის კიდის ხშირი დაკბილვა, ჰეტეროფილიის არსებობა ახალგაზრდა მცენარეებში, შიშველი სვეტები და მათი რიცხვის შემცირება ყვავილში, ნაყოფის ჩაშავება მომწიფებისას და ჯამის ფოთოლაკების დაკარგვა. ამ კანონზომიერებებიდან მნიშვნელოვანი გადახრით ხასიათდება ორი სახეობა *P. bretschnideri* და *P. serrulata*, რომლებსაც აქვთ ორივე სექციისთვის დამახასიათებელი გარდამავალი ნიშნები, თუმცა სისტემატიკური განხილვისას მათ მაინც ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილს მსხლეს მიაკუთვნებენ.

2. მსხლის გვარის წარმოშობის მეორეული - შუა აზია-ხმელთაშუაზღვეთის ცენტრი (რუსეთის სამხრეთ ნაწილი; ირანი; ავღანეთი; წინა და მცირე აზია; კავკასია; ჩრდილოეთ ევროპა; სამხრეთ აფრიკა). ა. ტუზის აზრით (Tuz, 1974), გვარის პირველადი წარმოშობის ცენტრიდან შუა აზია-ხმელთაშუაზღვეთის ტერიტორიაზე მსხლის სახეობები ანთროპოგენული გავლენით მოხვდნენ. ახალ ტერიტორიაზე მოხვედრილ ველურ მსხლებში სახეობათა წარმოქმნა ჰიბრიდიზაციის გზით წარიმართა. ამ მოვლენამ გვარის ახალი განვითარების კერის გაჩენა გამოიწვია, სადაც სახეობათა განვითარება ქსეროფილიზაციის მიმართულებით წარიმართა გამყინვარების შემდგომ პერიოდში. მეორეული ცენტრის სახეობები სექცია *Pyrus*-ის

წარმომადგენლები არიან, უმეტეს წილად ისინი ერთიანდებიან ორ სუბსექციაში - *Xeropyrenia* და *Argyromalon* ში. სახეობათწარმოქმნის შუააზიური და ხმელთაშუაზღვეთის სახეობათა ჯგუფის წარმომადგენლები ფლობენ გვარის რეცესიული გენების მაქსიმუმს. მათი ძირითადი ნიშანი და თავისებურება უპირველესად არის: ქსეროფილურობა, მოსვენების ხანგრძლივი პერიოდი, ყინვაგამძლეობა, ფოთლების დახრის მახვილი კუთხე, წაგრძელებული ან ოვალური ფორმის ფოთოლი, მცირედ დაკბილულკიდეებიანი ან კიდეითლიანი ფოთლის ფირფიტა, ჰეტეროფილიის დაბალი სიხშირე ახალგაზრდა მცენარეებში, სუსტი იმუნიტეტი, დახრილი სვეტები, მომწიფებისას ნაყოფი ინარჩუნებს ჯამის ფოთოლას და მისი რბილობი შავდება (Tyz, 1972; Tuz, 1974).

ა. ტუზის მიხედვით (Tuz, 1974), აღმოსავლეთ აზიური და შუა აზიური სახეობათა ჯგუფების ჰეტეროფილიის ნიშნები და ჯამის ფოთოლას პერსისტენტულობა მათ შორის მჭიდრო ნათესაური კავშირის არსებობის მაჩვენებელია. ამავე წყაროს მიხედვით, აღმოსავლეთ აზიაში მსხლის კულტურული ჯიშები წარმოიშვნენ ერთმანეთისგან გეოგრაფიულად დამორებული, განსხვავებული სახეობების დომესტიკაციის გზით და კულტურული ჯიშების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომელიც ამ ეკო-გეოგრაფიულ რეგიონში არსებობს, ძირითადად სამი სახეობისგან: ბრეტშნაიდერის მსხალი (*P. bretschnideri*, Redh.) მსხლისფოთოლა მსხალი (*P. pyrifolia* (Brum.) Nakai) და უსურიული მსხალი (*P. ussuriensis* Maxim.) არიან წარმოშობილი. ავტორი თვლის, რომ შუა აზიის და ხმელთაშუაზღვეთის რეგიონში ჯიშების წარმოშობა რომელიმე კონკრეტული სახეობის კულტურაში შემოტანით არ ხდებოდა, თუმცა ჯიშების წარმომშობ მთავარ სახეობებად თურქმენულ მსხალს (*P. turcmenica* Maleev.), უსურიულ მსხალს (*P. ussuriensis* Maxim) და რეგელის მსხალს (*P. regelii* Redh.) მიიჩნევს (Tyz, 1972). ავტორი ასევე თვლის, რომ ძირითადი სახეობები, რომლებსაც კავკასიაში და ევროპაში არსებული კულტურული ჯიშების წარმოშობა უკავშირდება, არიან პანტა (*P. caucasica*) და ჩვეულებრივი მსხალი (*P. communis*=*P. pyraster*). თუმცა ასევე

გამოთქვამს აზრს, რომ მსხლის ევროპული ჯიშების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა სახეობებიც: სირიული მსხალი (*P. syriaca* Boiss.), ბერყენა (*P. salicifolia* Pall.), ნუშისებური მსხალი (*P. amygdaliformis* Vill.) და ზამთრის მსხალი (*P. nivalis* Jacq.) ამრიგად მსხლის კულტურული ასორტიმენტის ფორმირება ორი გზით მიდიოდა: აღმოსავლეთ აზიაში მათი წარმოშობა გეოგრაფიულად დაშორებული, განსხვავებული სახეობების პირდაპირი ხაზით გადარჩევის გზით მოხდა, ხოლო შუა აზია-ხმელთაშუაზღვეთის ტერიტორიაზე - მსხლის მრავალ სახეობას შორის ჰიბრიდიზაციის გზით (Tuz et al., 1983).

2.4. მსხლის გვარის გავრცელება

ბროვიჩის (Browicz, 1993) მიხედვით მსხლის გვარის არეალი ფრაგმენტირებულია და შედგება სამი ნაწილისაგან. არეალი ძირითადად მიუყვება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელს და მხოლოდ გამონაკლისის სახით იჭრება აფრიკის უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ტერიტორიაზე. უფრო ჩრდილოეთ და ამერიკის კონტინენტზე გვარი ბუნებრივად არ ვრცელდება.

გვარ *Pyrus*-ის გავრცელების პირველი არეალი მოიცავს ევროპის ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებს, აფრიკას უკიდურეს ჩრდილოდასავლეთს და აზიის სამხრეთ ნაწილს, ანატოლიიდან კავკასიასა და თურქმენეთამდე აღმოსავლეთით და ისრაელის ცენტრალურ ნაწილამდე სამხრეთით. გვარის გავრცელების ჩრდილოეთ დასავლეთ და სამხრეთ ზღვარი შექმნილია სექცია *Pyrus*-ის სახეობების მიერ. ჩრდილოეთით სახეობა *P. pyraster*-ის არეალი აღწევს ლატვიასა და რუსეთამდე 55-57°N განედს მიახლოებით, მაშინ როდესაც *P. syriaca* სამხრეთით აღწევს ისრაელს იუდას მთებამდე. ირანის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მდებარე ფარსის პროვინციაში კი იგი მცირედ სცდება 30°N განედს.

გვარ *Pyrus*-ის გავრცელების მეორე არეალი გადის ავღანეთის სამხრეთ ნაწილში ჩრდილოეთ პაკისტანის, ჰიმალაების, ჩინეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილების და ასევე იაპონიის გავლით. უფრო მოშორებით,

ჩრდილოეთისკენ, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში მიახლოებით 57°N განედზე იზრდება სახეობა *P. ussuriensis*. უკიდურეს აღმოსავლეთში გვარის გავრცელების ზღვარი გადის იაპონიაზე. აქ მრავალფეროვნება წარმოდგენილია სახეობებით: *P. ussuriensis*, *P. calleryana*, და *P. pyrifolia*. ტაივანის ცენტრალურ ნაწილში ასევე იზრდება მსხლის გვარის წარმომადგენელი მარადმწვანე სახეობა - *P. kawakamii*. მეორეს მხრივ, გვარის გავრცელების სამხრეთი საზღვარი შექმნილია სექცია *Pashia*-ს წარმომადგენელი სახეობით - *P. pashia*, რომელიც აგრეთვე, იზრდება ვიეტნამში, ლაოსში და ტროპიკების სამხრეთ ნაწილში, დაახლოებით 22-23° N ქვემოთ.

გვარ *Pyrus*-ის გავრცელების მესამე და ყველაზე მცირე არეალი მოთავსებულია პირველ ორ არეალს შორის, თუმცა მათთან კავშირი არა აქვს. იგი წარმოდგენილია სექცია *Pyrus*-ის მხოლოდ სამი სახეობით: *P. korshinskyi*, *P. regelii*, *P. tadshikistanica*. აქ გავრცელების ზღვარი მდებარეობს ტიან-შანის მთებსა (42°N), და ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილს (34°N) შორის. ამგვარად, ირანის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, ავღანეთი და პაკისტანი, თითქმის მთლიანად მოქცეულია გვარ *Pyrus*-ის გავრცელების ბუნებრივ არეალში.

მსხლის გვარის სახეობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით უმდიდრესია კავკასია. ამ რეგიონში მრავალწლიანი კვლევების შედეგად დაახლოებით 40-მდე ტაქსონი იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა მკვლევარის მიერ. მათგან 26 სახეობის და ქვესახეობის სტატუსით არის ცნობილი, დანარჩენები კი ჰიბრიდული და გაველურებულ ფორმებს წარმოადგენენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მსხლის მხოლოდ 23 სახეობაა ვალიდურად მიჩნეული. მაგალითისთვის, ჩინეთში იზრდება მსხლის მხოლოდ 13 სახეობა, თურქეთში - 9, ირანში - 6, ევროპაში - 4-5, იაპონიაში - 3, ტაჯიკეთში - 3 და ავღანეთში 2 სახეობა. კავკასიაში მსხლის გვარის მრავალფეროვნების ასეთი მაღალი მაჩვენებელი დიდი ალბათობით გამოწვეულია იმით, რომ მსხლის ტაქსონების კრიტიკული შეფასება არასდროს მომხდარა და სავარაუდოდ მრავალი კავკასიური ველური მსხლის

სახელწოდება უბრალოდ ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენს. თუმცა არსებობს ამ მრავალფეროვნების გამამართლებელი მწირი დასაბუთებაც. კერძოდ ა. ტუზის (Туз, 1972; Tuz 1974) მონაცემებით ამ დასკვნას ამყარებს კავკასიაში აღმოჩენილი ველური მსხლების კარიოლოგიური მახასიათებლები. ქრომოსომათა რიცხვი კავკასიურ ველურ მსხლებში განსხვავებულია სახეობების მიხედვით. თუმცა არ არსებობს მონაცემები თუ როგორ ცვალებადობს ეს პარამეტრი თითოეული სახეობის პოპულაციაში და რა ფაქტორი განაპირობებს ქრომოსომათა განსხვავებულ რიცხვს - გარემოს ეკოლოგიური მახასიათებლები თუ ჰიბრიდიზაციის პროცესი.

ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით მსხლის გვარის წარმომადგენლები, როგორც წესი, ზღვის დონიდან 2200 მეტრამდეა გავრცელებული, თუმცა ჰიმალაის მთებში, *P. pashia* ზღვის დონიდან 2750 მ.-მდე გვხვდება. ჩინეთში კი *P. pashia* და *P. pseudopashia* ზღვის დონიდან 3000 მ.-მდეც აღწევენ (Browicz, 1993).

2.5. მსხლის კულტურის მნიშვნელობა და ისტორია

მსხალი, ვაშლის შემდეგ ყველაზე კულტივირებად და მაღალი საწარმოო ღირებულების მქონე ხილად ითვლება ზომიერი სარტყლის ქვეყნებში. მსოფლიო მასშტაბით იწარმოება მსხლის ნაყოფის საშუალოდ 200 მლნ. ტონა. მთავარ მწარმოებელ ქვეყნად ითვლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მწარმოებელი ქვეყნების ათეულში შედიან აგრეთვე: იტალია, აშშ, ესპანეთი, არგენტინა, სამხრეთ კორეა, იაპონია, თურქეთი, სამხრეთ აფრიკა და ნიდერლანდები. მსხლის ნაყოფისგან ხდება მრავალი კულინარიული ნაწარმის (ჩირი, წვენი, ჟელე, ჯემი და სხვ.) და ალკოჰოლური სასმელების დამზადება. მსხლის მერქანი ვაშლისგან განსხვავებით მაღალკომერციული მნიშვნელობისაა. იგი ძირითადად გამოიყენება ძვირფასი ავეჯის და მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადებლად (Jackson, 2003).

მსხლის სახეობები, რომელთაც არა აქვთ კომერციული ღირებულება, მნიშვნელოვან გენოფონდს ქმნიან ჯიშებისთვის. გარდა ამისა მრავალი ასეთი მსხლის სახეობა და მათ შორის ქართული პანტაც, ითვლება საუკეთესო საძირედ.

ასეთი საძირების გამოყენებით ხდება ახალი, სიცივის ამტანი და დაავადებების მიმართ მდგრადი კულტურების გამოყვანა (Wagner & Kleinschmit, 2003).

სამედიცინო მონაცემებით (Hunter, J. 2007), მსხლის ნაყოფი დაბალი კალორიულობის გამო გამოიყენება დიეტოლოგიაში, ასევე აქვს კუჭ-ნაწლავის მოქმედების მასტიმულირებელი და მომაწესრგებელი თვისებებიც. შარდმდენი თვისებების გამო მსხლის ნაყოფი უძველესი დროიდან იყო ცნობილი, როგორც წნევის მარეგულირებელი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალება. ასევე ცნობილია, რომ მსხალი დიდი რაოდენობით შეიცავს მცენარეულ ბოჭკოს, რაც ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ქოლესტეროლის დასაშლელად. მსხლის ნაყოფში შემავალი ნივთიერებები ხელს უწყობენ შარდმჟავას და შარდის სხვადასხვა ნიტროგენიზირებული ნივთიერებების განეიტრალებას, ამიტომ მსხლის წვენი მოწამვლის დროს ორგანიზმის ეფექტურ განმწმენდ საშუალებად არის მიჩნეული. მსხლის ნაყოფი მცირე რაოდენობით შეიცავს C, B, და E ვიტამინებს. სამედიცინო მნიშვნელობა ძირითადად განპირობებულია მინერალების: კალიუმის, მაგნიუმის და რკინის მაღალი შემცველობით სხვა ხილთან შედარებით. მსხალი, სხვა ხილისგან განსხვავებით, მცირე რაოდენობით შეიცავს ფოსფორსაც – კვების რაციონისთვის აუცილებელ ნივთიერებას, რომელსაც ადამიანი ძირითადად ხორცპროდუქტებიდან იღებს. ამგვარად, მსხალი, ვაშლის მსგავსად მინერალებით და ვიტამინებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ხილია.

ისტორიული და ლიტერატურულ ცნობებით (Janik, 2009) მსხლის გვარის სამეცნიერო დასახელება წარმოშობილია ბერძნული სიტყვა „პირო“-დან (πιρὀς), რაც ქართულად ცეცხლს ნიშნავს. ეს სახელი მსხალს ხის ვარჯის ალისებური ფორმის და შემოდგომაზე ფოთლების შეფერილობის გამო შეერქვა. სამეცნიერო სიმბოლიზმში მსხლის ნაყოფის ფორმა, ანუ მსხლისებური ფორმა არაბულ რიცხვით სისტემის ციფრ ‘8’-ს შეესაბამება, ხოლო მათემატიკურ ლოგიკაში ჰორიზონტალური პერიოდული სიმბოლოთი უსასრულობა ‘∞’ გამოისახება. მსხლის ანტიკურ პერიოდში მოშენებაზე მიაწიშნებს ლიტერატურული ნაწარმოები „ოდისეა“,

რომელიც ჰომეროსის მიერ ჩვ. წ. აღ. მდე მე-9 საუკუნეში შეიქმნა. ეს ნაწარმოები ითვლება წყაროდ სადაც მსხალი პირველად არის მოხსენიებული. მსხლის და ზოგადად მეხილეობის მრავალფეროვან კულტურაზე მიუთითებს ქალაქ პომპეის და ჰერკულანუმის ნამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც მოხატული იყო სხვადასხვა ხილის და მათ შორის მსხლის ნატურმორტებითაც. ძველი რომის ეს ქალაქები ჩვენი წელთ აღიცხვით 79 წელს განადგურდა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის გამო. მსხლის დომესტიკაციის, ისევე როგორც ზოგადად მეხილეობის აღზევების ოქროს ხანას დასაწყისად ევროპაში რენესანსული პერიოდი (მე-16 საუკუნე) ითვლება. ეს ფაქტი ძირითადად ამ პერიოდის ფერწერული ნიმუშებით დგინდება. აღსანიშნავია, რომ მსხლის ევროპაში არსებული ჯიშების 95%-ს მე-16 საუკუნიდან დღემდე მიღებულ ჯიშებს შეადგენს, ხოლო 5 % - უფრო ძველს.

2.6. საქართველოში გავრცელებული მსხლის სახეობები და ადგილობრივი ჯიშები

პანტა (*Pyrus caucasica*) პირველად ა. ფიოდოროვმა აღწერა (Федоров, 1943). იგი ვორონოვის (Воронов, 1925) თეორიაზე დაყრდნობით და კავკასიაში გავრცელებულ ამ სახეობაზე დაკვირვების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კავკასიაში ჩამოყალიბდა რეგიონის კლიმატურ და ლანდშაფტურ პირობებთან შეგუებული მსხლის განსხვავებული რასა, რომელიც ჩვეულებრივი მსხლისგან *P. communis* L. (= *P. pyraster* L.) განსხვავდებოდა კიდემთლიანი ფოთლებით და ლოკალური გავრცელებით ხასიათდებოდა. ფიოდოროვის დასკვნამდე პანტასაც ჩვეულებრივ მსხლად (*P. communis*) განიხილავდნენ, თუმცა ჩვეულებრივ მსხალს კიდედაკბილული ფოთლები აქვს და უფრო ფართო გავრცელებით ხასიათდება. მისი ხელოვნური გავრცელების არეალი მოიცავს ევროპის, ამერიკის და აფრიკის კონტინენტს, ბუნებრივი არეალი კი შუა აზია-ხმელთაშუაზღვეთის რეგიონში მდებარეობს (Browicz, 1993) და მხოლოდ კავკასიის ჩრდილო დასავლეთით კვეთს პანტის გავრცელების არეალს (Федоров, 1954) .

თანამედროვე ნომენკლატურით (Tuz, 1972) პანტა განთავსებულია გვარ *Pyrus*-ის სექცია *Pyrus*-ში. ზუსტი სისტემატიკური დახასიათება ასეთია:

Genus *Pyrus* L.

Section *Pyrus* Tuz (= *Achras* Fed.)

Cycl *Communes* (Maleev) Fed. (=Proles *Germanica* Dcne. ser. *Communes* Maleev)

Series *Boreales* Fed. (=Proles *Germanica* Dcne.)

Species *P. communis* subsp. *caucasica* (Fed.) Browicz.

Sin.: *P. communis* L. ; *P. caucasica* Fed.

მასთან გენეტიკურად ყველაზე ახლო მონათესავე სახეობებია ჩვეულებრივი მსხალი (*P. communis* L.) და ტყის მსხალი (*P. pyraster* L.). ამ სახეობებს შორის ახლო ნათესაური კავშირის არსებობა თანამედროვე ფილოგენეტიკური კვლევებითაც დასტურდება (Verbylaitė et al., 2006). ვავილოვი და რუბცოვი (Вавилов, 1929; Rubtsov, 1944) თვლიდნენ, რომ *P. caucasica* და *P. pyraster* ჩვეულებრივი მსხლის წინაპარი სახეობები არიან. თუმცა ზოგი ავტორის აზრით ეს სახეობები ფენოტიპურად მსგავსი არიან და მათი კლასიფიკაცია გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით მოხდა (Volk et al., 2006). *P. pyraster* -ის გავრცელების ადგილია შავი ზღვის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილი, ბალკანეთის ქვეყნები, თურქეთი და ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, ანუ ჩვეულებრივი მსხლის ბუნებრივი გავრცელების არეალის დასავლეთი ნაწილი. *P. caucasica* კი გავრცელებულია აღმოსავლეთით - კავკასიის ქვეყნებში, ანუ ჩვეულებრივი მსხლის გავრცელების არეალის უკიდურეს აღმოსავლეთით (სქემა 2). ახლო ნათესაური კავშირის გამო მსხლის გვარის თანამედროვე სისტემაში ველურ მსხლებს: *P. caucasica* და *P. pyraster* ჩვეულებრივი მსხლის ჯგუფში აერთიანებენ ქვესახეობებად:

Pyrus communis L. :

P. communis L. subsp. *caucasica* (Fed.) Browicz

P. communis L. subsp. *pyraster* (L.) Ehrh.

თუმცა ასეთი სისტემა ხშირ შემთხვევაში უხერხულობას ქმნის, იმ მხრივ, რომ ამ ქვესახეობების მოხსენიება კვლევების უმეტესობაში მაინც სახეობის სტატუსით ხდება.



სქემა 2. პანტის (*P. caucasica*) და ტყის მსხლის (*P. pyraster*) არელების ზოგადი მოდელი ლიტერატურული წყაროს (Volk et al., 2006) მიხედვით

პანტა კავკასიის ენდემია. მისი გავრცელების არეალი მოიცავს რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილს, ყირიმს, საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს. ეს სახეობა მეზოფიტია, უმეტეს წილად იზრდება ფოთლოვან ტყეებში. ზღვის დონიდან 1500, ზოგჯერ კი 2200 მ.-მდე აღწევს. მორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით იგი მაღალი, 15-25 მ.-მდე სიმაღლის ხეა. პირამიდული ვარჯით. ახალგაზრდა ტოტები შიშველია, ნაცრისფერი ქერქით შემოსილი, ეკლიანი. ფოთლები შიშველია ან ქვედა მხარეზე ოდნავ აბლაბუდისებრი ბეწვით დაფარული, ნახევრად ტყავისებრი, ზედა მხარე პრიალაა. ფოთლის ფორმა კვერცხისებრი, მომრგვალო, ფართო-კვერცხისებრი, წაგრძელებული ან იშვიათად რომბულია, წაწვეტებული ან ბლაგვი, გრძელი ან

ძალზე გრძელი ყუნწებით. ფოთლის ფირფიტა კიდემთლიანია და წამწამებითაა დაფარული. ყვავილები ყვავილედში ფარადაა შეკრებილი. მოთეთრო ან ოდნავ მოვარდისფრო ფერისაა. ნაყოფი შიშველია, მრგვალი ან შეჭყლეტილ-სფეროსებრი, შევიწროვებული გრძელყუნწიანი (ქუთათელაძე, 1945). დამტვერვის ტიპი: ენტომოფილია (ზოოქორია). ყვავილობს აპრილ-მაისში, ნაყოფი მწიფდება ივნისის ბოლოდან სექტემბრის დასაწყისამდე. ქრომოსომათა რიცხვი: $2N=34$ (Tuz et al., 1983). არსებული ლიტერატურული და საჭერბარიუმო მონაცემებით, პანტა საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. იზრდება სხვადასხვა ტიპის ტყეებში, როგორც მშრალ ასევე ტენიან ხეობებში და ძირითადად პირველ და მეორე იარუსებს იკავებს. დასავლეთ საქართველოში იგი უმეტესად მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში გვხვდება. გავრცელებულია ხევებსა და მდინარის პირებშიც. დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ჩამოთვლილი ჰაბიტატების გარდა, იგი გვხვდება ველებზე, ჭალის ტყეებში, ნათელ ტყეებში, წიწვოვან ტყეებში და სხვა. პანტისგან შექმნილი წმინდა კორომები “პანტიანები” მეორეული წარმოშობისაა და ჩნდება მიტოვებულ საძოვრებზე, სათიბებზე და განაჩებ ადგილებზე (შ. ქუთათელაძე 1946).

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში ინახება საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვებული პანტების საკმაოდ დიდი კოლექცია. დასავლეთ საქართველოდან საჭერბარიუმო მონაცემები შეგროვებულია რაჭაში, ონის მიდამოებში; ლეჩხუმში; სვანეთში - მესტიაში; მესხეთში - ასპინძაში, ახალციხის და ადიგენის მიდამოებში.; ზემო იმერეთში; გურიისა და სამეგრელოს ტყეებში და მდინარის ხეობებში; ბორჯომის ხეობაში - სოფელ ახალდაბის მახლობლად და ტყეებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე. ლიკანის მახლობლად, ბანისხევში, ჩითახევში, ბაკურიანის მიდამოებში. აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის სხვადასხვა რაიონში. კასპში, მდ. თორთლას მარჯვენა სანაპიროდან სოფელ ქვემოჭალის მახლობლად, რომელსაც ადრე “პანტიანსაც” უწოდებდნენ (კეცხოველი, 1935); გორის რაიონში, მდ. ლიახვის ნაპირებზე და

ტყეებში. თბილისის შემოგარენში - კოჯორი. თეთრი წყაროს რაიონში; კახეთში, საგარეჯოს, თელავის და ლაგოდეხის მიდამოებში; მესხეთში - არსებობს ძველი საჰერბარიუმო მასალები კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიიდანაც. აფხაზეთის ტყეებში პანტის მცირედ განსხვავებული, ფოთლის ფირფიტის აპიკალური ნაწილის კიდედაკბილული მორფოტიპები გვხვდება 1500-1800 მ-მდე დიაპაზონში ზღვის დონიდან: მდინარეების ბზიფის, კელასურის და კამანის ხეობებში. სოხუმის და მაჭარის მიდამოებში. შიდა ქართლში საჰერბარიო მასალა შეგროვილია ცხინვალის შემოგარენიდან და მდინარე ლიახვის და მეჯუდას ხეობებიდან.

საქართველო ითვლება მსხლის კულტურის წარმოშობის ერთ-ერთ კერად (ხომიზურაშვილი, 1973). ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის მიწურულამდე საქართველოში მხოლოდ მსხლის ადგილობრივი წარმოშობის ჯიშები არსებობდა. არსებული მონაცემებით, ისინი ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი მსხლის სახეობებიდან, მრავალსაუკუნოვანი ხალხური სელექციის გზით. უცხოური ჯიშები საქართველოში პირველად ქართლის ვაკეზე გავრცელდნენ. ასეთი ჯიშები ყინვებისადმი ნაკლებად მდგრადები იყვნენ, რის გამოც საქართველოს მთიან რეგიონებში ნაკლებად გვხვდებიან (კეცხოველი, 1957; ხომიზურაშვილი, 1973). ა. ტუზის მიხედვით (Туз, 1974) ქართული და სომხური მსხლის ჯიშები მეზობელი ქვეყნების – აზერბაიჯანის და დაღესტნის ჯიშებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ტუზი ამას ხსნის შორეულ წარსულში ამ ქვეყნების მოსახლეობებს შორის არამჭიდრო კავშირით. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით სახელი “მსხალი” სხვადასხვა ქართულ დიალექტზე თითქმის მსგავსად ჟღერს: მეგრულად - “სხული”; ქანურად - “ცხული”; სვანურად “იცხ” და არ გავს ამ ხილის სახელს სხვა, მეზობელი და არამეზობელი სახელმწიფოების ენებზე. ჯავახიშვილს განმარტებული აქვს აგრეთვე მსხლის სხვადასხვა ჯიშის დასახელება, რაც ძირითადად ნაყოფის ფორმაზე, ფერზე, ზომაზე, გემოზე ან ხარისხზე მიუთითებს. მაგ. : “მცხულ-კვინჩხი” (ჩიტის მსხალი) პატარა ზომის ნაყოფის მქონე მსხლის ჯიშია. “მცხულ-ოქრო” ანუ ოქროს მსხალი ერთ-ერთ ჯიშს ნაყოფის ფერის გამო დაერქვა. “მცხულ-ჯომური” მჟავენაყოფა მსხალს ნიშნავს.

“მცხულ-შუკა” კი ჭანურად კიტრის ფორმის მსხალს ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის (“სიტყვის კონა”) განმარტებით “პანტა” ეწოდება ტყის მსხლებს, ხოლო “ჭკუტა” კი პატარა ზომის მსხლებს. საქართველოში მსხლის კულტურის ძველი დროიდან არსებობაზე მიუთითებს საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილის დასახელებაც, როგორიცაა: სოფლის და მდინარის სახელი “სხალთა” (აჭარა), “სხალტის ქედი” (ქართლი), “სხლობანი” (კლარჯეთი) და სხვ. (ჯავახიშვილი, 1986).

“საქართველოს მეხილეობაში” (ხომიზურაშვილი, 1973) მსხლის ქართული, ადგილობრივი ჯიშები დაყოფილია ოთხ ჯგუფად:

1. გულაბი მსხლები. აქ გაერთიანებულია მაღალი ხარისხის ნაყოფის მქონე მსხლის ჯიშები. დაჯგუფების საფუძველს წარმოადგენს მათი ნაყოფის არომატული თვისებები და დიდი ზომა. ზუსტი წარმოშობა გაურკვეველია, თუმცა წყაროს მიხედვით ქართულ ჯიშებს განეკუთვნება.

2. პანტა მსხლები. ეს ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაყოფის და ფოთლების მქონე მსხლის ჯიშებს. მათი ამ ჯგუფში გაერთიანების საფუძველია ნაყოფის ჩაშავება მომწიფების დროს, როგორც ეს ველურ სახეობა პანტას ახასიათებს; ვარჯის ფორმა და მაღალი ტანის ზომა.

3. კალოს მსხლები. ამ ჯგუფში შედის ივლის-აგვისტოში მომწიფარი საადრეო მსხლები, რომლებიც სავარაუდოდ ასევე პანტა მსხლებისგან არიან წარმოშობილნი.

4. ხეჭეჭური მსხლები. ამ ჯგუფში ზამთრის ჯიშებია გაერთიანებული, რომლებიც ველურად მოზარდი სახეობების პირდაპირი გაკულტურების გზით წარმოიშვნენ.

ამავე წყაროს მიხედვით, მსხლის ქართული ჯიშების წარმოშობაში პანტას დიდი როლი მიუძღვის. მისგან წარმოშობილი ჯიშებია: პანტა მსხლები, კალოს მსხლები და ხეჭეჭურები. პანტის თესლ-ნერგებს კი იყენებენ მსხლის კულტურული ჯიშების საძირედ, რომლებიც ძლიერი ზრდით ხასიათდებიან.

თავი 3. კვლევის აქტუალობა

3.1. კვლევის აქტუალობა ზოგადი თვალსაზრისით

მსხლის სხვადასხვა სახეობაზე მრავალი კვლევა ჩატარებული. შედარებით საფუძვლიანად შესწავლილია კომერციული მნიშვნელობის სახეობები - აზიური მსხალი (*P. pyrifolia*) და ჩვეულებრივი მსხლის (*P. communis*) ჯგუფის ველური ტაქსონები, მათ ჯიშებთან ერთად (Dondini & Sansavini 2012). ასეთი კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ გვარის ფილოგენიის და დომესტიკაციის საკითხების შესწავლისთვის. დღემდე ითვლება, რომ ევროპული კულტურული მსხლების ველურ ნათესავებს (*P. pyraster*, *P. caucasica*, *P. gharbiana* Trab., *P. nivalis*), ან მათი გენოფონდის მქონე მსხლის ჯიშების დიდ ასორტიმენტს შორის არ არსებობს გამოკვეთილი გენეტიკური და მორფოლოგიური საზღვრები. ამ თემაზე ინტენსიური მორფოლოგიური კვლევების დასაწყისად მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ითვლება (Tuz et al., 1983). ამ პერიოდის მეხილეობის კულტურის ამსახველ გავლენიან გამოცემებს [Hanelt, 2001 (ევროპა); Downing, A. J. 1847-1855 (ამერიკა)] ფონად გასდევს ხეხილის სხვადასხვა კულტურების და მათ შორის მსხლის ველური ნათესავების ტაქსონომიის მოუწესრიგებლობით გამოწვეული ხარვეზები. ხშირად ასეთ წყაროებში ხეხილის სხვადასხვა ჯიშში ველური ფორმის სტატუსით იყო განხილული მათი ნაყოფის პომოლოგიური ნიშნების გამო, ან პირიქით, ველური მსხლები ჯიშების ჯგუფში ერთიანდებოდა მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე. დროთა განმავლობაში ძველი გამოცემების რევიზია წარმოებდა ასეთი ხარვეზების გამოსასწორებლად. ტახტაჯიანის (Тахтаджян, 1966) და კრონქვისტის (Cronquist, 1981) შრომების გამოქვეყნების შემდეგ ეს შრომები გახდა ევროპული მეხილეობის ვალიდური კლასიფიკაციის საფუძველი, რამაც ხეხილის მრავალი კულტურის კლასიფიკაცია მოაწესრიგა. თანამედროვე კვლევებში და წყაროებში (Hancock & Lobos, 2008; Fischer, 2009; Dondini & Sansavini 2012) ხეხილის კულტურების გენოფონდის შემქმნელ სახეობების ერთმანეთისგან სხვაობას და მათთან

კონკრეტული კულტურის ჯიშების და ვარიაციების მრავალფეროვნების კავშირს მოლეკულურ-გენეტიკური საფუძველი გააჩნია. ხეილის კულტურების და მათ შორის მსხლის შემთხვევაშიც ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია, როგორც მთლიანად გვარის ტაქსონომიურად მოწესრიგების, ასევე ჯიშების კლასიფიკაციისთვისაც. თანამედროვე პერიოდში მიუხედავად ასეთი ტიპის კვლევების ინტენსიფიკაციისა რიგი საკითხები მაინც შეუსწავლელი რჩება. მაგალითისთვის, მსხლის გვარის შემთხვევაში, მისი კავკასიის ევროგეონში გავრცელებული ველური წარმომადგენლების ტაქსონომიის უზუსტობის გამო ფაქტიურად ღიად რჩება კავკასიის და ევროპის მსხლის ჯიშების წარმოშობის საკითხები. ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ის ტაქსონომიური სტატუსის გაურკვევლობა. არსებულ თანამედროვე კვლევების თითქმის ნახევარში ეს ორი ტაქსონი ცალკეულ სახეობებად არიან წარმოდგენილი, რაც მათი მორფო-გენეტიკური კვლევა უდევს საფუძვლად. ხოლო რიგ, ასევე თანამედროვე კვლევებში, ეს სახეობები ჩვეულებრივი მსხლის (*P. communis*) ქვესახეობებად არიან განხილული. *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ისთვის ქვესახეობის სტატუსის მინიჭების მთავარი მიზეზი არის მათი მორფო-გენეტიკურად ახლო კავშირი კულტურულ მსხალთან და ჰიბრიდიზაციის პროცესის არსებობა მსხლის გვარში, რომელიც გვარის იმ სექციაშია (სექც. *Pyrus*) ყველაზე მძაფრად წარმოდგენილი, სადაც ეს ორი ტაქსონია გაერთიანებული (Tuz et al., 1983; Browicz 1993). მარტივად რომ ვთქვათ, ითვლება, რომ *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ს შორის მორფო-გენეტიკური სხვაობა არასაკმარისად მკვეთრად მიიჩნევა იმისთვის, რომ ისინი ცალკეულ სახეობებად ჩაითვალოს. ასეთი მიდგომა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვეულებრივი მსხლის (*P. communis*) ჯგუფის არსებობის საჭიროებას, რომელიც მოცემულ ორ ტაქსონთან ერთად მსხლის ევროპულ და კავკასიურ ჯიშებს მოიცავს. ამ ჯგუფის ევროპული ჯიშების კვლევებმა (Monte-Corvo et al., 2000; Volk et al., 2006; Voltas et al., 2007; Bassil & Postman, 2010; Wolko et al., 2010) აჩვენეს, რომ ისინი *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ის გენოფონდის გარდა მნიშვნელოვნად იზიარებენ მსხლის სხვა სახეობების გენებსაც, რომლებიც

ჩვეულებრივ მსხალთან (*P. communis*) კავშირში არ არიან თანამედროვე სისტემატიკის მიხედვით. ამასთან მსხლის მატერნალურ გენოფონდთან დაკავშირებული თანამედროვე კვლევები (Katayama & Tachibana 2012; Korotkova et al., 2014) მიუთითებენ, რომ ქლოროპლასტული და მიტოქონდრიული გენებით მხოლოდ აზიური (სექც. *Pashia*-ს) და ევროპული (სექც. *Pyrus*-ის) ველური მსხლის მსხვილი ტაქსონური ჯგუფების განსხვავებაა შესაძლებელი. მათში გაერთიანებული სუბსექციები და სახეობები კი მსგავსია ამ მემკვიდრეობის მიხედვით. ეს მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ მსხლის გვარის თანამედროვე სისტემაც საკმაოდ ხელოვნურია და იგი შესაძლოა კვლავ ჩანაცვლდეს უფრო ლოგიკური სისტემით ახლო მომავალში.

მსხლის ჯიშების და მათი ველური ნათესავების გენოფონდის შესწავლა მნიშვნელოვანია: მსხლის ახალი ჯიშების გამოყვანისთვის; დეკორატიული ფორმების გამოყვანისთვის; მსხლის ჯიშების პროდუქტიულობის, ექსტრემალური პირობების და დაავადებების მიმართ მდგრადობის ამაღლებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში კავკასიიდან რუსეთში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ველური მსხლების ნერგების გატანაც ხდებოდა. მსხლის სხვადასხვა სახეობა სამეცნიერო მიზნებით გამოყენებასთან ერთად, ანუ დენდროლოგიური და ბოტანიკური კოლექციების გარდა, პრაქტიკული მიზნებისთვისაც გამოიყენებოდა: ირგვებოდა ქარსაცავ ზოლებში, ტყე-პარკებში და გამოიყენებოდა სანამყენე საძირეებად (Брежнев & Коровина, 1981). საქართველოში სხვადასხვა ადგილზე (მაგ.: შიდა ქართლში, სოფ. სვენეთთან კვერნაქის ქედზე; რაჭაში ამბროლაურში) შემორჩენილია ველური პანტების ხელოვნური ნარგაობის ნაშთები. ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციით ისინი საბჭოთა პერიოდში გაშენდნენ მეხილეობაში გამოყენების მიზნით.

მსხლის კულტურული ფორმების კვლევას დიდი ადგილი უკავია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში, როგორიცაა, ECPGR (European Cooperative Programme for Plant Genetic Resources), რომლის

პროექტში საქართველოც არის ჩართული, GRIN (Germplasm Resources Information Network's) და სხვ. თბილისის ბოტანიკური ბაღი დიდი ბრიტანეთის ქიუს სამეფო ბოტანიკური ბაღის პარტნიორია თესლის ბანკის მილენიუმის პროექტში. ამ ბანკში დაცულია საქართველოს ველური მსხლების თესლებიც.

3.2. კვლევის აქტუალობა საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია კულტურული მცენარეების მრავალი ველური მონათესავე სახეობა, რაც განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მაღალ პოტენციალს ველური სახეობების კონსერვაციის და მათი გენეტიკური მასალის შეჯვარების ან მცნობის მიზნით გამოყენებისთვის (Bobokashvili et al. 2005). პანტა ცენტრალურ კავკასიაში გავრცელებული მსხლის სახეობებიდან ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ერთის მხრივ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მსხლის სახეობის - ჩვეულებრივი მსხლის წარმომშობ სახეობად, მეორეს მხრივ, კი მსხლის ქართული ჯიშების უმეტესობის გენოფონდის შემქმნელად ითვლება.

პანტაზე, ისევე როგორც საქართველოში გავრცელებულ მსხლის სხვა სახეობებზე საკმაოდ დიდი ლიტერატურული მასალაა დაგროვილი, თუმცა ეს მასალა მაინც ძალზე ზოგადი ხასიათისაა. კონკრეტულად კი წინამდებარე კვლევის აქტუალობას განაპირობებს შემდეგი საკითხები:

1. არ არის განსაზღვრული პანტის პოლიმორფიზმის – მისი მორფოლოგიურ ნიშანთა მრავალფეროვნების და პოპულაციებს შორის არსებული ფორმათა ნაირგვარობის გენეტიკური საფუძველი.

ცნობილია, რომ მსხლის გვარში შემავალი სახეობები ხასიათდებიან ჰიბრიდიზაციის მაღალი დონით. კ. ბროვიჩის მიხედვით (Browicz, 1993) კავკასიაში ჰიბრიდიზაცია ძირითადად ხდება მეზოფილურ პანტასა (*P. caucasica*) და ქსეროფილურ ბერყენებს (*P. salicifolia*) შორის. ამას ემეტება ალოტეტრაპლოიდიის მოვლენაც, რაც უახლესი მონაცემების მიხედვით საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული გვარში (Chevreau et

al. 1996; Dirlewanger et al. 2004). ყოველივე აღნიშნული შესაძლოა საქართველოში გავრცელებული პანტის ზოგიერთი ფორმის წარმოშობის მიზეზი იყოს.

2. არ არის შესწავლილი *P. caucasica*-ს მორფოლოგიურ ნიშანთა ვარიაციულობა პოპულაციების დონეზე კვლევის რელევანტური - მორფომეტრიული მეთოდების საფუძველზე.

3. საქართველოს ხეხილზე არსებულ ლიტერატურულ წყაროებში მოცემულია მსხლის ჯიშების მორფოლოგიური დახასიათება, თუმცა კლასიფიკაცია არ ეფუძნება მსხლის ადგილობრივი ჯიშების შედარებითი მორფოლოგიური შესწავლას მეთოდებით, რომელიც ითვალისწინებს ჯიშების მორფოლოგიის მორფომეტრიულად შესწავლას და ველურ ნათესავთან მათი მსგავსების ან სხვაობის სტატისტიკურად მყარი მონაცემებით დასაბუთებას, რის განხორციელებაც კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად დაისახა.

4. ადრეულ კვლევებში შესწავლილია და გამოვლენილია რამოდენიმე ფორმა ნაყოფის და ფოთლის ფორმის მიხედვით (კუბლაშვილი და სხვ., 1980). თუმცა არ არის ცნობილი უდევს თუ არა რაიმე კანონზომიერება საფუძველად მათ გავრცელებას. ფორმათა კლასიფიკაცია ძალიან ზოგადია და არ არის კონკრეტული ნომენკლატურა შემუშავებული.

5. არ არსებობს პანტის და მსხლის ქართული ჯიშების მოლეკულური კვლევის მონაცემები.

6. უცნობია პანტის პოპულაციების ეკოლოგიური, ფიტოსოციოლოგიური მახასიათებლები და მისთვის განსაზღვრული არ არის საფრთხეები (IUCN).

თავი 4. მასალა და მეთოდები

4. 1.მორფოლოგიური ანალიზი

4.1.1. მცენარეული მასალა მორფოლოგიური კვლევისთვის

მორფოლოგიურად შევისწავლეთ ველური და კულტურული მსხლების 239 ინდივიდი. ნიმუშების შეგროვება ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული რაიონის ბუნებრივ ჰაბიტატებში, ცოცხალ კოლექციებში და ადგილობრივ მიწათმოქმედთა ხილის ბაღებში. ველური მსხლების ტაქსონომიური გარკვევა მოხდა შ. ქუთათელაძის მიხედვით (ქუთათელაძე, 1947, 1980). ნიმუში მოიცავდა პანტის *P. caucasica* Fed. (= *P. communis* subsp. *caucasica* (Fed.) Browicz; N=100); საქართველოს ადგილობრივი და შემოტანილი ჯიშების (N=103); ბალანზეს პანტის *P. balansae* Decne. (= *P. communis* L.; N=8); ბერყენას *P. salicifolia* Pall. (N=8); დიმიტრის ბერყენას *P. demetrii* Kuth. (N=5);

ტყის მსხალს *P. pyraister* Burgsd. (= *P. communis* subsp. *pyraister* (L.) Ehrh.; N=4); ქართულ ბერყენას *P. georgica* Kuth. (N=3), სირიულ მსხალს *P. syriaca* Boiss., რომელიც პირველად მ. გვრიტიშვილის მიერ იქნა იდენტიფიცირებული საქართველოს ფარგლებში (N=3); კეცხოველის ბერყენას *P. ketzkhovelii* Kuth. (N=2) და სახოკიას ბერყენას *P. sachokiana* Kuth. ინდივიდებს. *P. pyraister*-ის ნიმუშები მოპოვებული იქნა ჰესენის (გერმანია) შემოგარენში სოფ. ერდაში . (N 50.681506° E 8.507645°, სიმაღლე 297 მ ზღ.დ.-დან) და ეიზახში (N 50.752841° E 8.320175°, სიმაღლე 384 მ ზღ.დ.-დან) მუხნარ-რცხილნარი ტყის პერიფერიულ ნაწილებში. სხვა ნიმუშები მოპოვებული იქნა საქართველოში (ცხრ. 2).

ცხრილი 2. ნიმუშებად აღებული მსხლის ჯიშების ნუსხა და შეგროვების ადგილები. ჯიშებს მინიჭებული აქვთ ორი კატეგორია (LC – Local cultivar), ადგილობრივი ჯიში (IC- Introduced Cultivar) შემოტანილი ჯიში. სოფლების და რაიონებისთვის მითითებულია რეგიონი ლათინური ინიციალით, თითოეული ჯიშისთვის განსაზღვრულია შეგროვებული ნიმუშის რაოდენობები.


N	ჯიშის სახელწოდება	პროგენიტორი სახეობა	ჯიშის ჯგუფი და ლოკალურობა	წარმოშობა	მდებარეობა	ნიმუშების რაოდენობა
I	ქართული ადგილობრივი მსხლის ჯიშები					
1.	აყირო	უცნობია	იმერეთი, LC	საქართველო	ჭიათურა, I	2
2.	ბეზანი	უცნობია	სვანეთი, LC	საქართველო	ლახამულა, S	2
3.	ბორბალა	უცნობია	აჭარა, LC	საქართველო	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია) K ფასანაური, K სქური, Sa	3
4.	გულაბი	<i>P. communis</i>	გულაბი მსხლების	საქართველო	ფასანაური, K	2

			ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC		ჯორკვალი, S	
5.	კახური გულაბი	<i>P. communis</i>	გულაბი მსხლების ჯგუფი, კახეთი, LC	საქართველო	შილდა, KH	1
6.	წითელგვერდა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, ქართლი, LC	საქართველო	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია) K წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ	2
7.	ყაბაყ არმუდი	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	არალი, SJ	2
8.	ქართული მსხალი	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	ჭიათურა, I	2
9.	კაცისთავა	უცნობია	საქართველო, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	ნამონასტრალი, A	3
10.	ხეჭეჭური	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	დაბა, SJ ჟოშხა, RL საქსრია, I შილდა, KH ფასანაური, K ნამონასტრალი, A წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ ზარზმა, SJ დიდვაკე, A	10
11.	ხინოს მსხალი	უცნობია	აჭარა, LC	საქართველო	ხინო, A	7
12.	ქორდა	უცნობია	მესხეთი, LC	საქართველო	წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ; ზარზმა, SJ	2
13.	კვიჭიკა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	ქვიანი, G	2
14.	მაჟრა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	რიკეთი, A	2
15.	მაქრე	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	სეური, Sa	2
16.	ნანაზირი	უცნობია	მესხეთი, LC	საქართველო	არალი, SJ	2
17.	ნენეს მსხალი	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ	2
18.	პანტა მსხალი	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	დაბა, SJ ნიქოზი, K სეური, Sa	6
19.	სამარიობო	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ	2
20.	სასელო	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	წნისი, ელკანას ცოცხალი კოლექცია, SJ	2
21.	თაფლა მსხალი	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხლების ჯგუფი,	საქართველო	ჟოშხა, RL	4

	(შაქარა)		ფართო გავრცელების, LC		ქვემო ქედი, A	
22.	შავმსხალა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	სქური, Sa კრებალო, RL ცაგერი, RL	4
23.	შოთას მსხალი (მერეთულა)	<i>P. communis</i>	საქართველო, BC	საქართველო	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია) K	2
24.	თავრეჯული	<i>P. caucasica</i>	ხეჩეჭური მსხლების ჯგუფი, ფართო გავრცელების, LC	საქართველო	ნაქალაქევი, SJ	2
25.	წვრილმსხალა (სამურაზე პანტა)	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	ლახამულა, S	2
26.	თულუხა	უცნობია	პანტა მსხლების ჯგუფი, LC	საქართველო	ფასანაური, K	2
II შემოტანილი ჯიშები						
27.	‘დუშესის ანგულემი’ (Duchesse d'Angouleme)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	ბელგია	ტბეთი, RL ხაიში, S	3
28.	‘ზამთრის დეანი’ Winter Dechantsbirne	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	საფრანგეთი	სქური, Sa	2
29.	‘კომშა მსხალი’, ‘ფრანგულა’ (Beurré d' Hardanpont)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	ბელგია, საფრანგეთი	სკრა, K ქვიანი, G	2
30.	‘ალექსანდრეს მსხალი’, ‘ზოსკის მსხალი’ (Beurré Bosque)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	საფრანგეთი	ფხვენისი, K	3
31.	‘ანჟუის სილამაზე’ ‘ვირგლა მსხალი’ (Beurré d'Anjou)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	საფრანგეთი	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია) K	3
32.	‘ბარლეთი’, ‘ზაფხულის მსხალი’ (Bartlett)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	ინგლისი, ამერიკა	აჭარა, SJ გრიგოლეთი, G	2
33.	‘ტყის ნობათი’ (Fondante des Bois)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	ბელგია	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია), K	3
34.	‘გორდამა’ (Gorham pear)	<i>P. communis</i> x <i>P. nivalis</i>	შემოტანილი, IC	ამერიკა	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია) K	3
35.	‘კიფერის თესლნერგი’ (Kieffer pear)	<i>P. communis</i> 'Bartlett' x <i>P.</i> <i>pyrifolia</i> 'Sand pear'	შემოტანილი, IC	საფრანგეთი, ამერიკა	ვარიანი, K სქური, Sa	2
36.	‘ალაგირის შავი’ (Winter Nelis)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	საფრანგეთი	სკრა, (IHVO ცოცხალი	2

					კოლექცია), K	
37.	‘შიკადო’ (Sand pear)	<i>P. pyrifolia</i>	შემოტანილი, IC	აღმოსავლეთ აზია	სკური, Sa კურზუ, Sa	2
38.	‘სენ-ჟერმენი’ (Saint Germain)	<i>P. communis</i>	შემოტანილი, IC	გერმანია	სკრა, (IHVO ცოცხალი კოლექცია), K	2

პანტის ფოთლები მოლეკულური შესწავლისთვის შეგროვდა ბუნებრივ ჰაბიტატებში 35 საიტზე საქართველოს 9 ადმინისტრაციულ რეგიონში (სქემა 3). პანტის ფოთლები შეგროვდა 4 განსხვავებულ ჰაბიტატში: 1) სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მუხნარ-რცხილნარ ტყეებში (234–1387 მ. ზღ.დ.-დან დიაპაზონში) ძირითადი სახეობებით: *Quercus iberica*, *Carpinus caucasica*, *C. orientalis*, *Acer campestre*, *A. laetum*, *Cerasus avium*, *Fraxinus excelsior*, *Malus orientalis*, *Mespilus germanica*, *Prunus divaricata*, *Tilia begoniifolia*, *Cornus mas*, *Corylus avellana*, *Salix caprea*, *Clematis vitalba*, და ა.შ.



სქემა 3. ველური მსხლების ნიმუშების შეგროვების ადგილები საქართველოში: *P. caucasica* (●), *P. balansae* (⊕), *P. ketzkhoveli* (○), *P. salicifolia* (⊙), *P. demetrii* (⊞), *P. georgica* (-), *P. sachokiana* (▲), *P. syriaca* (△) სხვადასხვა ადმინისტრაციულ რეგიონში: 1) კახეთი; 2) ქვემო ქართლი; 3) მცხეთა-

მთიანეთი; 4) შიდა ქართლი; 5) სამცხე-ჯავახეთი; 6) აჭარა; 7) გურია; 8) იმერეთი; 9) რაჭა-ლეჩხუმი; 10) სამეგრელო-ზემო სვანეთი; 11) აფხაზეთი.

2) წიწვოვანი და ფოთოლმცვენი სახეობებით შექმნილ შერეულ ტყეებში კოლხური ქვეტყით (რაჭა და ზემო სვანეთი, 1212-1887 მ. ზღ.დ.-დან დიაპაზონში), ძირითადი სახეობებით: *Pinus kochiana*, *Picea orientalis*, *Quercus iberica*, *Carpinus caucasica*, *Crataegus kyrtostyla*, *Cornus mas*, *Daphne pontica*, *Frangula alnus*, *Rhododendron luteum*, *Ruscus ponticus*, *Sorbus torminalis*, *Tilia begoniifolia*, *Vaccinium arctostaphylos*, *V. vitis-idaea*; 3) წიფლის ტყეებში კოლხური ქვეტყით (იმერეთი, რაჭა, სამეგრელო და აჭარა 600-1950 მ. ზღ.დ.-დან დიაპაზონში), ძირითადი სახეობებით: *Abies nordmanniana*, *Picea orientalis*, *Pinus kochiana*, *Quercus imeretina*, *Q. hartwissiana*, *Acer laetum*, *Carpinus caucasica*, *Tilia begoniifolia*, *Ficus carica*, *Malus orientalis*, *Staphylea colchica*, *S. pinnata*, *Laurocerasus officinalis*, *Rhododendron ponticum*, *R. ungerii*, *Ruscus ponticus*, *R. colchicus*, *Ilex colchica*, *Daphne pontica*, *Epigaea gaultherioides*, *Vaccinium arctostaphylos*, *Viburnum orientale* and *Buxus colchica*; 4) საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ანთროპოგენულ ზონაში, სადაც პანტა გვხვდება ხე მცენარეების სახეობებთან ერთად - *Prunus divaricata*, *Punica granatum*, *Juglans regia*, *Cornus mas*, *Corylus avellana*, *Malus domestica* და ა.შ.

ბალანზეს პანტას (*P. balansae*) სინჯები შეგროვილი იქნა 4 საიტზე სამცხე-ჯავახეთის და აჭარის წიფლნარ-რცხილნარ ტყეებში (უმეტესად ტყის პერიფერიულ ნაწილებზე 840-1600 მ. ზღ. დ.-დან დიაპაზონში). წიფლნარ-რცხილნარები წარმოდგენილი იყო ძირითადი სახეობებით: *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *C. orientalis*, *Quercus iberica*, *Acer campestre*, *Crataegus kyrtostyla*, *Cornus mas*, *Rhamnus imeretina*, *Euonymus europaea*, *Rhododendron luteum*, *Corylus avellana* და სხვ.

ნახევარუდაბნოებში გავრცელებული ბერყენებიდან, სახეობები: *P. salicifolia*, *P. demetrii*, *P. ketzkhoveli*, *P. sachokiana*, *P. georgica* და *P. syriaca* შეგროვდა 4 ადმინისტრაციულ რეგიონში 10 საიტზე (423-992 მ. ზღ. დ.-დან დიაპაზონში). შეგროვების ადგილებზე გავრცელებული იყო სემიარიდული ნათელი ტყეები ან

ხმელთაშუა ზღვის მშრალი ბუჩქნარის ტიპი ძირითადი სახეობებით: *Pistacia mutica*, *Ulmus minor*, *Rhamnus pallasii*, *Juniperus foetidissima*, *J. oblonga*, *Ephedra procera*, *Cotinus coggygria*, *Celtis australis*, *Paliurus spina-christi*, *Punica granatum*, და სხვ.

მორფოლოგიურად შესწავლილ იქნა 27 მსხლის ადგილობრივი ჯიშის 78 ინდივიდი და 12 შემოტანილი მსხლის ჯიშის 25 ინდივიდი (ჯამში 38 ჯიშის 103 ინდივიდი; ცხრ. 2). ადგილობრივი და შემოტანილი მსხლის ჯიშები შეგროვდა ყოფილი მეხილეობის, მეღვინეობის და მევენახეობის ინსტიტუტის (IHVO) ცოცხალ კოლექციაში (სკრა, გორის რაიონი; შიდა ქართლი). მსხლის ადგილობრივი ჯიშების ნიმუშები ასევე შეგროვდა „ელკანა“-ს ცოცხალი კოლექციაში (წნისი, ახალციხის რაიონი, სამცხე-ჯავახეთი). ადგილობრივი მსხლის ჯიშები გროვდებოდა მაღალმთიანი რეგიონების: აჭარის, ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის სოფლებშიც. შემოტანილი ჯიშები შეგროვდა რეგიონების: ქართლის და სამეგრელოს ვაკე-დაბლობებზე განლაგებულ სოფლებში.

მორფოლოგიურ კვლევისთვის ნიმუშის აღება მოხდა საქართველოში იშვიათი გავრცელების მქონე ჯიშიდან ‘მიკადო’ ანუ ‘ქვიშის მსხალი’. ეს ჯიში ბუნებრივად აღმოსავლეთ აზიაშია გავრცელებული (ჩინეთი, იაპონია) და მის ველურ ნათესავად ამავე ტერიტორიაზე გავრცელებული მსხლის სახეობა *P. pyrifolia* (Burm.) Nak. ითვლება. ქვიშის მსხლის ნიმუში შეგროვდა სამეგრელოში სოფ. სქურში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) და სოფ. კურუმში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) ადგილობრივი მოსახლეების ხილის ბაღებში. სხვადასხვა რეგიონის სოფლებში შეგროვილი მსხლის ჯიშების იდენტიფიკაცია მოხდა კულტურული ხეხილის ატლასების (ხომიზურაშვილი და ერისთავი, 1931, 1941; ხომიზურაშვილი, 1973) მიხედვით. ერთ-ერთი ჯიშის სამეცნიერო სახელწოდება, რომელიც მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით პანტის შვილობილი ჯიშია, ვერ იქნა განსაზღვრული არსებული ლიტერატურული წყაროებით. ამ ჯიშის ნიმუშები შეგროვდა კინტრიშის ხეობის სოფელ ხინოში (მაღალმთიანი აჭარა). აქედან გამომდინარე, ნიმუში მონაცემთა ბაზაში შევიდა ‘ხინოს მსხლის’ სახელით.

4.1.2. ნიმუშების შეგროვება მორფოლოგიური ანალიზისთვის და საველე კვლევა


ველზე მსხლის სხვადასხვა საკვლევი ტაქსონის თითოეული ინდივიდიდან ნიმუშად 10 ზრდასრული ფოთლის და 5 ნაყოფის აღება ხდებოდა. ფოთლის ნიმუშები შეგროვდა აგვისტოს და სექტემბრის თვეებში 2009-2010 წლებში. სინჯები აღებული იქნა მხოლოდ ზრდასრული ხეების მერისტემული ზონიდან, ანუ ტოტის აპიკალური ნაწილიდან 10-15 სმ-ით უკან. მეთოდის ასეთი მიდგომა დაკავშირებულია ხე მცენარეებში მერისტემული ქსოვილის მოცულობასთან და ასაკობრივ განაწილებასთან. განმარტებისთვის, მერისტემული ქსოვილი შექმნილია გენეტიკურად მერყევი, არადიფერენცირებული პარენქიმული უჯრედებისგან. ამ ქსოვილის დიფერენციაციის ხარჯზე ხდება ხის დატოტვა და ზრდა. მერისტემა მცენარეებში ასევე პასუხისმგებელია რეგენერაციის პროცესზე და ორიენტირებულია გარემოს სტრესულ ფაქტორებზე სწრაფ რეაგირებაზე, რის გამოც მისი უჯრედების მეტაბოლიზმი გაცილებით აქტიურია მცენარის სხვა, ფიზიოლოგიურად აქტიური ქსოვილების უჯრედებთან შედარებით. მერისტემული ზონები ზრდასრული ხე მცენარეების ზროს და ტოტების აპიკალურ ნაწილებშია განთავსებული, ხოლო იუვენილურ ინდივიდებში ხის შტამბის და ვარჯის თითქმის 95%-ს ეს ქსოვილი ქმნის. მორფოლოგიური შესწავლისთვის ნიმუშის მერისტემულ ზონაში შეგროვება მიზანშეწონილი არ არის. ამ ზონაში, ხშირია ფოთლების და ნაყოფების გიგანტიზმის მოვლენა და მათი ფორმაც უფრო დიდ დიაპაზონში ცვალებადობს, ვიდრე მერისტემული ზონის მიღმა (Pruyn & Spicer, 2012). აქედან გამომდინარე მერისტემული ზონის ფოთლების და ნაყოფების მორფომეტრიული განაზომის ცდომილება დიდია და რეალურად ვერ ასახავს ინდივიდის მორფოლოგიურ მახასიათებლებს (Thibault et al., 1983; UPOV, 2000).

ზრდასრულად ჩაითვალა ხეები, რომლის ასაკიც საშუალოდ 7-10 წელს აღემატებოდა და მერქანი საბოლოოდ იყო ჩამოყალიბებული. ზრდასრული ასაკის პანტების (*P. caucasica*, *P. balansae*) შტამბის დიამეტრი 20-60 სმ ფარგლებში მერყეობს ადამიანის მკერდის სიმაღლეზე, ხოლო ხის სიმაღლე 12-15 მეტრს აღწევს. პანტები

სასიცოცხლო ფორმის მიხედვით მაღალი ან საშუალო ტანის ხეები არიან. ბერყენების უმეტესი სახეობა ზრდასრულობის ასაკში ჰაბიტუსით ძაღვზე განსხვავდება პანტებისაგან. ბერყენები სასიცოცხლო ფორმით საშუალო ან მაღალი ტანის ბუჩქები არიან, სიმაღლით 1-4 მ-მდე აღწევენ, შტამბის დიამეტრი კი 5-40 სმ-ს აღწევს.

ფოთლები შეგროვების შემდეგ თავსდება საჰერბარიო პრესში ნახევარი საათის განმავლობაში, რომ ფოთლის გამოშრობა ძლიერად არ მომხდარიყო. ფოთლები დაპრესვის შემდეგ იძენს ფორმას, რომელიც ორგანოზომილებიან სიბრტყეში სრულად თავსდება, რაც ნიმუშის ციფრული ფოტოგრაფიისთვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. საჰერბარიო პრესიდან ამოღებული ფოთლები თავსდება მილიმეტრიანი დანაყოფების მქონე ფურცლებზე და ხდება მათი ფოტოგრაფირება ისე, რომ ფურცელი (ზომა 45x35სმ) მთლიანად გამოჩენილიყო (სურ. 3). ყოველ სურათს თან ერთვის ეტიკეტი, სადაც აღინიშნება სახეობის ლათინური სახელწოდება, ნიმუშის ნომერი და თარიღი. ფოტოგრაფირება ხდება საშუალო მონაცემების მქონე ციფრული კამერით (მოდელი - Nikon Coolpix 5500). დიგიტალური იმიჯის გაფართოებად 8 მეგაპიქსელი იყო შერჩეული (3456x2304 პიქს.). გადაღება ხდება ხელოვნური განათების გამოყენებით.

შეგროვებულ ფოთლებზე გაკეთდა შემდეგი განაზომები: ფოთლის ფირფიტის სიგრძე (ფოთლის ფირფიტის ფუძიდან ფოთლის ფირფიტის წვერამდე) მონაცემის აკრონიმი - LBL (ინგლისური შესატყვისის - Leaf Blade Length მიხედვით); ფოთლის ფირფიტის სიგანე [ზომა ფოთლის ფირფიტის ყველაზე გაფართოებული კიდის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე (აკრ. LBW)]; ფოთლის ყუნწის სიგრძე (აკრ.: PL – Petiole Length); გამოითვლებოდა ფოთლის ყუნწის და ფირფიტის სიგრძეების ფარდობა (აკრ.: LR – Leaf Ratio) და ფოთლის ფირფიტის სიგრძის და სიგანის ფარდობა (აკრ.: LBR – Leaf Blade Ratio).



სურათი 3. მორფომეტრიული ანალიზისთვის გადაღებულ ფოთლების ციფრული ფოტოსურათის ნიმუში.

ნიმუშთან დაკავშირებული სხვა მონაცემები ინიშნებოდა ჟურნალში, რომელშიც იწერებოდა სახეობის ლათინური სახელწოდება, სინჯის ალების ადგილმდებარეობა, გეოგრაფიული კოორდინატები, ზღვის დონიდან სიმაღლე, ნიმუშის ნომერი, ჰაბიტატის ტიპი და ექსპოზიცია.

ნიმუშად აღებული ნაყოფები იზომებოდა ციფრული შტანგელით (მოდელი: Neiko 01409A Electronic Digital Caliper with LCD Screen). ნაყოფზე იზომებოდა შემდეგი დესკრიპტორული პარამეტრები: ნაყოფის სიგრძე (აკრ.: FL – Fruit Length); ნაყოფის ყველაზე გამსხვილებული ნაწილის დიამეტრი (აკრ.: FD – Fruit Diameter); ნაყოფის ყუნწის სიგრძე (აკრ.: FSL Fruit Stalk Length) და გამოითვლებოდა ნაყოფის ყუნწის სიგრძის და ნაყოფის დიამეტრის ფარდობა (აკრ.: FR – Fruit Ratio).

4.1.3. დესკრიპტორული ანალიზი

კვლევისთვის შერჩეული ინდივიდები შეფასდნენ 27 დესკრიპტორით (ცხრ. 3), რომელთაგანაც 13 ფოთლის და ღეროს ნიშნებს ასახავდა, ხოლო 14 - ნაყოფის ნიშნებს. მორფოლოგიური მახასიათებლები კვლევისთვის შეირჩა მორფომეტრიული ნიშნების დესკრიპტორების ნუსხის და მათი კვლევაში გამოყენების სახელმძღვანელოს (UPOV, 2000) მიხედვით, რომელიც შექმნილია კულტურული მსხლების და მათი ველური ნათესავების შესაფასებლად. მორფომეტრიული კვლევის დასაგეგმად გამოყენებული იქნა Voltas et al. (2007) მონაცემებიც, რომელშიც კვლევა დესკრიპტორების ნუსხაზე (UPOV, 2000) იყო დაფუძნებული.

ცხრილი 3. დესკრიპტორული მეთოდით განსაზღვრული მორფოლოგიური ნიშნების ნუსხა. თითოეული დესკრიპტორისთვის მოცემულია შესაბამისი მორფოლოგიური ნიშნის აღწერილობა და გრადაცია; აკრონიმი და დესკრიპტორის ნომენკლატურული ნომერი (UPOV, 2000).

ფოთლის, ტოტების, და ხის ნიშნები			ნაყოფის ნიშნები		
დესკრიპტორის ნომერი წყაროდან	ნიშნის აღწერილობა	აკრონიმი	დესკრიპტორის წყარო*	ნიშნის აღწერილობა	აკრონიმი
ლენდმარკული ანალიზი			Qualitative traits		
-	ფოთლის ფორმა (4 ჰარმონიკის საშუალო)	LSH	37	ნაყოფის სიგრძე: (1) მოკლე (2) საშუალო (3) ჭრბელი	FL
რაოდენობრივი მახასიათებლები			38	ნაყოფის მაქს. დიამეტრი: (1) მცირე (2) საშუალო (3) ფართო	FMD
14	ფოთლის ფირფიტის სიგრძე (სმ)	LBL	39	ნაყოფის ფორმა: ფარდობა სიგრძე/ დიამეტრი (1) ძალზე მცირე (2) მცირე (3) საშუალო (4) ფართო (5) ძალზე ფართო	RLD
15	ფოთლის ფირფიტის სიგანე (სმ)	LBW	44	ნაყოფის კანის ძირითადი ფერი (1) შეუმჩნეველი (2) მწვანე (3) მომწვანო მოყვითალო (4) ყვითელი (5) მოწითალო	FGC
16	ფარდობა ფოთლის ფირფიტის სიგრძე/სიგანე სმ)	RLW	46	ნაყოფის ტონური შეფერილობა (1) შეუმჩნეველი (2) მოწითალო	FOC

				ნარინჯისფერი (3) მოწითალო ვარდისფერი (4) ღია წითელი (5) მუქი წითელი (6) ნარინჯისფერი	
23	ყუნწის სიგრძე (სმ)	PL	50	ნაყოფის ყუნწის სიგრძე: (1) მოკლე (2) საშუალო (3) გრძელი	FSL
-	ყუნწის ფორმა	Psh	51	ნაყოფის ყუნწის ფორმა: (1) ფუძესთან გაფართოვებული (2) სწორი (3) წვერთან გაფართოვებული (4) გამსხვილებული თავით და ბოლოთი.	FSSh
-	ფოთლის ფარდობითი მონაცემი: ფოთლის ყუნწის სიგრძე/ფოთლის ფირფიტის სიგრძე	RLP	60	ნაყოფის რბილობის ტექსტურა (1) რბილი (2) გარდამავალი (3) უხეში	FTF
ხარისხობრივი ნიშნები			-	ნაყოფის რბილობის ფერი (1) ნათელი (2) მუქი	FCF
17	ფოთლის ფირფიტის ფუძის ფორმა (1) წამახული (2) ფართო კვერცხისებრი (3) მომრგვალებული (4) გულისებრი (5) ფართო ელიფსური (6) ვიწრო ელიფსური	LBB	-	ნაყოფის კვებითი ღირებულება (1) ძალზე დაბალი (2) დაბალი (3) საშუალო (4) კარგი (5) ძალზე კარგი	FEQ
18	ფოთლის ფირფიტის წვერის ფორმა (1) წამახული (2) წაწვეტებული (3) მომრგვალებული(4) ამოზურცული	LBA	სეზონური ნიშნები		
20	ფოთლის ფირფიტის კიდის ფორმა (1) მთლიანი (2) დატალღული (3) ხეხკბილა (4) დაკბილულია მხოლოდ აპიკალური ნაწილი	LBM	64	ყვავილობა: (1) ძალზე საადრეო (2) საადრეო (3) საშუალო (4) გვიანური (5) ძალზე გვიანური	TF
-	ფოთლის შებუსვა (1) შიშველი (2) ქეჩისებრი (3) ჯაგრისებრი ხშირი (4) ჯაგრისებრი მეჩხერი (5) მეჩხერად შებუსვილია მხოლოდ ფირფიტის კიდე და ყუნწი	LBC	-	ნაყოფის მოსხმის პერიოდი: 1) ძალზე საადრეო (2) საადრეო (3) საშუალო (4) გვიანური (5) ძალზე გვიანური	FA
-	ეკლების რაოდენობა ღეროზე (1) მეჩხერი (2) გარდამავალი (3) ხშირი (4) უეკლო	YST	65	ნაყოფის მომწიფების დრო: (1) ძალზე საადრეო (2) საადრეო (3) საშუალო (4) გვიანური (5) ძალზე გვიანური	FHM


-	ვარჯის ფორმა (1) მომრგვალებული (2) ფართო ელიფსური (3) პირამიდული (4) ფართო პირამიდული	CSH	-	ნაყოფობის დასასრული: 1) ძალზე საადრეო (2) საადრეო (3) საშუალო (4) გვიანური (5) ძალზე გვიანური	EFP
---	--	-----	---	---	-----

ნაყოფის რბილობის სკლეროიდული უჯრედების რაოდენობების, ფოთლის შებუსვის სიხშირის და ტიპის და ფოთლის კიდის ფორმებისთვის დესკრიპტორების მისასადაგებლად გამოყენებული იქნა სტერეო მიკროსკოპი (Stemi DV4, Karl Zeiss, Germany). ორი მახასიათებელი - ხის ვარჯის ფორმა (TSh – Tree Shape), და ეკლების რაოდენობა (YST – Young Stem Thorns) დესკრიპტორულად განისაზღვრა ველზე. ველზე განისაზღვრა ასევე კულტურული ველური მსხლების სეზონური მახასიათებლებიც. ინფორმაცია შეგროვდა საველე შესწავლით და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით. მოპოვებული ინფორმაცია შედარდა ლიტერატურულ მონაცემებს (ხომიზურაშვილი და ერისთავი, 1931, 1941; შარაშენიძე, 1956, 1967; ახვლედიანი, 1956, 1958; წიქვაძე და ისაკაძე, 1969; ხომიზურაშვილი, 1973 (I, II); ქუთათელაძე, 1947, 1980; მესხიძე და სხვ., 2015).

კვლევისთვის დამატებითი მნიშვნელოვანი დესკრიპტორები: ნაყოფის რბილობის ფერი; თესლების რაოდენობა ნაყოფში; ვარჯის ფორმა; ეკლების რაოდენობა ახალგაზრდა ყლორტებზე; ასევე ფოთლის დესკრიპტორები აღებული იქნა IBPGR-ს მსხლის დესკრიპტორთა ნუსხიდან (Thibault et al., 1983). კვლევის საწყის ეტაპზე დესკრიპტორთა ნუსხებიდან რელევანტური დესკრიპტორების შესარჩევად განხორციელდა საპილოტო კვლევა, რომლის დროსაც მსხლის ჯიშების და სხვადასხვა ველური ტაქსონის 70 ინდივიდი შეფასდა UPOV (2000) ნუსხის ყველა დესკრიპტორით. დესკრიპტორები შეირჩნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალი იყო მათი ჯგუფთაშორის ვარიაბელობა. დესკრიპტორთა შერჩევის დროს ასევე ვიხელმძღვანელებთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ველური მსხლებზე არსებული სისტემატიკური და ტაქსონომიური მონაცემებით (ქუთათელაძე, 1947, 1980). საბოლოო ჯამში კვლევაში სახელმძღვანელოდ შეიქმნა იმ

მორფოლოგიური ნიშნების მინიმალური ნუსხა, რომებიც ტაქსონურ ჯგუფებს ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებდნენ (ცხრ. 3).

მორფომეტრიული ანალიზისთვის საველე მასალების დიგიტალური ფოტოსურათები დამუშავდა ინტერნეტ სივრციდან თავისუფლად ჩამოტვირთვადი პროგრამული პაკეტით „Shape 1.3“, (Iwata, 2006), რომლის მეშვეობითაც საანალიზო ობიექტების ფორმა გარდაიქმნება ელიფსური ფურიეს მწკრივებად (Kuhl and Giardina, 1982). ასეთ სისტემას სხვანაირად ჰარმონიულ რიცხვთ მწკრივები ანუ ‘ჰარმონიკები’ ეწოდებათ. თითოეული საანალიზო ობიექტის, მოცემულ შემთხვევაში - ფოთლის ფორმის იდენტიფიკაციისათვის, პროგრამა იყენებს 20 კომპონენტთან ოთხ: a,b,c და d-ჰარმონიულ რიცხვთა მწკრივს, რომლებიც წარმოადგენენ ორგანოზომილების კოორდინატთა სიბრტყეზე საანალიზო ობიექტის კონტურის მდებარეობის აღმნიშვნელ წერტილებს (სქემა 4). a და b მწკრივები გამოსახავენ აბსცისათა, ხოლო c და d მწკრივები ორდინატთა ღერძზე ფოთლის კონტურის კოორდინატებს. ამგვარად, მოცემული პროგრამით ხდება საანალიზო ობიექტის ფორმის რიცხვით მონაცემში გადაყვანა.



სქემა 4. მორფომეტრიული პროგრამა - Shape 1.3-ით განხორციელებული გარდაქმნა. ფოთლის კონტური გამოსახული a,b,c,d-ჰარმონიულ რიცხვთა მწკრივებით, რომელთაგან a და b შეესაბამება აბსცისათა ხოლო c და d ორდინატთა ღერძზე ფოთლის კონტურის კოორდინატებს.

პროგრამული პაკეტი Shape მოიცავს რამოდენიმე დამხმარე პროგრამას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი საკვლევი ინდივიდის ფოთლები შედარდეს სხვა საკვლევი ინდივიდის ფოთლებს. ასევე შესაძლოა შედარდეს მცენარის სხვა ორგანოებიც (მაგ, ჯამის ფოთოლაკებს ან ყვავილის გვირგვინის ფურცლებს), რომელთა ფორმებიც შედარებადი არიან 2 განზომილებიან ფორმატში. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ამ პროგრამის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია არ არის საკმარისი ნიმუშებად შეგროვილ ფოთლების მორფოლოგიური შესწავლისთვის, რადგან პროგრამა აღიქვამს მხოლოდ მათ ფორმას ორ განზომილებაში. ასეთ შემთხვევაში ფოთლის სტრუქტურის განმსაზღვრელი სხვა მორფოლოგიური ნიშნები, კერძოდ - ფოთლის ფირფიტის კიდის დაკბილვა ან დატალღული ფორმა და ფოთლის სხვადასხვა ტიპის შებუსვა ანგარიშს მიღმა რჩება.

მოცემული მეთოდით მცენარეთა მორფოლოგიური შესწავლის სხვა ლიტერატურული პრეცედენტების გათვალისწინებით (Rohlf and Archie, 1984; Marcus et al., 1996; Yoshioka et al., 2004) პროგრამული პაკეტი Shape-ს გამოყენებით მიღებული მონაცემები გავამარტივეთ, კერძოდ ოთხი (a,b,c,d) 20 წევრიანი ჰარმონიკთა მწკრივები, რომელიც თითო ფოთლის ფორმის ამსახველ მონაცემად მივიღეთ, ერთ 20 წევრიან ჰარმონიულ მწკრივად გარდავქმენით. ამისთვის ჰაინესის და კრემპტონის (Haines & Crampton, 2000) მიერ შემოთავაზებული მეთოდი გამოვიყენეთ. აღნიშნული მეთოდის მიხედვით გარდაქმნა ხდება შემდეგი ფორმულით:

$$\sqrt{(a + b + c + d)2}$$

სადაც a,b,c და d ჰარმონიული რიცხვთა მწკრივებია, კოორდინატებით აბსცისა და კოორდინატთა ღერძებზე.

მიღებული მონაცემების გადატანა მოხდა საერთო მონაცემთა ბაზაში და სხვა მორფოლოგიური ნიშნების მონაცემებთან ერთად გაანალიზდა.

4.1.4. მორფომეტრიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის მეთოდები

აღწერითი სტატისტიკის სახით რაოდენობითი მონაცემებისთვის, რომელიც ფოთლის განაზომებს მოიცავდა, დაითვალა სტანდარტული გადახრა და საშუალო სიდიდე. საშუალო სიდიდეები შედარდა ერთ-ფაქტორიანი ვარიანსას ანალიზის (One Way ANOVA), იგივე დისპერსიის ანალიზის პოსტ ჰოკის დიაპაზონის ტესტით. თანაბარი ვარიანსების ვარაუდისთვის გამოყენებული იქნა ტუკის სარწმუნო სხვაობათა სიწრფელის ტესტი, სადაც ალბათობისთვის შეირჩა ოპცია $p \leq 0.05$. ფოთლის თითოეული დესკრიპტორისათვის გამოითვალა ინდივიდუალური F-მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საერთო ჯგუფთაშორის სხვაობებს. კატეგორიული ცვლადების განაწილებათა ურთიერთსხვაობის გამოსავლენად დამოუკიდებლობის ტესტი χ^2 (ხი-კვადრატი) იქნა გამოყენებული. თითოეული ცვლადისთვის ასევე გამოითვალა სარწმუნოება ($p \leq 0.05$) და თავისუფლების ხარისხი (df). თითოეული კლასიფიკაციისთვის ჯგუფთაშორისი საშუალო ვექტორების სხვაობები შეფასდა უილკის ლამბდას მნიშვნელობით (λ). ეს მონაცემი გასაშუალოვდა ფიშერის (F) განაწილების ტესტით, რათა მომხდარიყო ცვლადთა ჯგუფს-შიდა და ჯგუფთაშორისი ვარიანსების განსაზღვრა (რაც უფრო დაბალია λ -ს მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია ჯგუფთა საშუალო მნიშვნელობებს შორის სხვაობა). ხარისხობრივი ცვლადებისთვის გამოთვლილი იქნა განაწილების სიხშირე და პროცენტული მაჩვენებლები.

პრინციპული კომპონენტების ანალიზი (PCA) ემყარებოდა კოეფიციენტების კოვარიაციულ მატრიცას კორელაციურის ნაცვლად, რადგან მეორე შემთხვევაში ვარიანსის მცირე მნიშვნელობის მქონე ცვლადები და ასევე ჰარმონიული რიცხვთა მწკრივები, რომლებიც ასევე რიცხვობრივად მცირე დიაპაზონში ვარირებდნენ, ვერ მოახდენდნენ გავლენას ჯგუფთა განცალკევებაზე.

დისკრიმინანტული ფუნქციის საფეხურობრივი ანალიზით (DFA) განისაზღვრა რაოდენობრივი მორფოლოგიური ნიშნები, რომლებიც ყველაზე მეტად განასხვავებდნენ საკვლევ ჯგუფებს. ყველა მორფოლოგიური ნიშნი, რომლებიც

ცვლადების სახით იქნა შენახული, გარდაიქმნა ფუნქციებად. მათი გამოყენებით განხორციელდა კანონიკური დისკრიმინაციის ანალიზი (CDF). სარწმუნოების დონის და შესაბამისი F-მნიშვნელობისთვის შეირჩა ალბათობის ზღვრული მნიშვნელობები - $p = 0.05$ და $p = 0.1$. შერჩეულ ნიშნებს შორის სხვაობის განსაზღვრისთვის მაჰალანობისის დისტანციები იქნა გამოყენებული. ფუნქციებით აიგო ჯგუფთაშორისი დისკრიმინაციის გამომსახველი სქემები. კანონიკური ფუნქციებად გამოყენებული იქნა ფუნქციები, რომლებსაც სარწმუნოება და F-მნიშვნელობა სხვებთან შედარებით ყველაზე მაღალი ჰქონდათ. CDF-ს თან ერთად ჯგუფთა წევრობის პროგნოზული კლასიფიკაციაც განხორციელდა. კლასიფიკაცია ჩატარდა ორი სქემით, სადაც ერთ შემთხვევაში ჯიშების ჯგუფები (მსხლის შემოტანილი და ადგილობრივი ჯიშები) გაერთიანდა ერთ ჯგუფად, ხოლო მეორე შემთხვევაში მათი ანალიზი მოხდა, როგორც ცალ-ცალკე ჯგუფებისა.

კლასტერული ანალიზი განხორციელდა იერარქიული კლასტერული ანალიზის (HCA) მეთოდით. კლასტერებს შორის დისტანციების, ანუ მსგავსების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა უორდის (Ward, 1963) მეთოდი, როგორც ამალგამაციის წესი. ეს მეთოდი იყენებს ვარიანსას ანალიზს კლასტერებს შორის მანძილების განსაზღვრისთვის და მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი ორი (ჰიპოტეტური) კლასტერის კვადრატების ჯამი, რომლებიც ფორმირდებიან ანალიზის თითოეულ საფეხურზე. დისტანციების განაზომის ინტერვალად შერჩეული იქნა ევკლიდური დისტანცია, რომლითაც ანგარიშდება ობიექტებს შორის მანძილი მრავალგანზომილან სივრცეში.

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამული პაკეტებით SPSS v.13.0 (SPSS Inc., 2004) და Statistica 6.0 - თ (Hill & Lewicki, 2007).

4.2. გენეტიკური კვლევის მეთოდები

4.2.1. მცენარეული მასალა გენეტიკური კვლევისთვის და მონაცემთა ანალიზის მეთოდები

გენეტიკური ანალიზით, საქართველოში შეგროვილი მსხლის ველური და კულტურული ტაქსონის 150 ინდივიდი (ცხრ. 4, 6) შედარდა ევროპაში და კავკასიაში გავრცელებული კულტურული მსხლების ველური ნათესავების - პანტის (*P. caucasica*) და ტყის მსხლის (*P. pyrastrer*) 73 ინდივიდს (ცხრ. 5). ჯამურად გენეტიკურად 223 ინდივიდი იქნა გამოკვლეული.

საქართველოში შეგროვილი ველური და კულტურული მსხლების გენეტიკური მრავალფეროვნება შედარდა ამერიკის ეროვნული მცენარეთა გენოფონდის სისტემის (NPGS) ნიმუშებს: *P. caucasica* (N=42) და *P. pyrastrer* (N=31). ნიმუშები მოპოვებული იქნა ქალაქ კორვალისში მდებარე (Corvallis, OR, USA) ამერიკის ეროვნულ კლონური გენოფონდის საცავის (NCGR) მონაცემთა ბაზიდან (Volk et al., 2006; ცხრ. 5; სქემა 3).

ცხრილი 4. საქართველოში შეგროვილი ველური მსხლების ნიმუშები, გამოყენებული გენეტიკური კვლევებისათვის.

N	ტაქსონი	წარმომავლობა	ნიმუშის ნომერი	რეგიონი	ადგილმდებარეობა	რაოდ.(N=)
1	<i>P. balansae</i>	GE	119	სამცხე-ჯავახეთი	გოდერძის უღელტეხილი	1
2	<i>P. balansae</i>	GE	126	ლეჩხუმი	ლაჯაურის ხეობა	1
3	<i>P. balansae</i>	GE	183; 184; 185; 186; 187; 188; 189	აჭარა	ხინო, კინტრიშის ხეობა	7
4	<i>P. balansae</i>	GE	193	აჭარა	დიდვაკე, კინტრიშის ხეობა	1
5	<i>P. sachokiana</i>	GE	147	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	2
6	<i>P. caucasica</i>	GE	11; 12; 14	ქვემო ქართლი	კოჯორი	3
7	<i>P. caucasica</i>	GE	15; 16	ქვემო ქართლი	ბეთანია	2
8	<i>P. caucasica</i>	GE	17	ქვემო ქართლი	პანტიანი	1
9	<i>P. caucasica</i>	GE	22; 23	მცხეთა-მთიანეთი	კოტორაანთკარი	2
10	<i>P. caucasica</i>	GE	24; 26	მცხეთა-მთიანეთი	ბურიანი	3
11	<i>P. caucasica</i>	GE	27; 30	მცხეთა-მთიანეთი	ცხვარიჭამია	4
12	<i>P. caucasica</i>	GE	33	სამცხე-ჯავახეთი	ლიკანი	1
13	<i>P. caucasica</i>	GE	34	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	1

14	<i>P. caucasica</i>	GE	35	სამცხე-ჯავახეთი	დაბა	1
15	<i>P. caucasica</i>	GE	41	იმერეთი	რიკოთი	1
16	<i>P. caucasica</i>	GE	42	იმერეთი	ვერტყვიჭალა	1
17	<i>P. caucasica</i>	GE	43; 44; 45; 46	იმერეთი	დაბაძველი	4
18	<i>P. caucasica</i>	GE	47; 48	იმერეთი	ტყიბული	2
19	<i>P. caucasica</i>	GE	49; 50; 68; 69	იმერეთი	ნაქერალა	4
20	<i>P. caucasica</i>	GE	51	რაჭა-ლეჩხუმი	ჟოშხა	1
21	<i>P. caucasica</i>	GE	52; 53	რაჭა-ლეჩხუმი	პატარაონი	2
22	<i>P. caucasica</i>	GE	55; 56; 57; 58	რაჭა-ლეჩხუმი	ტბეთი	4
23	<i>P. caucasica</i>	GE	61; 62; 63; 64	რაჭა-ლეჩხუმი	ჟოშხა	4
24	<i>P. caucasica</i>	GE	66	რაჭა-ლეჩხუმი	ნიკორწმინდა	1
25	<i>P. caucasica</i>	GE	67	რაჭა-ლეჩხუმი	შაორი	1
26	<i>P. caucasica</i>	GE	71-75	ქვემო ქართლი	ფიტარეთი	5
27	<i>P. caucasica</i>	GE	77, 79	კახეთი	მარტყოფი	2
28	<i>P. caucasica</i>	GE	85; 86; 87; 88	მცხეთა-მთიანეთი	ანანური	4
29	<i>P. caucasica</i>	GE	90; 91	ქვემო ქართლი	ქოროდლი	2
30	<i>P. caucasica</i>	GE	96; 97	მცხეთა-მთიანეთი	ფასანაური	2
31	<i>P. caucasica</i>	GE	102	მცხეთა-მთიანეთი	ბაზალეთი	1
32	<i>P. caucasica</i>	GE	139; 140	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	1
33	<i>P. caucasica</i>	GE	150	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	1
34	<i>P. caucasica</i>	GE	175	აჭარა	რიკეთი, ხულო	1
35	<i>P. caucasica</i>	GE	178	იმერეთი	ჭოგნარი	1
36	<i>P. caucasica</i>	GE	191	აჭარა	ხინო, კინტრიშის ხეობა	1
37	<i>P. caucasica</i>	GE	196, 198, 199, 201	სვანეთი	ენგურის ხეობა	4
38	<i>P. caucasica</i>	GE	205	სვანეთი	ჯვარი, ენგურის ხეობა	1
39	<i>P. caucasica</i>	GE	215	სამეგრელო	სქური, ტეხურის ხეობა	1
40	<i>P. caucasica</i>	GE	217; 218	სამეგრელო	ლებარდე, ხობის ხეობა	2
41	<i>P. demetreei</i>	GE	7	კახეთი	კასრისწყალი	1
42	<i>P. demetreei</i>	GE	21	მცხეთა-მთიანეთი	წიწამური	1
43	<i>P. demetreei</i>	GE	142, 143	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	3
44	<i>P. ketzkhovelii</i>	GE	149	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	4
45	<i>P. sachokiana</i>	GE	6	კახეთი	კასრისწყალი	3
46	<i>P. salicifolia</i>	GE	1; 2; 3; 4; 5	კახეთი	გარეჯი	5
47	<i>P. salicifolia</i>	GE	8; 9; 10	კახეთი	კასრისწყალი	3
48	<i>P. salicifolia</i>	GE	31	სამცხე-ჯავახეთი	ლიკანი	1
49	<i>P. salicifolia</i>	GE	127; 128; 129	თბილისი	ნუცუბიდის პლატო	3
50	<i>P. salicifolia</i>	GE	141, 146, 153	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა, ჯვარი	3
51	<i>P. syriaca</i>	GE	131	თბილისი	ნუცუბიდის პლატო	2
52	<i>P. syriaca</i>	GE	144; 145	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა, ჯვარი	2

გენეტიკურად საერთო ჯამში საქართველოში შეგროვილი კულტურული მსხლის 35 ინდივიდი იქნა გამოკვლეული. მათგან 19 ინდივიდი მსხლის ქართულ ადგილობრივ ჯიშებს წარმოადგენდა, რომელიც პანტის დომესტიკაციით იქნა მიღებული (Akhalkatsi et al., 2012; Asanidze et al., 2011). ადგილობრივი ჯიშები შეგროვდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, ლეჩხუმი და რაჭა (ცხრ. 6). მსხლის ადგილობრივი ჯიშების 16 ინდივიდი, რომლებსაც გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნები ჰქონდათ პანტასა და ევროპულ ტყის მსხალს შორის, შეგროვდა დაბლობზე შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო, გურია, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი. ადგილობრივი და შემოტანილი მსხლის ჯიშები ასევე შეგროვდა ყოფილი მეხილეობის, მეღვინეობის და მევენახეობის ინსტიტუტის (IHVO) ცოცხალ კოლექციაში (სკრა, გორის რაიონი; შიდა ქართლი). მსხლის ადგილობრივი ჯიშების ნიმუშები (ცხრ. 6) შეგროვდა „ელკანა“-ს ცოცხალი კოლექციაში (წნისი, ახალციხის რაიონი, სამცხე-ჯავახეთი).

ცხრილი 5. გენეტიკურ ანალიზში ჩართული მსხლის სახეობები NPGS კოლექციიდან

N	ტაქსონი	წარმოშობა	ნიმუშის ნომერი	ქვეყანა	ადგილმდებარეობა	რაოდ. (N=)
53	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 1602	პოლონეთი	უცნობია	1
54	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 2053; 2054	რუსეთი	ბეკუშევსკია	2
55	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 690	რუსეთი	დომბაი	1
56	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 687; 688; 689; 717; 718; 719; 720; 727; 728; 729; 1192; 1193; 2037; 2038	რუსეთი	სტავროპოლი	14
57	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 1194; 1195; 2045; 2049; 2050	რუსეთი	ტებერდა	5
58	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 694; 695; 697; 698	რუსეთი	სვეტლოგრადი	4
59	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 680; 681; 731; 2040; 2043; 2532	რუსეთი	უცნობია	6
60	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 2056	რუსეთი	ქელეზნოვოდსკო	1
61	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 1674	სერბეთი	უცნობია	1
62	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 902	უკრაინა	ასკინია-ნოვა	1

63	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 2066	უკრაინა	ბარლაკოში	1
64	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 684; 685; 2060; 2064	უკრაინა	უცნობია	4
65	<i>P. caucasica</i>	NPGS 2006	CPYR 1191	უკრაინა	იალტა	1
66	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1535	ჩეხეთი	უცნობია	1
67	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 714	გერმანია	უცნობია	1
68	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1251	საფრანგეთი	უცნობია	1
69	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1288	ირანი	უცნობია	1
70	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1289; 1292	უნგრეთი	უცნობია	2
71	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 883	მაკედონია	ბოსავა-კავადარცი	1
72	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 993	მაკედონია	მავროვო	1
73	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 989	მაკედონია	სკლოპჯე	1
74	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1638; 1640	მაკედონია	უცნობია	2
75	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 2059; 2067; 2068	მოლდოვა	უცნობია	3
76	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1537; 1539; 1540	პოლონეთი	უცნობია	3
77	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1633	პოლონეთი	კოვალიჩა	1
78	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1671	რუმინეთი	ვალისორარას	1
79	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 1684	რუმინეთი	უცნობია	1
80	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 693; 710; 712; 1248; 1249; 1250; 1252; 1466; 1467; 2057	თურქეთი	უცნობია	10
81	<i>P. pyraister</i>	NPGS 2006	CPYR 881	უცნობია	უცნობია	1

გენეტიკური ანალიზისთვის გამოვიყენეთ მსხლის იგივე ინდივიდებიდან შეგროვილი ნიმუშები, რომლებიც მორფომეტრიულად იქნენ შესწავლილი. სხვაობა მორფომეტრიულ და გენეტიკურ კვლევაში გამოყენებულ ნიმუშებს შორის საქართველოში შეგროვილ ნიმუშთა რაოდენობა იყო. ჯამურად, საქართველოში ნიმუშებად აღებული ველური და კულტურული მსხლების 239 ინდივიდი იქნა მორფოლოგიურად შესწავლილი. აქედან გენეტიკურ კვლევაში მხოლოდ 150 ინდივიდის ნიმუში იქნა გამოყენებული. კონკრეტულად, გენეტიკურ კვლევაში გამოყენებული ნიმუშები შემდეგი რაოდენობებით იყვნენ წარმოდგენილი: პანტები [*P. caucasica* (N=73), *P. balansae* (N=9)] 82 ნიმუში; ბერყენები [*P. salicifolia* (N=15), *P. demetrii* (N=5), *P. ketzkhovelii* (N=4), *P. sachokiana* (N=5), *P. syriaca* (N=4)] 33 ნიმუში; კულტურული მსხლები [შემოტანილი ჯიშები (ICV, N=11); ადგილობრივი ჯიშები (LCV, N=12); ადგილობრივი ჯიშები გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნებით, იგივე

ჰიბრიდული ჯიშები (HCV, N=12)] 35 ნიმუში. NCGR-ს მონაცემთა ბაზებიდან მოპოვებული: კულტურული მსხლის ველური ნათესავი სახეობის [*P. caucasica* (N=42); *P. pyraister* (N=31)] 73 ნიმუში.

ნიმუშების შეგროვების ადგილების რუკაზე დატანა მოხდა პროგრამული პაკეტის 'ARC-GIS' გამოყენებით (Hijmans et al., 2012; სქემა 3). ფოთლის ნიმუშები ლაბორატორიულად დამუშავდა NPGPR-ს ფორტ-კოლინზის (Fort Collins, CO., USA) მოდულის ლაბორატორიაში.

ცხრილი 6. საქართველოში ნიმუშად აღებული მსხლის ჯიშები: ადგილობრივი (LCV), შემოტანილი (ICV), და მათ შორის გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნების მქონე (HCV) მსხლის ჯიშები.

N	ჯიშის სახელწოდება	ტაქსონი	ჯიშის ჯგუფი	აბრევიატურა	რეგიონი	ადგილმდებარეობა	ნიმუშის ნომერი
82	Beurre Bosque	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	ფხვენისი, გორის რნ.	94
83	Beurre d'Anjou	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია, ახალშენი, ლენტეხის რნ.	134
84	Duchesse d'Angouleme	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია	136
85	Beurre d'Hardampont	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	გურია	ქვიანი, ლანჩხუთის რნ.	179
86	კაცისთავა	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	აჭარა	ნამონასტრალი, ქედა	162
87	ხეჭეჭური	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	აჭარა	ნამონასტრალი, ქედა	161
88	ხეჭეჭური	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	აჭარა	დიდვაკე, კინტრიშის ხეობა	194
89	ხეჭეჭური	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	რაჭა-ლეჩხუმი	ჟოშხა, ამბროლაურის რნ.	65
90	კახური ხეჭეჭური	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	კახეთი	შილდა, ყვარლის რნ.	81
91	გულაბი	<i>P. caucasica</i>	გულაბი	HCV	სამცხე-ჯავახეთი	ზარზმა, ადიგენის რნ.	172
92	Kiffer pear	<i>P. communis</i> 'Bartlett' x <i>P.</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	შინდისი, გორის რნ.	95

		pyrifolia 'Sand pear'					
93	კვიჭიჭა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	გურია	ქვიანი, ლანჩხუთის რნ.	181
94	მაჟარა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	აჭარა	რიკეთი, ხულოს რნ.	174
95	მაქრე	უცნობია	უცნობია	HCV	სამეგრელო	სქური, წალენჯიხის რნ.	209
96	ნენეს მსხალი	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხალი	LCV	სამცხე-ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	166
97	პანტა მსხალი	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	სამეგრელო	სქური, წალენჯიხის რნ.	207; 213
98	პანტა მსხალი	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	სამცხე-ჯავახეთი	დაბა, ბორჯომის რნ.	39; 40
99	საელიობო	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	სამცხე-ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	93
100	Bartlett	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია	154
101	სამარიობო	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხალი	LCV	სამცხე-ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	164
102	სასელო	<i>P. caucasica</i>	კალოს მსხალი	LCV	სამცხე-ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	165
103	შავმსხალა	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	HCV	სამეგრელო	სქური, წალენჯიხის რნ.	210
104	შაქარა მსხალი	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	LCV	რაჭა-ლეჩხუმი	სკრის ცოცხალი კოლექცია	116
105	თავრეჯული	<i>P. caucasica</i>	ხეჭეჭური	HCV	სამცხე-ჯავახეთი	ნაქალაქევი, ასპინძის რნ.	169
106	Fondante des bois	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია	155
107	Saint-Germain	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია	202
108	წითელგვერდა	უცნობია	უცნობია	HCV	სამცხე-ჯავახეთი	არალი, ადიგენის რნ.	160
109	წითელგვერდა	უცნობია	უცნობია	HCV	გურია	გრიგოლეთი, ლანჩხუთის რნ.	182
110	წითელგვერდა	უცნობია	უცნობია	HCV	სამცხე-ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	168
111	Winter Dechantsbirne	<i>P. communis</i>	პანტა მსხალი	ICV	შიდა ქართლი	სკრის ცოცხალი კოლექცია	208

112	წვრილმსხალა (სამურაბე პანტა)	<i>P. caucasica</i>	პანტა მსხალი	ICV	სვანეთი	ლაზამულა, მესტიის რნ.	197
113	გულაბი	უცნობია	უცნობია	HCV	სამცხე- ჯავახეთი	წნისი, ელკანას კოლექცია	170
114	Winter Nelis (ალაგორის შავი)	<i>P. communis</i>	შემოტანილი	ICV	სვანეთი	ხაიში, მესტიის რნ.	204

ანალიზის დროს გენოტიპები განისაზღვრა მსხლის 216 ინდისათვის. გენეტიკურად გაანალიზდა მხოლოდ ის ინდივიდები, რომელთათვისაც დაკარგული მონაცემის ანუ ლოკუსების რაოდენობა ორს არ აღემატებოდა. სპეციფიური კონტრასტები შეირჩა გენეტიკური სხვაობის დასადგენად 1) ბერყენას (*P. salicifolia*); ტყის მსხლის (*P. pyrastrer*) და პანტას (*P. caucasica*); 2) *P. caucasica*-ს საქართველოში შეგროვებულ ნიმუშებსა და NPGS-ს ბაზებში მოპოვებულ ნიმუშებს შორის; 3) *P. caucasica*-ს და მსხლის საქართველოში შეგროვებულ ჯიშებს შორის. კონტრასტთა ყოველი წყებისთვის განისაზღვრა: ალელების საშუალო რიცხვი ლოკუსში; მოსალოდნელი ჰეტეროზიგოტურობა და ვარიანსების პროპორციის ინდექსი (Fst), რისთვისაც გამოყენებული იქნა პროგრამა 'GDA' (Lewis and Zaykin, 2001). ნიმუშის ზომის ვარიაციის კონტროლისთვის გამოყენებული იქნა გამეჩხერების მეთოდი, რომელიც განხორციელდა პროგრამით FSTAT v.2.9.3.2 (Goudet, 1995).

სხვაობათა მატრიცების და ყველაზე მართებული ე.წ. 'Neighbour-Joining' (მეზობელ-შემაკავშირებელი) დენდროგრამის შედგენისთვის გამოყენებული იქნა ნიმუშები, რომლებსაც შედარების შემდეგ დაკარგული მონაცემის რაოდენობა 30%-ზე დაბალი აღმოაჩნდათ. აღნიშნული სტატისტიკური ოპერაცია განხორციელდა პროგრამული პაკეტის 'DARwin' (Perrier et al., 2003; Perrier and Jacquemoud-Collet, 2006) მეშვეობით.

4.2.2. საველე ნიმუშების შეგროვების და შენახვის მეთოდი მოლეკულური ანალიზისთვის

ველური მსხლების საკვლევი ტაქსონებიდან ნიმუშების აღება ხდებოდა მათი პოპულაციის ზომის მიხედვით. საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახეობებიდან (*P. caucasica*, *P. balansae*, *P. salicifolia*, *P. demetrii*), რომელთა პოპულაციებიც შედარებით ფართო არეალს მოიცავენ, ნიმუშები საშუალოდ 10 კმ დისტანციის ინტერვალით დაშორებულ ტერიტორიებზე იქნა აღებული.

მცირერიცხოვანი პოპულაციებით წარმოდგენილი სახეობებისთვის (*P. sachokiana*, *P. georgica*, *P. takhtadzhiani*, *P. ketzkhoveli*, *P. fedorovii*, *P. oxyprion*) ნიმუშების აღება ხდებოდა პოპულაციის პერიფერიებზე და ცენტრში. მცირერიცხოვანი პოპულაციების შემთხვევაში აუცილებელი ხდება იმ გარემოების გათვალისწინება, რომ მსხლის გვარის სახეობები სხვა მრავალი მცენარის მსგავსად, როგორც თესლით, ასევე ვეგეტატიურად - ფესვის ამონაყრითაც მრავლდებიან. ეს ფაქტორი ართულებს იმის გარკვევას სად იწყება და სად მთავრდება ინდივიდი, რადგან ზოგ შემთხვევაში ერთ ფერდობზე წარმოდგენილი მცირე პოპულაცია რეალურად ორი ან სამი ინდივიდის ამონაყრისგან შეიძლება იყოს წარმოქმნილი. ვეგეტაციური გამრავლების უნარი არამხოლოდ მსხლის გვარისთვის ან ვარდისებრთა ოჯახისთვის არის დამახასიათებელი, იგი სხვა ოჯახების წარმომადგენელ სხვადასხვა სასიცოცხლო ფორმებშიც გვხვდება. ეს მოვლენა არ განეკუთვნება აპომიქსისის რომელიმე ტიპს, რადგან ვეგეტაციურ გამრავლებასთან ერთად, ნორმალური - სქესობრივი გამრავლების უნარიც არის შენარჩუნებული. სინჯების აღების დროს ხდებოდა სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც, როგორებიცაა:

- **ინდივიდის ასაკი.** ლიტერატურული წყაროების (Doyle & Dickson, 1987; Cheng et al., 1997; Pruyn & Spicer, 2012) მიხედვით სამიზნე სახეობის ინდივიდის ასაკი მნიშვნელოვანი ფაქტორია და მოქმედებს ნიმუშის ხარისხზე. ნიმუშების აღება ხდებოდა მოზრდილი ან ზრდასრული ინდივიდებიდან ანუ ხეებიდან,

რომლებსაც კარგად ჩამოყალიბებული მერქანი და ვარჯი ჰქონდათ. ზრდასრული ინდივიდებიდან ნიმუშის აღების დროსაც ხდებოდა კონკრეტული პრინციპის დაცვა, კერძოდ - ფოთლები გროვდებოდა ხის ვარჯის შუა ნაწილში არსებული ტოტებიდან, ტოტის აპიკალური ნაწილიდან (კენწეროდან) უკან, 10-15 სმ-ის დაშორებით. მოლეკულური კვლევისთვის ფოთლების შეგროვების დროს რეკომენდირებულია ნიმუში არამერისტემულ ზონაში იქნეს შეგროვილი, რადგან მერისტემული ზონის ფოთლები ძნელად ინახება გენეტიკური ანალიზისთვის, მათში დნმ-ი დენეტურაცია სწრაფად ხდება.

- **სეზონი.** ფოთლის ნიმუშები გროვდებოდა მაისიდან ივნისის პირველი ნახევრის ჩათვლით. უფრო გვიან პერიოდში, განსაკუთრებით შემოდგომაზე ფოთლის ნიმუშების შეგროვება მოლეკულური კვლევისთვის რეკომენდირებული არ არის ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. სოკოვანი დაავადებები. სხვადასხვა ხე მცენარეს რამოდენიმე ათეული სოკოვანი პარაზიტი ჰყავს. მსხლის გვარის როგორც ველური, ისე კულტურული წარმომადგენლებში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია სოკოვანი დაავადებები: მსხლის ჟანგა, გამოწვეული გვარი *Gymnosporangium* - ის წარმომადგენელი პარაზიტული სოკოებით (*G. sabinae*, *G. fuscum*, *G. libocedri*); ასევე სხვადასხვა სახის ქეცი - 'ყავისფერი ხალი' გამოწვეული პათოგენური სოკოსგან *Stemphylium vesicarium*; 'შავი ხალი' -გამოწვეული პათოგენური სოკო *Venturia pyrina*; ქეცის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტიპი, გამოწვეული პარაზიტი სოკო *Podosphaera leucotricha*-თი (Гврителишвили 1982; Luz, 2014). ეს პათოგენური სოკოები ნაყოფთან ერთად ფოთლებსაც აზიანებენ. როგორც წესი სოკოვანი დაავადებები გაზაფხულზე გამოსულ ნორჩ ფოთლებზე არ გვხვდება. სოკოვანი პათოგენებით დასნებოვნება ზაფხულის პერიოდიდან იწყება და

ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომაზე ნიმუშად შეგროვილი ფოთლები მაღალი ალბათობით ერთდროულად რამოდენიმე პათოგენური სოკოთი შეიძლება იყოს ინფიცირებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი შეხედვით დაუზიანებელი ფოთოლები შეგროვდა შემოდგომაზე, მასზე მაინც იქნება პარაზიტი სოკოს სპორები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ფოთლის გამოშრობა პათოგენური სოკოების გამრავლებას უშლის ხელს, მაინც დიდი ალბათობა იქმნება რომ ექსტრაქციის დროს ამ სოკოს გენებიც მოხვდნენ საანალიზო არეში და სინჯის დაბინძურება გამოიწვიონ.

2. მეორადი მეტაბოლიზმი მცენარეებში. ეს პროცესი ფოთოლმცვენ ხე მცენარეებში უმეტეს წილად ნაყოფობის ფენოლოგიურ ფაზაში იწყება. მარადმწვანე სახეობებში, გაცილებით ადრე - ყვავილობის ან ყვავილის მტვრის წარმოქმნის ფენო-ფაზიდან იწყება. მეორადი მეტაბოლიზმის დროს წარმოიქმნება ნივთიერებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მცენარის ზრდა-განვითარებისთვის, თუმცა პირველადი მეტაბოლიტებისგან განსხვავებით ამ ნივთიერებებს არ აქვთ აუცილებელი როლი მცენარის სიცოცხლის შენარჩუნებაში ან ფუნქციონირებაში. მეორადი ნაერთები ხშირ შემთხვევაში პირველადი მეტაბოლიტების ინჰიბირებას ახდენენ, რაც მცენარეში სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესის დასრულებას უწყობს ხელს. მეორადი ნაერთები განაპირობებენ მცენარის ფოთლის ან ნაყოფის სხვადასხვაგვარ პიგმენტაციას ნორჩობიდან მომწიფებამდე; აქვთ მცენარის დამცავი ფუნქცია, რომელიც მათ იცავს გამოვებისგან, სხვადასხვა ტიპის სოკოვანი, ბაქტერიული ან მწერებით გამოწვეული დაავადებისგან. ასევე გვევლინებიან ბუნებრივ ანტიბიოტიკებად, ინსექტიციდებად და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებად, რაც ხშირად მცენარეების სამედიცინო მნიშვნელობასაც განსაზღვრავს.

მეორადი მეტაბოლიტები ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ მოლეკულური ანალიზისთვის, რადგან მათი მოშორება ლაბორატორიულ სამუშაოს ართულებს და დნმ-ის სუფთა სახით ექსტრაქცია მათი თანაობისას თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მოლეკულური კვლევისთვის მიზანშეწონილია ახალგაზრდა ფოთლების შეგროვება (Cheng et al., 1997).

ნიმუშებად აღებული მსხლის თითოეული ინდივიდის ფოთლები, საიდანაც უნდა მომხდარიყო დნმ-ის ექსტრაქცია ფასოვდებოდა საშრობის ქაღალდის სტრუქტურის მქონე სპეციალურ კონვერტებში, რომლებსაც ტენის მაღალი გამტარობა აქავთ. ნიმუშები ინახებოდა პლასტმასის კონტეინერებში. ნიმუშებისთვის სიმშრალის შესანარჩუნებლად კონტეინერებში თავსდებოდა 100-150 გ. 'სილიკაგელი' (სილიკონის ჟელე - გრანულოვანი ნივთიერება, რომელიც გარემოდან ტენს იწოვს). სინჯებიანი კონტეინერები ინახებოდა მზის შუქისგან დაცულ ადგილზე, რადგან მზის რადიაციის პირდაპირი ზემოქმედებაც დნმ-ის დენატურაციის ფაქტორს წარმოადგენს.

4.2.3. ნიმუშების მომზადება მოლეკულური შესწავლისთვის

მოლეკულური ანალიზისთვის შეგროვილი ფოთლებიდან ხდებოდა 2 სმ² მოცულობის (საშუალოდ 15 მგ) ქსოვილის აღება. თითოეული ინდივიდის სინჯი თავსდებოდა ეპენდორფის 1.5 მილილიტრიან სინჯარაში და ხდებოდა მათი რეგისტრაციაში გატარება. რეგისტრირების დროს თითოეულ სინჯს ენიჭებოდა ლაბორატორიული კოდები, რომლებიც მოიცავდნენ სპეციფიურ აბრევიატურებს და ნომრებს. პირველი კოდი აღნიშნავდა სინჯის რაობას და მის რიგით ნომერს. გვარი მსხლის (Pyrus) ლათინური სახელწოდებიდან გამომდინარე მსხლის ყველა ლაბორატორიულ სინჯს მინიჭებული ჰქონდა აბრევიატურა 'PYR' და რიგითი ნომერი (მაგ PYR0001). მეორე კოდი გამიზნული იყო სინჯის წარმომავლობის და

სახეობის საიდენტიფიკაციოდ, ამგვარად საქართველოში შეგროვილ სინჯებს მიენიჭათ ეროვნული დომენის აღმნიშვნელი ლათინური აბრევიატურა 'GE' და მცენარეთა ბინარული ნომენკლატურიდან გამომდინარე - მოცემული სინჯის გვარის და სახეობის აღმნიშვნელი აბრევიატურა მაგ.: *P. caucasica*-ს შემთხვევაში - GE.P.CAUC; *P. salicifolia*-ს შემთხვევაში - GE.P.SAL და ა.შ. პირველი სარეგისტრაციო კოდის დატანა ხდებოდა ეპენდორფის სინჯარის თავსახურზე, ხოლო მეორესი - სინჯარის გვერდზე. სინჯების რეგისტრაცია მოიცავდა ასევე ლაბორატორიული ჟურნალის წარმოებას. ჟურნალში აისახებოდა, თუ რომელმა სინჯებმა დამუშავების რა ლაბორატორიული ეტაპები გაიარა.

4.2.4. დნმ-ის ექსტრაქციის მეთოდი

დნმ-ის საექსტრაქციოდ გამოყენებული იქნა NCGRP ლაბორატორიაში აპრობირებული CTAB ბუფერის რეაქციაზე (Lodhi et al., 1994) დაფუძნებული მეთოდი, რომელიც გამშრალი ფოთლებიდან მაღალი ხარისხის დნმ-ის მიღების უკეთეს შედეგს უზრუნველყოფს, ვიდრე 'კიაჯენის' (QIAGEN) ან სხვა მწარმოებლის საექსტრაქციო რეაქტივების კომპლექტები (DNasy plant DNA Extraction Kit).

ექსტრაქციის ქიმიური ფაზის დაწყებამდე, სინჯარებში, სადაც ფოთლის ქსოვილები იყო, თავსდებოდა მცირე ზომის რკინის სტერილური ბურთულები. სინჯარბი თავსდებოდა საფქვავ მოწყობილობაში (მოდელი: RETCH Mixer Mill MM 200), რომელიც სწრაფი როტაციით 2 წუთის განმავლობაში (200 ბიძგი/წთ) ფქვავდა სინჯარებში მოთავსებულ ფოთლის გამომშრალ ქსოვილებს. დაფქვის შემდეგ ხდებოდა ფოთლების ქსოვილის ქიმიური რეაქტივებით დამუშავება CTAB რეაქციის ლაბორატორიული მეთოდის მიხედვით, რომელიც NCGRP ლაბორატორიის მიერ მცირედ იყო მოდიფიცირებული:

CTAB რეაქტივზე დაფუძნებული (Lodhi et al., 1994) დნმ-ის ექსტრაქციის მოდიფიცირებული ლაბორატორიული მეთოდი

ბუფერი და რეაგენტები:

CTAB - ცეტილ-ტრიმეთილ-ამონიუმ-ბრომიდი $((C_{16}H_{33})N(CH_3)_3Br)$

CTAB ბუფერი (2%-იანი CTAB რეაქტივი ძლიერი მარილით. 1000 მლ)

100 მლ 1 M ტრის HCl pH 8.0

280 მლ 5 M NaCl

40 მლ 0.5 M EDTA

20 გ CTAB (ცეტილ-ტრიმეთილ-ამონიუმ-ბრომიდი)

მთლიანი მოცულობა ზავდება 1 ლ-მდე, ddH₂O-თი

BME ანუ βME - ბეტა-მერკაპტოეთანოლი (HOCH₂CH₂SH)

დღე 1

CTAB ინკუბაცია (Lodhi et al., 1994):

- o მზადდება CTAB+BME (CTAB 600 μl/BME 6 μl თითო სინჯარისთვის) და ხდება ნარევის წინასწარი გათბობა 65 °C წყლის აბაზანით 30 წთ-ის განმავლობაში.
- o გამთბარი CTAB/BME-ს 600 μl ნარევი გადაგვაქვს ფოთლის ქსოვილიან ეპენდორფის სინჯარებში. ნარევისთვის და ფოთლის დაქუცმაცებული ფირფიტის შერევა ხდება 10 წთ 'ვორტექსირებით' (ვორტექსის აპარატზე ანჯღრევით).
- o რეაქტივების და ფოთლის მტვრის ნარევიანი სინჯარები ლაგდება სინჯარების კონტეინერში და თავსდება 65 °C-ზე გამთბარ წყლის აბაზანაში 1 სთ-ის განმავლობაში.
- o შეტივტივებული ნაწილაკების დასალექად სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 2-3 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).

ექსტრაქცია ქლოროფორმის გამოყენებით:

- o დალექვის შემდეგ თხევადი ფაზა გადაგვაქს იდენტური კოდირების მქონე ახალ 1.5 მლ ეპენდორფის სინჯარებში პიპეტის უფილტრო წვერით.
- o რნაზა (RNase) პროპორციით 0.1მგ RNase - 0.19მგ TE ბუფერში თითო სინჯარისთვის, 2 μ l რაოდენობით შეგვაქვს სინჯის შემცველ სინჯარებში. სინჯარები კონტეინერით თავსდება 37 °C-ზე გამთბარ წყლის აბაზანაში 30 წთ-ის განმავლობაში.
- o ჰუდში, ანუ ვინტილაციის მქონე დამცავ კამერაში გადაგვაქვს კონტეინერში მოთავსებული სინჯარები და თითო სინჯარაში შეგვაქვს 500 μ l 24:1-ზე გაზავებული ქლოროფორმ/იზოამილი-ალკოჰოლის ნარევი. სინჯარებს ხელით, ნელი ტემპით ვანჯღრევთ ვიდრე სინჯარებში არსებული ნარევი რძისფერს მიიღებს. (რეაქციის არ წარმართვის შემთხვევაში ალტერნატივაა ქლოროფორმ/იზოამილი-ალკოჰოლის ჩანაცვლება 25:24:1-ზე გაზავებული ფენოლ/ქლოროფორმ/იზოამილ-ალკოჰოლით).
- o შეტივტივებული ნარჩენების დასაღეჟად სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1400 ბრ/წთ).
- o ჰუდში სინჯარებიდან თხევადი ფაზა ახალ, წინამორბედი სინჯარების იდენტური ლაბორატორიული კოდირების მქონე 1.5 მილილიტრიან ეპენდორფის სინჯარებში გადაგვაქვს ფილტრიანი პიპეტის წვერით. გადატანა ფრთხილად უნდა მოხდეს, ისე რომ თხევად ფაზას ნალექი არ გადაყვეს ახალ სინჯარებში.

დნმ-ის გახსნა (პრეციპიტაცია):

- o 2/3-ზე მოცულობის თანაფარდობით თითოეულ სინჯარაში შეგვაქვს ცივი იზოპროპანოლი (333 μ l იზოპროპანოლი 500 μ l სინჯის მოცულობაზე)
- o დნმ-ის პრეციპიტაციისთვის სინჯის შემცველი სინჯარები ინახება მაცივარში - 20 °C ტემპერატურაზე ერთი ღამის (12-15 სთ-ის) განმავლობაში.

დღე 2

დნმ-ის გასუფთავება

- o ცილოვანი მასის დასაღეჭად სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).
- o სინჯარებიდან ვაცილებთ თხევად ნალექზედა სითხეს (სუპერნატანტს) ისე, რომ ცილოვანი ნალექი არ გაყვეს. სინჯარებში ნარჩენ სუპერნატანტს ვაშრობთ სპეციალური ცენტრიფუგით (blotting rim). გაშრობის შემდეგ სინჯარების ფსკერზე ან გვერდზე უნდა ჩანდეს ცილის გრანულისებრი ნალექი.
- o სინჯარებში ნალექის გასარეცხად შეგვავს 200 µl TE (Tris EDTA) ბუფერი და ხელით ფრთხილად ვანჯღრევთ ნალექის გახსნამდე.
- o სინჯარებში ვამატებთ 1/10 მოცულობითი წილის 2.5M ნატრიუმის აცეტატის ხსნარს (pH 5.2) და ცივ, 100%-იან ეთანოლს (10 µl ნატრიუმის აცეტატი და 200 µl ეთანოლი თითო სინჯარაში).
- o კვლავ ხდება დნმ-ის გახსნა ერთი ღამის განმავლობაში. სინჯის სინჯარები ინახება მაცივარში -20 °C ტემპერატურაზე.

დღე 3

- o სინჯარების შიგთავსი გადაგვაქვს ახალ, ფილტრიან სინჯარებში, რომელიც ნუმერაციით ემთხვევა წინამორბედ სინჯარებს.
- o სინჯის სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).

დნმ-ის სინჯის საბოლოო გარეცხვა და გრძელვადიანი შენახვისთვის გამზადება:

- o სინჯარებში ფილტრიდან ნალექს ფრთხილად ვრეცხავთ 500 µl 70%-იანი ეთანოლით. ეთანოლი პიპეტით სინჯარის მემბრანის ცენტრში უნდა მოვახვედროთ.

- o სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).
- o ვაცილებთ ეთანოლს სინჯარებიდან და მის ნარჩენს ვაშრობთ ვაკუუმიან ცენტრიფუგაში.
- o სინჯარებში შეგვაქვს 65 °C ტემპერატურაზე გამთბარი 30-100 µl TE ბუფერი. სინჯარებს 65 °C ტემპერატურის წყლის აბაზანაზე ვაჩერებთ 45 წთ-ის განმავლობაში.
- o სინჯის შემცველი სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).
- o სინჯები ახალ 1.5 მილილიტრიან ეპენდორფის სინჯარებში გადაგვაქვს. ამ ჯერზე სინჯარებს უკეთდება წებოვანი ეტიკეტი, რომელზეც წინამორბედ სინჯარების იდენტური ლაბორატორიული კოდები იწერება თარიღთან ერთად.
- o ექსტრაგირებული დნმ-ის ხარისხს ვამოწმებთ გელ-ელექტროფორეზის საშუალებით. მაღალი ხარისხის სინჯები, რომლებიც უმინარევო დნმ-ს შეიცავენ ინახება -80 °C ტემპერატურაზე მაცივარში.

4.2.5. ექსტრაგირებული დნმ-ის გელ-ელექტროფორეზი


საკვლევი დნმ-ის სინჯების გელ-ელექტროფორეზისთვის მზადდებოდა 0.9%-იანი აგაროზას გელი. ამისთვის 1.98 გრამი აგაროზას გელის ფქვილი (ბრენდი 'Agarose NEEQ ultra-quality') იხსნებოდა 250 მილილიტრ TAE (ტრის-აცეტატ-EDTA) ბუფერში. ნარევის ადუღება მიკროტალღურ ღუმელში ეტაპობრივად ხდებოდა 100°C ტემპერატურაზე, რომ აგაროზა სრულად გახსნილიყო. 50-60 °C-მდე შეგრილების შემდეგ ხსნარი იხსმებოდა გელის ფირფიტაზე, სადაც ჩამაგრებული იყო დანაყოფების ამომტვიფრავი ძგიდე და ჩერდებოდა გაცივებამდე.

ელექტროფორეზის ეტაპისთვის გამიზნული ნაზავი (Master mix) თითო სინჯისთვის მზადდებოდა შემდეგი თანაფარდობით: 4 µl მოცულობა ჩამტვირთველი

ბუფერი (Loading Dye)/1 μ ლ მოცულობა ფლუორესცენტული ბუფერი (Cyber Green™ dye)/1 μ ლ მოცულობა საანალიზო დნმ-ის სინჯი.


გელი თავსდება ელექტროფორეზის აპარატში, სადაც TAE-ბუფერიც იყო მოთავსებული. გელში პიპეტით ხდება ელექტროფორეზისთვის მომზადებული 6 μ ლ სინჯების და ფრაგმენტების ზომის ინდიკატორი რეაქტივის (Ladder) ჩატვირთვა, რომელიც გელის ვიზუალიზაციის ანუ გამჟღავნების დროს საფეხურობრივ სტრუქტურას იღებს. ელექტროფორეზის პროცესი მიმდინარეობდა 100 ვოლტზე 1 სთ-ის და 30 წთ-ის განმავლობაში.

გელის გამოსახულების გადაღება და დოკუმენტირება ხდება ხელსაწყოთი - 'Gel Doc™ 2000, Gel Documentation Systems'. გელზე გამომჟღავნებული მოლეკულების ფრაგმენტების ზომის დადგენა ხდება საფეხურობრივი წყობის მქონე ინდიკატორით (სქემა 5)



სქემა 5. მოლეკულების ფრაგმენტების ზომის ინდიკატორი (Ladder) და მისი დანაყოფების შესაბამისი ზომები მოცემული ბაზალურ წყვილებში (bp)

ექსტრაგირებული დნმ-ის სინჯების გამომჟღავნებით აღმოჩნდა, რომ მოლეკულები ზომის გამო გელზე ზედა (10000 bp) ინდიკატორის დანაყოფის გასწვრივ ლაგდებოდნენ. სინჯში სხვა ცილოვანი ან ნახშირწყალბადოვანი მინარევის არსებობის შემთხვევაში ინდიკატორის სხვა, უფრო დაბალი ერთეულის გასწვრივაც ჩნდებოდა ლაქა. დნმ-ის დენატურაციის შემთხვევაში, რაც ასევე არასასურველი შედეგია, ლაქა გელზე სინჯის შესაბამისი დანაყოფის მთელ სიგრძეზე წარმოიქმნებოდა (სურ. 4).



სურათი 4. გელზე გამომჟღავნებული დნმ-ის ფრაგმენტების მაგალითი. როგორც სურათიდან ჩანს, სინჯებში: PYR 707, 708, 710, და 713 დნმ-ი დენატურირებულია, ხოლო სინჯში PYR709 დნმ-ის გარდა სხვა ცილოვანი მინარევებიც არის მაღალი კონცენტრაციით.

სინჯები, რომლებზეც ელექტროფორეზის მონაცემებმა არასასურველი შედეგი უჩვენა, გადიოდნენ ხელახალი გასუფთავების ეტაპს.

სინჯების ხელახალი გასუფთავების ეტაპი:

- o რნაზა (RNase) პროპორციით 0.1მგ RNase - 0.19მგ TE ბუფერში თითო სინჯარისთვის, 2 μ l რაოდენობით შეგვაქვს სინჯის სინჯარებში. სინჯარები კონტეინერით თავსდება 37 °C-ზე გამთბარ წყლის აბაზანაში 30 წთ-ის განმავლობაში.
- o თითოეულ სინჯარაში შეგვაქვს 50 μ l ამონიუმის აცეტატი და 300 μ l (100 μ l სინჯის მოცულობისთვის).
- o დნმ-ის გახსნისთვის სინჯის სინჯარები ინახება მაცივარში -20 °C ტემპერატურაზე ერთი ღამის განმავლობაში.
- o სინჯის სინჯარები ცენტრიფუგირდება 4 °C ტემპერატურაზე 5 წთ-ის განმავლობაში (1200 ბრ/წთ).
- o ხდება ნალექზედა სითხის მოშორება სინჯის შემცველი სინჯარებიდან. სუპერნატანტის ნარჩენის ამოშრობა სინჯარებიდან ხდება ვაკუუმთან ცენტრიფუგაში.
- o სინჯს ემატება 100 μ l TE ბუფერის ხსნარი.
- o გასუფთავებული დნმ-ის ხარისხს ვამოწმებთ გელ-ელექტროფორეზის საშუალებით. თუ ხარისხის შემოწმებისას ისევ დადგინდა, რომ სინჯი არ გასუფთავდა სათანადოდ ან დნმ-ი არ არის სინჯში, მაშინ ასეთი სინჯის ამოღება უნდა მოხდეს კვლევითი ექსპერიმენტიდან.
- o გასუფთავებული სინჯები სხვა სინჯებთან ერთად ინახება -80 °C ტემპერატურაზე მაცივარში.

4.2.6. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია და გამოყენებული მიკროსატელიტური მარკერები

გენეტიკურ ანალიზში გამოყენებული იქნა 11 მიკროსატელიტური მარკერი: GD12, GD96, GD142, GD147, CH01D08, CH01D09, CH01F07A, CH02B10, CH02D12, CH01h01, NH015a. მარკერები შეირჩა ლიტერატურული მონაცემების მიხედვით

(Liebhard et al., 2002; Hemmat et al., 2003; Bao et al., 2007) და კვლევის ამერიკელი თანამონაწილეს გ. ვოლკის Volk et al. (2006) გამოქვეყნებული კვლევის საფუძველზე (ცხრ. 7), რომელიც ჩვენს მიერ დაგეგმილი მოლეკულური კვლევის წინამორბედი იყო.

ცხრილი 7. მსხლის ტაქსონების გენეტიკურ ანალიზში გამოყენებული ლოკუსების მახასიათებლები: ლოკუსის დასახელება; დნმ-ის პრაიმერის (F მარჯვნივ მიმართული, R მარცხნივ მიმართული) სექვენსები განმეორებადი მოტივებით; ალელების ზომის დიაპაზონი გამოსახული ბაზალურ წყვილებში (bp); გენეტიკურ რუკაზე, ანუ ქრომოსომულ ჯგუფში ადგილმდებარეობის მონაცემი და ლიტერატურული წყარო.

ლოკუსი	F პრაიმერი	R პრაიმერი	ალელების ზომა	ქრომოსომული ჯგუფი	წყარო
GD12	TTG AGG TGT TTC TCC CAT TGG A	CTA ACG AAG CCG CCA TTT CTT T	136-170	10	Hemmat et al., 2003
GD96	CGG CGG AAA GCA ATC ACC T	GCC AGC CCT CTA TGG TTC CAG A	141-175	1	Hemmat et al., 2003
GD142	GGC ACC CAA GCC CCT AA	GGA ACC TAC GAC AGCAAA GTT ACA	132-188	3	Hemmat et al., 2003
GD147	TCC CGC CAT TTC TCT GC	AAA CCG CTG CTG CTG AAC	122-148	4	Hemmat et al., 2003
CH01d08	CTC CGC CGC TAT AAC ACT TC	TAC TCT GGA GGG TAT GTC AAA G	226-300	15	Liebhard et al., 2002
CH01d09	GCC ATC TGA ACA GAA TGT GC	CCC TTC ATT CAC ATT TCC AG	118-175	12	Liebhard et al., 2002
CH01f07a	CCC TAC ACA GTT TCT CAA CCC	CGT TTT TGG AGC GTA GGA AC	176-226	10	Hemmat et al., 2003
CH02b10	CAA GGA AAT CAT CAA AGA TTC AAG	CAA GTG GCT TCG GAT AGT TG	113-159 bp (18)	2	Liebhard et al., 2002
CH02d12	AAC CAG ATT TGC TTG CCA TC	GCT GGT GGT AAA CGT GGT G	213-255	11	Hemmat et al., 2003
CH01h01	GAA AGA CTT GCA GTG GGA GC	GGA GTG GGT TTG AGA AGG TT	97-123	17	Liebhard et al., 2002
NH015a	TTG TGC CCT TTT TCC TAC C	CTTT GAT GTT ACC CCT TGC TG	95-127	17	Bao et al., 2007

ამპლიფიკაციისთვის გამოყენებული იქნა NGCPR-ს ლაბორატორიის მიერ მოდიფიცირებული მეთოდი. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია ჩატარდა 1.5 μ ლ მთლიანი მოცულობით. თითოეული რეაქციისთვის 10-50 ნანოგრამი მსხლის ტაქსონების დნმ-ის სინჯი და 0.3 დან 0.7-მდე μ ლ მოცულობის პრაიმერები იქნენ კომბინირებული 1.5 ერთეულ ტაგ-პოლიმერაზასთან. რეაქციისთვის გამოყენებული იქნა 1X ბუფერი (Promega buffer) [-HCl - 10 mM, KCL - 45 mM და 0.1% იანი Triton X-100; MgCl₂ - 25mM და 20 mM dNTP] (Volk et al., 2006) ცხრილში პირობითად

მოცემულია ერთ-ერთ პრაიმერზე მისადაგებული მოდელი (ცხრ. 8). იგი ასახავს პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციისთვის საჭირო რეაგენტების მონაცემებს და რაოდენობებს.

ცხრილი 8. NGCPR-ს კოლორადოს ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის ლაბორატორიული მეთოდი.

პრაიმერი: GD12	F - TTG AGG TGT TTC TCC CAT TGG A
	R- CTA ACG AAG CCG CCA TTT CTT T
ქრომოსომული ჯგუფი	10
‘პი-სი-არ’ -ის ნარევი (Master mix)	მთლიანი მოცულობა 0.65 ml
1X ბუფერი (Promega buffer)	200 µl
HCl 10 mM	110 µl
KCL 45 mM	45 µl
MgCl ₂ 25mM	5 µl
dTTP 20mM	10 µl
dATP 20mM	10 µl
dCTP 20mM	10 µl
dGTP 20mM	10 µl
dd H ₂ O	250 µl
პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია	
რეაქციის ტიპი (ზომის მიხ.)	15 µl რეაქცია
მსხლის ტაქსონის გენომური დნმ-ი	0.6 µl
‘პი-სი-არ’ -ის ნარევი	6.5 µl
მარცხნივ მიმართული პრაიმერი 10 µM	0.3 µl
მარჯვნივ მიმართული პრაიმერი 10 µM	0.3 µl
ტაქ პოლიმერაზა	0.3 µl
dd H ₂ O	დანარჩენი 15 µl - მდე

ამპლიფიკაცია განხორციელდა თერმოციკლერის მოდელ ‘TPC 200’-ით. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციისთვის თერმოციკლერი პროგრამირებული იყო შემდეგნაირად:

- საწყისი ციკლი - 2წთ/95 °C.
- მომდევნო 30 ციკლი - 30წმ/95 °C.
- განულების ტემპერატურები მოყვანილი წყაროების მიხედვით (ცხრ. 7) პრაიმერ სპეციფიურია და ჩატარებული ამპლიფიკაციების დროს სხვადასხვა პრაიმერებისთვის 50 დან 60 °C-მდე მერყეობდა.

- 1 ციკლი - 15წმ /75 °C.
- ამპლიფიკაციის დასასრული საფეხური - 2წთ/75 °C.

4.2.7. PCR - პროდუქტების გელ-ელექტროფორეზი და სექვენირება

გამზადებული პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის პროდუქტები 1:1-ზე გაზავდა ელექტროფორეზისთვის მომზადებული ნაზავით, რომელიც შეიცავდა 95%-იან ფორმალდეჰიდს, 50 mM EDTA-ს და ბრომალდეჰიდის ლურჯი ჩამტვირთავი ბუფერს (Brom aldehyd Blue Loading Dye). მომზადებული სინჯები დენატურირდა 95 °C-ზე 3 წთ-ის განმავლობაში.

ელექტროფორეზისთვის გამოყენებული იქნა 6.5%-იანი აკრილამიდის გელი (LI-COR KB PLUS ბრენდის აკრილამიდით მომზადებული) და 1X TBE ბუფერი (89 ტრის, 89 ბორის მჟავა, 20 EDTA). გელ-ელექტროფორეზი მოიცავდა 1სთ-ს და 45წთ-ს და ხორციელდებოდა 1500 ვოლტ, 40 ვატ და 40ამპერი ძალის ელექტრობის გამოყენებით. სექვენირება განხორციელდა სექვენსერით 'LI-COR 4200'-ით 45 °C ტემპერატურაზე. ციფრული გამოსახულებები სექვენსერიდან პორტირდა პროგრამაში 'LI-COR Saga generation 2' და ამ პროგრამითვე დამუშავდა. ყოველი რეპლიცირებული სინჯის ალელები შემოწმდა თითოეულ ლოკუსში. ლოკუსებისთვის, რომელთა განმეორებების ალელებიც არ იყო იდენტური, კეთდებოდა აღნიშვნა „დაკარგული მონაცემი“ (Missing data) მომდევნო ანალიზებისთვის. ალელთა ზომების კალიბრაცია მოხდა NCGRP-ს მონაცემთა ბაზებში არსებული მსხლის და ვაშლის ტაქსონების ნიმუშების მონაცემებთან შედარებით (PI 590184; PI 588853; FI 588850)

4.2.8. გამოქვეყნებული გენეტიკური მონაცემები

სადოქტორო ნაშრომში შეტანილი იქნა გენეტიკური კვლევის მონაცემებიც, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული. ასეთი მონაცემების

გამოყენებით განხორციელდა ორი ტიპის ანალიტიკური ექსპერიმენტი, რომელთა საერთო მიზანსაც წარმოადგენს მსხლის ველურ ნათესავებს და ჯიშებს შორის გენთა მიმოცვლის პროცესის არსებობის დადგენა და ტაქსონებს შორის ნათესაური კავშირების დაზუსტება.

1) საანალიზო მონაცემთა ბაზაში დამატებით ჩართული იქნა აზიური მსხლის ჯიშების ორი პროგენიტორი სახეობის - ზამთრის მსხლის (*P. nivalis* Jacq.) და ქვიშის მსხლის (*P. pyrifolia* (Brum.) Nakai.) მიკროსატელიტური მონაცემები NCGRP-ს მონაცემთა ბაზებიდან. *P. nivalis*-ის და *P. pyrifolia*-ს გენეტიკური მონაცემები სხვა მონაცემთა მსგავსად NCGR-ს მონაცემთა ბაზებიდან იქნა მოპოვებული. *P. nivalis*-ი კ. ბროვიჩის (Brovitz, 1983) მიხედვით ევროპულ კულტურულ მსხლებსაც ენათესავება მორფოლოგიურად და ჩართულია ჰიბრიდიზაციის პროცესში, რომელიც მსხლის გვარის სექცია *Pyrus* (Fed.) Browicz. ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. *P. pyrifolia* კი აღმოსავლეთ აზიური სახეობაა (Tuz, 1974). იგი სისტემატიკურად მსხლის გვარის განცალკევებულ სექცია *Pashia* (Koehne)-შია განთავსებული და აღმოსავლეთ აზიური მსხლის ჯიშების უახლოვეს ნათესავ სახეობად ითვლება. კვლევაში გამოყენებულ საერთო მონაცემთა ბაზას, რომელიც 216 ინდივიდის მონაცემებს მოიცავდა, დაემატა *P. nivalis*-ის 18 ინდივიდის მონაცემები, რომელთა ნიმუშებიც მოპოვებული იყო თურქეთის, ბულგარეთის და ირანის ტერიტორიებზე და *P. pyrifolia*-ს 20 ინდივიდის მონაცემები, რომელთა შეგროვების ადგილებად NPGS-ს ბაზაში მითითებული: იყო ჩინეთი, ბჰუტანი და ნეპალი.

მონაცემები, ჯგუფური ცვლადების სახით გაანალიზდა ჰიბრიდიზაციის არსებობის გენეტიკური ბაზისის გასარკვევად და ურთიერთგამმიჯნავი საზღვრების დასადგენად კულტურულ მსხლებს და ასევე მათ ველურ ნათესავებს შორის.

მონაცემთა ანალიზის და ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული იქნა პროგრამა STRUCTURE v. 2.3.4 (Pritchard, et al. 2000). კულტურულ და ველურ მსხლებს შორის გენეტიკური მრავალფეროვნების და არსებული სხვაობების განსაზღვრისათვის განხორციელდა ბაიეზიანური კლასტერული ანალიზი, რომელიც 11

მიკროსატელიტური მარკერით ჩატარებული კვლევის მონაცემს ეფუძნებოდა. პოპულაციების რაოდენობის პარამეტრის (k) განსაზღვრა მისი რანგის სიმულაციით მოხდა. თითოეული k -ს მნიშვნელობისთვის განისაზღვრა აბსოლუტური, იგივე აპოსტერიორული ალბათობები. აბსოლუტური ალბათობები გამოითვალა MCMC (Markov-Chain, Monte Carlo) მეთოდის გამოყენებით. ჩაწერის ('burn-in') ციკლი 50000-ჯერ განმეორდა თითოეული ჯაჭვის სიმულაციის დროს. k -ს თითოეული მნიშვნელობისათვის 20-ჯერ მოხდა MCMC ჯაჭვის სიმულაცია. პოპულაციების რაოდენობის მაქსიმალურ ზღვრად, რომელზე უფრო მეტიც გასაანალიზებელ მონაცემებში მაღალი ალბათობით არ გამოვლინდებოდა, მიჩნეული იქნა 20 პოპულაცია. კლასტერული ანალიზის შემდეგ k -ს ალბათობის მონაცემთა წყება ($\ln \text{Pr}[X/K]$), რომელიც სიმულაციის შემაჯამებელ ნუსხაში იქნა ნანახი, გამოყენებული იქნა k -ს ყველაზე შესაძლო მნიშვნელობის გამოთვლისთვის. გამოთვლა განხორციელდა ბაიეზიანური კანონის ფორმულით:

$$\text{Pr}(k) = \frac{e^{Ki}}{\sum e^{Ki}}$$

სადაც: e არის ექსპონენტი, ხოლო K არის i -ური პოპულაციის ალბათობა.

სიმულაციის შემაჯამებელი ნუსხიდან ამოღებული k -ს მნიშვნელობების გამოთვლის გასამარტივებლად ეს მნიშვნელობები გაიყო 100-ზე, რადგან ნუსხაში მოცემული k -ს ორიგინალური რიცხვითი გამოსახულებები ძალზე დიდი იყო იმისთვის, რომ რომელიმე სტატისტიკური პროგრამით მომხდარიყო მათი ანალიზი.

პროგრამის მიერ მოდელირებული დენდროგრამებზე განშტოებებს შორის დისტანცია გამოითვალა მეზობელ-შემაკავშირებელი ალგორითმის მისადაგებით ალელებს შორის არსებულ სიხშირეთა სხვაობების მატრიცისთვის (Saitou & Nei, 1987; Felsenstein, 2005).

პროგრამა STRUCTURE და ბაიეზიანურ წესზე დაფუძნებული გენეტიკური სტრუქტურის ანალიზის მეთოდი განკუთვნილია პოპულაციების გენოფონდის შედარებითი ანალიზისთვის. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ადამიანთა და ცხოველთა პოპულაციურ გენეტიკაში, თუმცა თანამედროვე პერიოდში იგი პოპულარული გახდა მცენერეთა ბიოლოგიაშიც. არსებობს სხვადასხვა თემატიკის კვლევები მცენარეთა გენეტიკის მიმართულებით, სადაც გენეტიკური სტრუქტურის ანალიზის მეთოდი წარმატებით არის გამოყენებული სხვადასხვა მცენარის პოპულაციებს შორის სხვაობის გამოსავლენად ან ჰიბრიდიზაციის პროცესის შესასწავლად (Ovando-Medina et al., 2011; Schanzer et al., 2012; Vergara et al., 2014; Ahmad et al., 2015; Welt et al., 2015). მეთოდი ძირითდად ორიენტირებულია შიდასახეობრივი ტაქსონური ჯგუფების ანალიზზე, ანუ ერთმანეთს ჯგუფურ ცვლადებს ადარებს და ეფუძნება ასეთ ჯგუფებში გაერთიანებული ინდივიდების მიკროსატელიტური მარკერული დნმ-ის მონაცემებს. მიუხედავად პროგრამა STRUCTURE-ს პოპულარობის და მის ახალ ვერსიებში ამ პროგრამის შესაძლებლობის კიდევ უფრო დახვეწისა, პროგრამის შემქმნელები იუწყებიან (Pritchard, et al. 2000), რომ სტრუქტურულად რთული სექვენსების ანალიზის შემთხვევაში, პოპულაციების ან უფრო მსხვილი ტაქსონური ჯგუფების მაღალი რიცხვის ალბათობის დროს პროგრამამ შესაძლოა ხარვეზულად წარმოადგინოს ფერები სქემებზე და მათში ხელოვნურად გამოსახოს ისეთი ახალი ფერი, ანუ ჯგუფი, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ხარვეზის მიზეზად სახელდება პროგრამის ალგორითმის მოქმედების წესი. ალგორითმი რიცხვით მონაცემებს, რომლითაც მოცემულია მიკროსატელიტური მარკერული დნმ-ის სექვენსის მახასიათებლები, კერძოდ მისი სამიზნე ლოკუსში ცვალებადობის ფარგლები და გამოყენებული მარკერის სიგრძის გამოვლენილი ცვალებადობა, გადაყავს ფერებში. k -ს მაღალ ალბათობებზე პროგრამა მიკროსატელიტური მარკერის მცირე ცვალებადობასაც მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს, ანუ რაც უფრო მეტად იზრდება k -ს რიცხვი, პროგრამა STRUCTURE ცდილობს მეტი ფერით გამოსახოს თითოეული ინდივიდის გენეტიკური

მრავალფეროვნება და საბოლოოდ დომინანტური ფერების ფრაგმენტაციასაც ახდენს. ამიტომ, რეალისტური შედეგის მიღებისთვის რეკომენდირებულია მეტ-ნაკლებად მსგავსი გენოფონდის ტაქსონების შედარება. ამავე წყაროს, ანუ პროგრამის სახელმძღვანელოს მიხედვით ასეთ ხარვეზთან გამკლავების წესად მითითებულია დაკვირვება, თუ რამდენად დომინანტურია ეს ფერი ერთ-ერთ ცალკეულ ტაქსონში k -ს დაბალ მნიშვნელობაზე, ან სხვა პროგრამის გამოყენება, რომლითაც k -ს ყველა მნიშვნელობის საშუალო მნიშვნელობაზე დაყვანა ხდება.

კვლევის ფარგლებში ეს მეთოდი გამოყენებული იქნა მსხლის ველური და კულტურული ტაქსონების შედარებისთვის, რომელთა ვალიდაციაც მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე მოხდა საქართველოს მეხილეობის და ფლორის მონაცემებზე დაყრდნობით (ხომიზურაშვილი და ერისთავი, 1931, 1941; ქუთათელაძე, 1947, 1980; ხომიზურაშვილი, 1973). მიზეზი, რის გამოც მსხლის ზოგიერთი ადგილობრივი სახეობების, მაგალითად წითელი ნუსხის სახეობების: *P. ketzkhoveli*-ს; *P. demetrii*-ს, *P. georgica*-ს, *P. oxyprion*-ის და *P. sachokiana*-ს ჩართვა ვერ მოხერხდა გენეტიკური სტრუქტურის ანალიზში, იყო შეგროვილი მონაცემების არასაკმარისი რაოდენობა ამ სახეობების ტაქსონების, იგივე ჯგუფური ცვლადების ფორმირებისთვის. ეს პრობლემა მხოლოდ წითელი ნუსხის სახეობების შემთხვევაში გაჩნდა, რადგან ველზე მათი ინდივიდების რაოდენობა, საიდანაც ერთდროულად მორფოლოგიური და გენეტიკური ანალიზისთვის სინჯის შეგროვება იყო შესაძლებელი, ძალზე ცოტა იყო. ამასთან, ამ ჩამოთვლილი სახეობების უმეტესობის ერთეული ინდივიდები ძალზე დიდი ტერიტორიული ინტერვალით იყვნენ დაშორებული ერთმანეთთან, ხოლო *P. ketzkhoveli*-ს შემთხვევაში საქართველოს მასშტაბით მისი მხოლოდ 6 ზრდასრული ინდივიდი იქნა აღმოჩენილი და არსებობს გამართლებული ეჭვი, რომ ამ სახეობის რიცხოვნობა საქართველოში ჯამურად 20 ინდივიდს არ აჭარბებს. მოცემული მეთოდით ჩატარებულ ანალიზში გამოყენებული იქნა მხოლოდ ისეთი ტაქსონური ჯგუფები, რომლებიც 18-20 ან მეტ ინდივიდს

მოიცავდნენ, რადგან რაც უფრო მცირერიცხოვანია ტაქსონური ჯგუფი, მით უფრო არასრულფასოვანია მის გენეტიკურ სტრუქტურაზე გაკეთებული დასკვნა.

2) გენეტიკური ანალიზისთვის საქართველოში შეგროვილი 215 ნიმუში დამუშავდა ლაბორატორიულად. საპუბლიკაციო (Asanidze et al., 2014) მასალად კი მხოლოდ 150 ნიმუში იქნა გამოყენებული, რომელთა გენოფონდის დახასიათებაც 11 ლოკუსით განხორციელდა. სრული რაოდენობის, ანუ 215 ნიმუშის გენოფონდის დახასიათება 7 ძირითადი მიკროსატელიტური მარკერით მოხდა, რომლებიც შეესაბამებიან ლოკუსებს: GD12, GD96, GD142, CH01D08, CH01D09, CH01F07A და CH02D12. ლოკუსებზე არსებული წყაროების მიხედვით (Liebhard et al., 2002; Hemmat et. al., 2003; Bai et al., 2007) ეს ლოკუსები წარმოადგენენ საბაზისო, ნაკლებად ცვალებად გენთა ლოკუსებს. სხვა ლოკუსები: GD147, CH02b10, CH01b01, NH01a, რომელთა ამოღებაც მოხდა მოცემული ანალიზიდან, განეკუთვნებიან შედარებით სწრაფად ცვალებად გენთა ლოკუსებს, რომლებიც ინდივიდუალურია მხოლოდ კონკრეტული სახეობისთვის ან სახეობათა ჯგუფისთვის. უმეტეს წილად ეს ლოკუსები განეკუთვნება რაოდენობრივ ნიშნების და მცენარის იმუნიტეტის განმსაზღვრელი გენებს (Quantitative Trait Loci ანუ QTL-ები), რომელთა აქტივაცია ან ცვლილებაც ზოგ შემთხვევაში გარემო პირობების ზემოქმედებით ხდება (Cavanagh et. al., 2008). მოცემული ანალიზის შემთხვევაში მონაცემთა ასეთი ფილტრაციის მიზანს წარმოადგენს მსხლის ველური ნათესავების და ჯიშების შედარებით მყარი, ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი კავშირების მიხედვით შეფასება და მათ შორის არსებული ნათესაური კავშირების დაზუსტება.

მსხლის ველური და კულტურული ჯიშების 215 ინდივიდის 7 მარკერით განსაზღვრული გენეტიკური მონაცემები გამოყენებული იქნა კლასტერული ანალიზისთვის, რომლითაც აისახა კავშირი საქართველოს ტერიტორიაზე ნიმუშებად აღებული 13 ველური მსხლის ტაქსონს (*P. caucasica*, *P. balansae*, *P. demetrii*, *P. salicifolia*, *P. salicifolia* var. *angustifolia*, *P. ketzkhovelii*, *P. georgica*, *P. sachokiana*, *P. takhtadzhianii*, *P. oxyprion*, *P. fedorovii*, *P. syriaca*, Morpha Doubleflowered); NCGR-ს

მონაცემთა ბაზებში მოპოვებულ კულტურული მსხლების 3 ველური ნათესავი [*P. pyraeaster*, *P. nivalis*, *P. pyrifolia*] და საქართველოში ნიმუშებად აღებული მსხლის შემოტანილ (N=12) და ადგილობრივ (N=24) ჯიშებთან ('Bartlett', 'Beurré Bosque', 'Beurré d' Hardanpont', 'Beurré d'Anjou', 'Duchesse d'Angouleme', 'Fondante des Bois', 'Gorham pear', 'Kieffer pear', 'Mikado' ('Sand pear'), 'Saint Germain', 'Winter Dechantsbirne', 'Winter Nelis', 'ზეზანი', 'ბორბალა', 'გულაბი', 'თავრეჯული', 'თაფლა მსხალი', 'თულუხა', 'კაცისთავა', 'კახური გულაბი', 'კვიჭიჭა', 'მაჟარა', 'მაქრე', 'ნანაზირი', 'ნენეს მსხალი', 'პანტა მსხალი', 'საელიობო', 'სამარიობო', 'სასელო', 'ქორდა', 'ყაბაყ არმუდი' 'შავმსხალა', 'წვრილმსხალა', 'წითელგვერდა' ('გვერდწითელა'), 'ხეჭეჭური', 'ზინოს მსხალი'). საანალიზოდ შერჩეული იქნა ველური მსხლების იმ ინდივიდების გენეტიკური მონაცემები, რომლებიც მორფოლოგიური მახასიათებლებით ძალზე ახლოს იდგნენ ეტალონურ ნიმუშთან, ანუ ჰოლოტიპთან, რომლიდანაც მოხდა სახეობის აწერა ან შიდასახეობრივი ტაქსონის განსაზღვრა. თითოეული ჯგუფი შეიქმნა 10-10 ინდივიდით ველური მსხლების შემთხვევაში და 5-5 ინდივიდით - კულტურული მსხლების შემთხვევაში. კულტურული მსხლების იდენტიფიკაციის დროს ვიხელმძღვანელებთ როგორც საქართველოს მეხილეობის მონაცემებით, ასევე ზოგიერთი დამატებითი ლიტერატურული წყაროთი (Смирнов 1966; Лихонос и другие., 1983), რომლითაც გადამოწმდა ჯიშთა ნომენკლატურის აუთენტურობა.

დენდროგრამა კვლავ პროგრამული პაკეტის 'DARwin' მეშვეობით აიგო. მეზობელ-შემაკავშირებელი მეთოდით დენდროგრამის შექმნისთვის ამალგამაციის წესად გამოყენებული იქნა D_A დისტანციის გაზომვის მეთოდი (Nei et al., 1983), რომელიც ემყარება საკვლევი ჯგუფების ლოკუსებში ალელების განაწილების სიხშირის და ალელების რაოდენობის ურთიერთკავშირს.

4.3. ნაპრალების ანალიზი (გეო-ანალიზი)

4. 3. 1. ნაპრალების ანალიზის მეთოდი

ნაპრალების ანალიზის მეთოდი შერჩეული იქნა კავკასიური პანტის (*P. caucasica*) საკონსერვაციო პრიორიტეტულობის განსაზღვრისთვის. იგი არ განეკუთვნება საქართველოს ან კავკასიის წითელი ნუსხის სახეობებს, თუმცა განხორციელებული მორფო-გენეტიკური კვლევებით საქართველოს ტერიტორიაზე მსხლის სხვა მეზოფილური სახეობის - ბალანზეს პანტის (*P. balansae*) გავრცელების დადასტურებამ წარმოშვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ *P. caucasica* საქართველოში მხოლოდ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილზეა გავრცელებული. მოცემული კვლევის ამოცანას წარმოადგენს *P. caucasica*-ს და *P. balansae*-ს არელების გამიჯვნა საქართველოს ტერიტორიაზე, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება *P. caucasica*-ს გავრცელების საზღვრების დადგენა და შესაბამისად, ამ სახეობის მოწყვლადობის სტატუსის შეფასება. იმ გარემოების გარდა, რომ საქართველოში პანტის ორი სახეობაა გავრცელებული, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ცოტაა ისეთი ადგილი სადაც ველური მსხლების გავრცელების არეალში არ იჭრება სამეურნეო ზონა სოფლების, ნასოფლარების, სათიბ-სადოვრების, და ბაღების სახით. ანთროპოგენური ფაქტორების გარდა მსხლის ჯიშების თესლი გავრცელებას გარეული ცხოველებიც უწყობენ ხელს, რომელიც ბუნებრივ ჰაბიტატში მოხვედრის შემდეგ მოცემული ჯიშის გენოფონდის მქონე თესლნერგად აღმოცენდება. აღნიშნული ფაქტორები ზრდიან პანტის სახეობების შეწუხების ხარისხს ბუნებაში და მათ შეჯვარების ალბათობას მსხლის კულტურულ და გაველურებულ ფორმებთან, რაც მათ შორის მორფოლოგიური და გენეტიკური საზღვრის გაქრობის საფრთხეს ქმნის. პანტებისთვის მისადაგებული მსხლის ველური ნათესავის სტატუსი მიუთითებს მათ ეკონომიკურ მნიშვნელობაზეც და ქმნის ადამიანის მიერ მათი პოპულაციის შემცირების ალბათობას. ჩამოთვლილი მიზეზების გამო მნიშვნელოვანი ხდება პანტების საკონსერვაციო ღირებულების განსაზღვრა, თუმცა მოცემული კვლევა მიზნად ისახავს მოწყვლადობის სტატუსის რევიზიას მხოლოდ ერთი სახეობის პანტისთვის (*P. caucasica*), რადგან ბალანზეს

პანტის ტაქსონომიური სტატუსი საფუძვლიანად არ არის დადგენილი და დამატებით მორფო-გენეტიკურ კვლევას საჭიროებს.

ნაპრალების მეთოდის სახელწოდება სხვადასხვაგვარად არის თარგმნილი ქართულ ენაზე. მას ბიოლოგიაში უმეტეს წილად მოიხსენიებენ, როგორც ნაპრალების ანალიზს (Akhalkatsi, 2008), რადგან მეთოდის ამოსავალი ტერმინის (ინგლისური შესატყვისიდან - Gap) ქართული თარგმანი არის ცარიელი ადგილი, ან ნაპრალი. მსგავსი მეთოდი გამოიყენება სოციოლოგიური და საბაზრო ეკონომიკური მიმართულების სტატისტიკური ანალიზის დროსაც. ამ დარგების ტერმინოლოგიით მეთოდი ქართულად „დანაკლისი ინფორმაციის ანალიზის“ ან „დეფიციტის ანალიზის“ მეთოდად მოიხსენიება.

ნაპრალების ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია პრაგმატულად განისაზღვროს ტაქსონის მოწყვლადობის სტატუსი. ამ მეთოდით ფასდება სახეობის ან მისი პოპულაციებიდან ერთ-ერთის არეალის რა ნაწილი ხვდება დაცული ტერიტორიის ფარგლებს შიგნით და რომელი - მის ფარგლებს გარეთ ე.წ. 'ნაპრალებში'. სამიზნე ტაქსონის არეალის რაც უფრო დიდი ნაწილი ხვდება დაცული ტერიტორიის გარეთ, მით უფრო მაღალია მოწყვლადობის საფრთხე მისთვის. იმ შემთხვევაში თუ არ არის განსაზღვრული საკვლევი ტაქსონის დაცულობის ხარისხი ან გამართლებულ ეჭვს იწვევს ამ ტაქსონის დაცულ ტერიტორიაზე მოხვედრილი ინდივიდების სისტემატიკური სტატუსი, ტაქსონს პირდაპირ ენიჭება მოწყვლადის სტატუსი (Maxted et al., 2008). მეთოდი შეფასების ოთხ საფეხურს ე.წ. 'ნაბიჯს' მოიცავს:

ნაბიჯი 1. საკვლევი სამიზნე ტაქსონის და ტერიტორიის განსაზღვრა: საწყის ეტაპზე საჭიროა კონკრეტულად განისაზღვროს საკვლევი ტაქსონის რანგი, ანუ დადგინდეს რას ვიკვლევთ - გვარს, სექციას, სახეობას თუ პოპულაციას. ასევე განისაზღვრება კვლევის ტერიტორიული ფარგლები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში სამიზნე ტაქსონის გავრცელებაზეც არის დამოკიდებული. მოცემული ორი პარამეტრის განსაზღვრით დგინდება კვლევის მასშტაბი (მაგ.: გლობალური, რეგიონული, ქვეყნის ან პროვინციის მასშტაბით განხორციელებული კვლევა).

ნაბიჯი 2. ბუნებრივი მრავალფეროვნების შეფასება: ეს საფეხური მოიცავს სამიზნე ტაქსონის მრავალფეროვნების განსაზღვრას ტაქსონის რანგის შესაბამისად. იმის მიხედვით, თუ რა რანგზე ხდება ტაქსონის გამოკვლევა, მრავალფეროვნება განისაზღვრება გვარის, სექციის, სახეობის ან სახეობის შიდა სტრუქტურულ დონეებზე. ამასთან აუცილებელია სამიზნე ტაქსონის ნათესაური კავშირების და გენოფონდის განსაზღვრა.

ნაბიჯი 3. სამიზნე ტაქსონის კონსერვაციის სტატუსის განსაზღვრა: მოცემულ ეტაპზე განისაზღვრება კონსერვაციის ეფექტურობა. ამისთვის საჭიროა ერთმანეთს შედარდეს შერჩეული ტაქსონის *in situ* და *ex situ* კონსერვაციის ტაქტიკების ეფექტურობა.

ნაბიჯი 4. კონსერვაციის სტრატეგიის რეფორმულირება: ეს საფეხური მოიცავს სამიზნე ტაქსონის კონსერვაციის მასშტაბების შეფასებას. შეფასება ხდება სამიზნე ტაქსონის კონსერვაციის სტატუსის საფუძველზე. იმის მიხედვით, თუ ტაქსონის მრავალფეროვნება რამდენად სრულად არის მოხვედრილი დაცულ ტერიტორიაზე და არის თუ არა ეს მრავალფეროვნება სრულფასოვნად დაცული, კონსერვაციის სტრატეგიის რეფორმულირება განაპირობებს სტრატეგიის რეფოკუსირებას და მიმართულია ტაქსონის მრავალფეროვნების მაქსიმალურ დაცვაზე, ანუ ტაქსონის დაუცველი ნაწილების - ნაპრალების შევსებაზე. რევიზირებული პრიორიტეტები გულისხმობენ *in situ* და *ex situ* კონსერვაციის დამატებით ღონისძიებების გატარებას სამიზნე ტაქსონის გენოფონდის სრულყოფილი დაცვის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული კონცეფციის მიხედვით (Maxted et al., 2008) არსებობს კულტურული მცენარის ველური ნათესავების (CWR) გენოფონდის სამი რანგი: პირველი ჯგუფის გენოფონდი (GP-1), რომელიც მოიცავს ორ ქვეჯგუფს: GP-1A - კულტივირებადი ფორმები და GP-1B - ჯიშის გაველურებული ან სარეველა ფორმები; მეორე ჯგუფის გენოფონდი (GP-2), რომელიც ჯიშის და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი სახეობის შედარებით შორი ნათესაობის მქონე სახეობებს მოიცავს. ეს ის სახეობებია, რომლებიც იგივე გვარში ან სექციაში არიან განთავსებული

ტაქსონომიურად, სადაც სამიზნე ტაქსონი ან მისი კულტურული ფორმაა ლოკალიზებული. ამ დაშორებული ნათესაობის მქონე სახეობებიდან გენთა გადაცემა სამიზნე ტაქსონის ჯიშისთვის შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის განხორციელება ტრადიციული გზით ძნელად მიიღწევა; მესამე ჯგუფის გენოფონდი (GP-3) მოიცავს იმ სახეობებს, რომლებიც ნათესავურად უფრო დაშორებულები არიან სამიზნე ტაქსონისგან, ვიდრე მეორე ჯგუფის გენოფონდის სახეობები. ეს სახეობები ტაქსონომიურად სხვა გვარის ან ოჯახის წარმომადგენლები არიან, რომელთაგანაც გენთა გადაცემა სამიზნე ტაქსონის კულტურული ფორმისთვის შეუძლებელია, ან მიიღწევა მხოლოდ ჯიშების გამოყვანის უახლესი მეთოდებით - ემბრიონული იმპლანტაციით და გენური ინჟინერიით.

ტაქსონური ჯგუფის კონცეფცია გამოიყენება ველური ნათესავებს და ჯიშებს შორის ნათესაობის დონის განსაზღვრისათვის. ტაქსონური ჯგუფების კონცეფციის განსაზღვრება გულისხმობს, რომ ტაქსონომიური დისტანცია და გენეტიკური დისტანცია ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. ველური ნათესავების ტაქსონური რანგი განისაზღვრება შემდეგი სახით (Maxted, 2003, Kell et al., 2007) :

ტაქსონური ჯგუფი TG-1a – ჯიში

ტაქსონური ჯგუფი TG-1b – იგივე სახეობა, რაც ჯიში

ტაქსონური ჯგუფი TG-2 – იგივე სექცია ან ჯგუფი, რაც ჯიში

ტაქსონური ჯგუფი TG-3 – იგივე ქვეგვარი, რაც ჯიში

ტაქსონური ჯგუფი TG-4 – იგივე გვარი

ტაქსონური ჯგუფი TG-5 – იგივე ოჯახი, მაგრამ განსხვავებული გვარი, რაც ჯიში

ამგვარად, აღნიშნული გენეტიკური და ტაქსონური ჯგუფების ერთობლივი გამოყენება იძლევა საშუალებას ზუსტად განისაზღვროს თუ რა რანგით ენათესავებიან მოცემული ველური და კულტურული მცენარეები ერთმანეთს.

ნაპრალების ანალიზით შეფასდა *P. caucasica*-ს საქართველოს ფარგლებში გავრცელებული პოპულაცია. შეფასება მოხდა ნაპრალების ანალიზის საანგარიშო

სისტემით (ცხრ. 9), რომელიც განსაზღვრავს CWR-ების საკონსერვაციო პრიორიტეტულობას.

ცხრილი 9. კულტურული მცენარეების ველური ნათესავების (CWRs) საკონსერვაციო პრიორიტეტულობის ანგარიშის სისტემა

N	სახელწოდება	სტატუსი	ქულა
1	საფრთხე (IUCN)	კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR)	10
		საფრთხეში მყოფი (EN)	7
		მოწყვლადი (VU)	4
		საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT)	2
		არ არის შეფასებული (NE)	1
		საფრთხის წინაშე ნაკლებად მდგომი (LC)	0
2	იშვიათობა	გავრცელებულია 1 10X10 კმ ² (UTM)	10
		გავრცელებულია 2-5 10X10 კმ ² (UTM)	7
		გავრცელებულია 6-20 10X10კმ ² (UTM)	4
		გავრცელებულია 21-50 10X10 კმ ² (UTM)	2
		გავრცელებულია > 50 10X10 კმ ² (UTM)	0
3	ენდემურობა	მხოლოდ საქართველოს	10
		კავკასიის	5
		სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის	2
		ევროპის	0
4	გენოფონდი	გენოფონდი 1b/ ტაქსონური ჯგუფი 1b	10
		გენოფონდი 2/ ტაქსონური ჯგუფი 2	6
		ტაქსონური ჯგუფი 3	4
		ტაქსონური ჯგუფი 4	2
		გენოფონდი 3/ ტაქსონური ჯგუფი 5	0

ამ სისტემის თითოეული პუნქტი მოიცავს სტატუსის სამიზნე ტაქსონისთვის მისანიჭებელ კრიტერიუმის ნუსხას. ნუსხის თითოეულ ერთეულს შეესაბამება კონკრეტული ქულა. ტაქსონისთვის კონკრეტული კრიტერიუმის მისადაგება განსაზღვრავს შესაბამის ქულას. რაც უფრო მეტ ქულას დააგროვებს ჯამურად სამიზნე ტაქსონი, მით მაღალია მისთვის მოწყვლადობის რისკი.

4.3.2. მასალები ნაპრალების ანალიზისთვის

ნაპრალების ანალიზის მეთოდით *P. caucasica*-ს და *P. balansae*-ს გავრცელების 215 წერტილი შეფასდა. სახეობების არეალის შეფასება ეფუძნებოდა საველე კვლევების დროს შეგროვილ ინფორმაციას - გეოგრაფიულ ლოკაციებს, სადაც ამ

სახეობების ყოფნა დაფიქსირდა. საფრთხის დონე *P. caucasica*-სთვის განისაზღვრა IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით (IUCN, 2001). სახეობის იშვიათობის დადგენა მოხდა *P. caucasica*-ს გავრცელების არეალში მისი შეხვედრიანობის სიხშირის საფუძველზე, რომელიც რუკაზე დაითვალა 10x10 კმ² რეზოლუციის ბადით. გავრცელების და ენდემურობის დადგენა მოხდა კავკასიის რეგიონში *P. caucasica*-ს გავრცელებაზე არსებული ფლორისტული მონაცემებზე დაყრდნობით (ექვთიმიშვილი და სხვ., საქართველოს ფლორა ტ. 5, 1949; Карягин, 1954; Гроссгейм, 1952; Тахтаджян, 1958; კეცხოველი, 1959; Davis, 1972.) და TBI-ს საჰერბარიო მონაცემებზე დაყრდნობით. გენოფონდის და ტაქსონური ჯგუფების კრიტერიუმის მისადაგება *P. caucasica*-სთვის მოხდა ლიტერატურული წყაროების საფუძველზე (; ხომიზურაშვილი და ერისთავი, 1939; ქუთათელაძე, 1980; ხომიზურაშვილი, 1973).

P. caucasica-ს და *P. balansae*-ს გავრცელების წერტილები რუკაზე დატანა მოხდა პროგრამა ArcGis 9.3-ის (Esri, 2009) მეშვეობით. სახეობების საბაზისო არეალის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა 'მინიმალურად ამოზურცული პოლიგონური კარკასის' (IUCN, 2001) [Minimum convex hull] მეთოდი. ამ მეთოდით ტაქსონის გავრცელების წერტილები რუკაზე შემოისაზღვრება კონტურით. კონტურს წარმოადგენს უმცირესი ზომის პოლიგონი, რომელიც ტაქსონის გავრცელების ყოველ წერტილს მოიცავს იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მისი გაშლის შიდა კუთხე არ უნდა აჭარბებდეს 180°-ს (Burgman & Fox, 2003).

თავი 5. შედეგები

5.1. მორფოლოგიური კვლევის შედეგები

მორფოლოგიური კვლევით მსხლის 9 სახეობის (*P. caucasica*, *P. balansae*, *P. pyrastrer*, *P. salicifolia*, *P. demetrii*, *P. georgica*, *P. ketzkhoveli*, *P. sachokiana*, *P. syriaca*) 201 ინდივიდი და კულტურული მსხლების (ადგილობრივი ჯიშები LC და შემოტანილი ჯიშები IC) 38 ინდივიდი გაანალიზდა, ჯამურად მორფომეტრიული მონაცემების

საფუძველზე გაანალიზდა 239 ინდივიდი. მორფომეტრიული განაზომები მოიცავდა ფოთლის ღეროს და ნაყოფის 6 რაოდენობრივ, 20 ხარისხობრივ და ერთ ლენდმარკულ დესკრიპტორს, რომელიც 20 წევრიან ჰარმონიულ რიცხვთა მწკრივს წარმოადგენდა. საშუალო და სტანდარტული ცდომილება გამოითვალა ყველა რაოდენობრივი ცვლადისთვის (ცხრ. 10).

ცხრილი 10. ერთ-ფაქტორიანი ვარიანსას ანალიზის შედეგები. საშუალოს და სტანდარტული ცდომილების ვარიაცია (ჯგუფთა შორისი, ჯგუფებს შიდა და საერთო); კვადრატების ჯამი; თავისუფლების ხარისხი (df); კვადრატების საშუალო; ფიშერის ინდექსი (F); უილკის ლამბდა (λ) და მათი სარწმუნოების კოეფიციენტები. მონაცემები მიღებულია თითოეული შესწავლილი ინდივიდის 10 ფოთლის განაზომის საფუძველზე (ჯამურად 2390 ფოთლის განაზომი)

მახასიათებელი	საშ. (სმ)	სტ. ცდომილება	ვარიაცია	კვადრ. ჯამი	df	კვადრ. საშუალო	F	სარწ.	λ	სარწ.
LBL (ფირფ. სიგრძე)	3.88	0.03	ჯგუფებს შორის	3059.734	44	58.841	90.922	.000	.476	.000
P. caucasica	3.6261	.03050	ჯგუფებს შიდა ჯამური	1389.449	2359	.647				
LCs	5.0957	.04227		4449.183	2369					
ICs	4.6058	.09745								
P. balansae	3.6638	.08405								
P. pyraster	4.1367	.12914								
P. ketzkhoveli	2.0800	.07204								
P. demetrii	2.1880	.06526								
P. georgica	2.3700	.04450								
P. sachokiana	2.5900	.07371								
P. salicifolia	1.2138	.03284								
P. syriaca	2.7733	.06378								
LBW(ფირფ. სიგანე)	5.99	0.03	ჯგუფებს შორის	3136.078	44	60.309	46.899	.000	.548	.000
P. caucasica	5.0753	.04077	ჯგუფებს შიდა ჯამური	2760.908	2359	1.286				
LCs	7.2002	.05334		5896.986	2369					
ICs	7.8083	.12405								
P. balansae	5.1638	.07662								
P. pyraster	5.5633	.24511								
P. ketzkhoveli	4.5400	.08504								
P. demetrii	5.9840	.09940								
P. georgica	5.8700	.23025								

<i>P. sachokiana</i>	5.0400	.18750								
<i>P. salicifolia</i>	6.6563	.17097								
<i>P. syriaca</i>	6.9467	.13049								
RLW(ფარდობა-სიგრძე/სიგანე)	1.83	0.02	ჯგუფებს შორის	2670.778	44	51.361	100.237	.000	.119	.000
<i>P. caucasica</i>	1.4511	.00818	ჯგუფებს შიდა	1100.113	2359	.512				
LC	1.4547	.00881								
IC	1.7379	.02702								
<i>P. balansae</i>	1.4515	.03046								
<i>P. pyraeter</i>	1.3377	.03100								
<i>P. ketzkhoveli</i>	2.2243	.07336								
<i>P. demetrii</i>	2.8625	.10131	ჯამური	3770.892	2369					
<i>P. georgica</i>	2.5155	.12041								
<i>P. sachokiana</i>	1.9592	.08873								
<i>P. salicifolia</i>	5.8108	.22914								
<i>P. syriaca</i>	2.5411	.07731								
PL (ყუნწის სიგრძე)	3.99	0.03	ჯგუფებს შორის	1988.509	44	38.241	33.367	.000	.653	.000
<i>P. caucasica</i>	4.047	.0393	ჯგუფებს შიდა	2460.603	2359	1.146				
LC	4.782	.0463								
IC	3.991	.0921								
<i>P. balansae</i>	3.838	.1203								
<i>P. pyraeter</i>	2.987	.1523								
<i>P. ketzkhoveli</i>	2.130	.0442								
<i>P. demetrii</i>	2.840	.1201	ჯამური	4449.112	2369					
<i>P. georgica</i>	2.967	.1043								
<i>P. sachokiana</i>	2.260	.2491								
<i>P. salicifolia</i>	1.413	.0533								
<i>P. syriaca</i>	4.173	.1209								
Psh(ყუნწის ფორმა)			ჯგუფებს შორის	4.683	44	.090	508.878	.000	.195	.000
<i>P. caucasica</i>	.103	.0005	ჯგუფებს შიდა	.380	2359	.000				
LC	.197	.0007								
IC	.200	.0000								
<i>P. balansae</i>	.100	.0000								
<i>P. pyraeter</i>	.100	.0000								
<i>P. ketzkhoveli</i>	.100	.0000								
<i>P. demetrii</i>	.100	.0000	ჯამური	5.063	2369					
<i>P. georgica</i>	.100	.0000								
<i>P. sachokiana</i>	.100	.0000								

<i>P. salicifolia</i>	.100	.0000								
<i>P. syriaca</i>	.100	.0000								
RLP (ფარდობა - ფირფ./ყუნწი)	1.729	0.022	ჯგუფებს შორის	1604.868	44	30.863	104.377	.000	.266	.000
<i>P. caucasica</i>	1.3168	.01053	ჯგუფებს შიდა	634.841	2359	.296				
LC	1.3577	.04527								
IC	1.6524	.01682								
<i>P. balansae</i>	1.4203	.03595								
<i>P. pyraister</i>	1.9315	.07656								
<i>P. ketzkhovelii</i>	2.1403	.04063								
<i>P. demetrii</i>	2.2477	.07404	ჯამური	2239.709	2369					
<i>P. georgica</i>	2.0142	.07388								
<i>P. sachokiana</i>	2.4187	.19845								
<i>P. salicifolia</i>	5.1360	.18704								
<i>P. syriaca</i>	1.6874	.20198								

ვარიანსას ერთს-ფაქტორიანმა ანალიზმა აჩვენა, რომსაშალოს და სტანდარტული ცდომილების ჯგუფებს შორისი ვარიაცია ჯგუფებს შიდა ვარიაციას სარწმუნოდ აჭარბებდა ($p < 0.001$) ყველა პარამეტრით. ფიშერის განაწილების კოეფიციენტები მაღალი ჰქონდათ ფოთლის ყუნქის სიგრძეს (PL) და ფოთლის ფირფიტის სიგანეს (LBW), რაც მიუთითებს ამ მორფოლოგიური ნიშნების ძლიერ სხვაობაზე გაანალიზებულ ტაქსონურ ჯგუფებში. დამოუკიდებლობის ინდექსის (df) და ხი-კვადრატის (χ^2) მონაცემებმა, უფრო კონკრეტულად მათმა თანაფარდობამ გამოავლინა, რომ ფოთოლზე, ნაყოფზე და ღეროზე გაზომილი კატეგორიული ცვლადების განაწილება ერთმანეთისგან სარწმუნოდ განსხვავდებოდა ჯგუფთა შორის (ცხრ. 11). ეს შედეგი გაამყარა უილკის ლამბდას (λ) და ფიშერის განაწილების (F) კოეფიციენტებმაც.

ცხრილი 11. ფოთლის ნაყოფის და ღეროს კატეგორიული (ხარისხობრივი) ცვლადების სტატისტიკური ანალიზის შედეგები. დამოუკიდებლობის ინდექსის (df) და ხი-კვადრატის ფარდობა (χ^2) სარწმუნოების კოეფიციენტით; და, უილკის ლამბდას (λ) და ფიშერის განაწილების (F) კოეფიციენტებ მათი სარწმუნოების კოეფიციენტებით ($p < 0.05$; $N=239$).

კატეგორიული ცვლადები	Chi-square/df	Sig.	Wilk's Lambda	F	Sig.
----------------------	---------------	------	---------------	---	------

LBB	29.3445	.000	.865	3.851	.000
LBA	43.0032	.000	.958	1.081	.378
LBM	74.9524	.000	.497	25.073	.000
LT	144.794	.000	.917	9.893	.000
YST	43.8413	.000	.058	403.524	.000
CSH	88.6667	.000	.169	121.951	.000
FL	65.5476	.000	.201	98.244	.000
FMD	59.8667	.000	.201	98.433	.000
RLD	71.6615	.000	.458	29.272	.000
FGC	100.137	.000	.864	3.904	.000
FOC	106.425	.000	.600	16.473	.000
FSL	17.8429	.000	.426	33.372	.000
FST	90.3429	.000	.377	40.927	.000
FTF	115.9	.000	.459	29.195	.000
FCF	23.33	.000	.434	32.225	.000
FEQ	40.6548	.000	.171	119.652	.000
TF	37.7893	.000	.903	11.799	.000
FA	153.571	.000	.801	27.300	.000
FHM	106.312	.000	.936	7.483	.001
EFP	175.904	.000	.942	6.794	.001

უილკის ლამბდას (λ) მონაცემები მიუთითებენ დესკრიპტორების - LBM, YST, CSH, FL, FMD, RLD, FSL, FST, FEQ, FCF, FTF ძლიერ ჯგუფთაშორის სხვაობაზე. აღმოჩნდა, რომ ჯგუფთა შორის სუსტად ვარიებენ დესკრიპტორები - LBB, LBA, LT, FGC, FOC, TF, FA, FHM და EFP. მათ შორის მოხვდა ორი დესკრიპტორი LBB და LBA, რომლებიც ტაქსონომიურად ძალზე მნიშვნელოვანი მორფოლოგიური მახასიათებლები არიან ველური მსხლების ტაქსონების განსასხვავებლად.

გამოთვლილი იქნა ამ ორი (LBB და LBA) ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი ნიშნების განაწილების სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი. იგივე მონაცემების გამოთვლა მოხდა დამატებით ორი მორფოლოგიური დესკრიპტორისთვის LBM-ს (ფოთლის ფირფიტის კიდის ფორმა) და FCF-თვის (ნაყოფის რბილობის შეფერილობა), რომლებიც ასევე მნიშვნელოვანი ტაქსონომიურ ნიშნებს წარმოადგენენ მსხლის ველური და კულტურული ტაქსონების იდენტიფიკაციისთვის. შედეგებმა უჩვენეს (ცხრ. 12), რომ *P. caucasica* და *P. pyraeaster*-ი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ფოთლის ფირფიტის კიდის დაკბილვის ფორმით. *P. caucasica*-ს იგი მთლიანი აქვს, ხოლო *P. pyraeaster*-ს - დაკბილული. *P. balansae*-ს ფოთლის ფირფიტის კიდე მხოლოდ წვეროში აქვს დაკბილული. სხვა სახეობებს ფირფიტის კიდე ძირითადად მთლიანი აქვთ *P.*

demetrii-ს და *P. georgica*-ს განსხვავებით, რომლებშიც დაკბილვა შერეული ტიპით არის წარმოდგენილი, უმეტეს წილად კი ამ სახეობების ფირფიტის კიდე დატალღულია.

ნაყოფის რბილობის მუქი შემადგენლობა *P. caucasica*-ს, *P. balansae*-ს და მსხლის ადგილობრივი ჯიშების 43.3%-სთვის აღმოჩნდა საერთო ნიშანი. ფოთლის ფუძის და წვეროს ფორმები ძალზე ვარიაციული აღმოჩნდა ტაქსონთა შორის.

ცხრილი 12. ფოთლის და ნაყოფის ოთხი ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი დესკრიპტორული ნიშანის განაწილების სიხშირე (%) მსხლის 9 სახეობაში და 38 ჯიშში.

		LBB - ფოთლის ფირფიტის ფუძის ფორმა (%)						ფოთლის ფირფიტის წვეროს ფორმა (%)			
ტაქსონი	N	წამახული	ფართო კვერცხისებრი	მომრგვალებული	გული სებრი	ფართო ელიფსური	ვიწრო ელიფსური	წამახული	წაწვეტებული	მომრგვალებული	ამოზურცული
<i>P. caucasica</i>	1000	8.8	49.0	26.5	8.8	6.9	0	40.2	56.9	2.9	0
LCs	810	16.4	37.3	25.4	3.0	17.9	0	38.8	55.2	6.0	0
ICs	220	0	66.7	33.3	0	0	0	75.0	25.0	0	0
<i>P. balansae</i>	80	50.0	25.0	0	0	25.0	0	75.0	25.0	0	0
<i>P. pyraister</i>	30	0	66.7	33.3	0	0	0	0	100	0	0
<i>P. salicifolia</i>	80	0	0	0	0	0	100	12.5	0	0	87.5
<i>P. demetrii</i>	30	0	0	0	0	0	100	60.0	0	0	40.0
<i>P. georgica</i>	50	0	0	100	0	0	0	33.3	0	0	66.7
<i>P. ketzkhovelii</i>	20	0	0	0	0	0	100	0	0	0	100
<i>P. sachokiana</i>	10	0	0	0	0	0	100	0	0	0	100
<i>P. syriaca</i>	30	0	0	100	0	0	0	0	0	0	100
		LBM - ფოთლის ფირფიტის კიდის დაკბილვის ტიპი(%)				FCF- რბილობის შეფერილობა (%)					
ტაქსონი	N	მთლიანო	დატალღული	დაკბილული	დაკბილული წვერო	N	ნათელი	მუქი			
<i>P. caucasica</i>	1000	100	0	0	0	500	0	100			
LCs	810	41.8	0	47.8	10.4	405	56.7	43.3			
ICs	220	0	75.0	25.0	0	110	100	0			
<i>P. balansae</i>	80	0	0	0	100	40	0	100			
<i>P. pyraister</i>	30	0	66.7	33.3	0	15	100	0			
<i>P. salicifolia</i>	80	100	0	0	0	40	100	0			
<i>P. demetrii</i>	30	40.0	60.0	0	0	15	100	0			
<i>P. georgica</i>	50	66.7	33.3	0	0	25	100	0			
<i>P. ketzkhovelii</i>	20	0	100	0	0	10	100	0			
<i>P. sachokiana</i>	10	100	0	0	0	5	100	0			
<i>P. syriaca</i>	30	100	0	0	0	15	100	0			

პრინციპულ კომპონენტთა ანალიზის (PCA) ორი განსხვავებული პროცედურა განხორციელდა: 1) პირველ შემთხვევაში გამოყენებული იქნა ფოთლის ფორმის დესკრიპტორი (20 წევრიანი ჰარმონიკი); 6 ფოთლის რაოდენობრივი დესკრიპტორული მონაცემი და 14 ღეროს, ფოთლის და ნაყოფის ხარისხობრივი

დესკრიპტორული მონაცემი. PCA ჩატარდა კოეფიციენტთა კოვარიაციული მატრიცის გამოყენებით. 6 დესკრიპტორი: LBC, FGC, TF, FA, FHM და EFP, რომლებსაც λ-ს არასაკმარისი მაჩვენებელი ჰქონდათ, ანალიზიდან გამოირიცხა. ოთხი მათგანი სეზონურ დესკრიპტორს წარმოადგენდა. დარჩენილი 21 დესკრიპტორიდან, რომლებიც პრინციპულ კომპონენტებად (PC) გარდაიქმნენ, პირველმა სამმა კომპონენტმა ჯამურად ვარიაციის 72.83% ასახა (PC1 - 47.14%, PC2 - 16.13%, PC3 - 9.56%). PCA-ს სქემის ასაგებ ფაქტორებად გამოყენებული იქნა PC1 და PC2 კომპონენტები. პირველი ფაქტორი მოიცავდა ფოთლის და ნაყოფის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დესკრიპტორებს: LBM, LBW, LBL, PL, FOC, FL, FSH, FMD, FEQ, დესკრიპტორები, რომლებიც მე-2 ფაქტორში გაერთიანდნენ LBB, LBA, LBL და FCF, ასევე ფოთლის და ნაყოფის მორფოლოგიურ ნიშნებს ასახავდნენ (ფოთლის ფირფიტის სიგრძე, ფუძის და წვეროს ფორმები; ნაყოფის რბილობის შეფერილობა). 2) PCA-ს მეორე ვერსია განხორციელდა ფოთლის 6 რაოდენობრივ და 6 ხარისხობრივ დესკრიპტორული მონაცემის საფუძველზე. ანალიზში გამოყენებული იქნა ფოთლის ფორმის ამსახველი 20 წვერიანი ჰარმონიკი. დანარჩენი მორფომეტრიული მონაცემები ანალიზიდან გამოირიცხა. დარჩენილი 13 დესკრიპტორისგან შექმნილმა PC-ებიდან პირველმა სამმა ვარიაციის 77.74% ასახა (PC1 - 36.12%, PC2 -16.13%, PC3 - 29.71%,11.91%). PCA-ს სქემის ასაგებ ფაქტორებად კვლავ PC1 და PC2 იქნა გამოყენებული. პირველი მათგანი მოიცავდა ფოთლის ფირფიტის წვეროს და ფუძის ფორმის, ფირფიტის კიდის ფორმის ხარისხობრივ დესკრიპტორებს და ფოთლის ყუნწის და ფირფიტის სიგრძე-სიგანის განაზომებს (LBM, LBB, LBA, PL, LBW, LBL). მეორე ფაქტორში გაერთიანდა ფოთლის ფარდობითი სიდიდეები, შებუსვის ამსახველი ხარისხობრივი დესკრიპტორი (RLP, RLW, LBC) და ფოთლის ფორმის ამსახველი დესკრიპტორის ჰარმონიული რცხვთა მწკრივის პირველი 3 კომპონენტი, რომლებსაც ყველაზე მაღალი რიცხვითი მნიშვნელობები ჰქონდათ.

საფეხურობრივი DFA, რომელიც მაჰალანობისის დისტანციების მეთოდზე იყო დაფუძნებული, განხორციელდა საკვლევი ტაქსონური ჯგუფების

დისკრიმინაციისთვის და ჯგუფებში მათი წევრობის პროგნოზირებადი მოდელის ასაგებად. PCA-ს შემთხვევაშიც DFA-ს მსგავსად ორი განსხვავებული პროცედურით წარიმართა: 1) პირველ შემთხვევაში ღეროს, ფოთლის და ნაყოფის 7 რაოდენობრივი და 14 ხარისხობრივი დესკრიპტორული მონაცემი იქნა გამოყენებული; 2) მეორე შემთხვევაში კი, PCA-ს შემთხვევაში გამოყენებული რედუქციის წესის მსგავსად, ღეროს, ფოთლის და ნაყოფის 7 რაოდენობრივი და 6 ხარისხობრივი დესკრიპტორული მონაცემი გამოვიყენეთ. ტაქსონთა დისკრიმინაციისთვის გამოყენებული იქნა ჯგუფური ცვლადების სამი სხვადასხვა კლასიფიკაციის სისტემა 1) „ტაქსონური ჯგუფები“, რომელიც მოიცავდა ველური მსხლების 9 სახეობას და ჯიშების ორ ჯგუფს (LC-ადგილობრივი ჯიშები და IC-შემოტანილი ჯიშები); 2) „ველური ნათესავები“, რომელიც მოიცავდა მოცემული კვლევის დროს გამოვლენილ 4 პროგენიტორ სახეობას (*P. caucasica*, *P. balansae*, *P. pyraster*, და *P. ketzkhoveli*) და ჯიშების ორივე ჯგუფს; 3) ერთ ჯგუფად გაერთიანებულ 38 ჯიშს და მათონ მორფოლოგიურად დაკავშირებულ 4 ველურ მსხალს.

ცხრილი 13. DFA-ს შედეგები. დამაჯგუფებელი ცვლადები არიან: 1) "ტაქსონური ჯგუფები" (9 სახეობა, 2 ჯიშების ჯგუფი LC და IC), 2) "პროგენიტორი სახეობები" (4 სახეობა, 2 ჯიშების ჯგუფი LC და IC) და 3) "ჯიშები" (4 სახეობა, 27 LC და 9 IC). პირველი და მესამე დამაჯგუფებელი ცვლადები დაფუძნებულები არიან პრინციპულ კომპონენტებზე, რომლებიც მიღებულია ფოთლის, ღეროს და ნაყოფის 21 დესკრიპტორიდან. მეორე დამაჯგუფებელი ცვლადი მიღებულია 12 მორფოლოგიური დესკრიპტორის და ფოთლის ფორმის ამსახველი 20 წევრიანი ჰარმონიკებიდან. (N=237).

"ტაქსონური ჯგუფით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები						
ფუნქცია	საკუთარი მნიშვნელობები	ვარიანსას %	კუმულაციური %	კანონიკური კორელაცია	ალბათობის დონე	λ
1	14.120	73.9	73.9	.966	.000	.008
2	4.509	23.6	97.5	.905	.000	.008
3	.237	1.2	98.7	.438	.000	.643
"ველური ნათესავებით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები						
ფუნქცია	საკუთარი მნიშვნელობები	ვარიანსას %	კუმულაციური %	კანონიკური კორელაცია	ალბათობის დონე	λ
1	2.324	77.8	77.8	.836	.000	.171
2	.484	16.2	94.0	.571	.000	.567

3	.091	3.0	97.1	.289	.000	.841
"ჯიშებით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები						
ფუნქცია	საკუთარი მნიშვნელობები	ვარიანსას %	კუმულაციური %	კანონიკური კორელაცია	ალბათობის დონე	λ
1	19.682	87.0	87.0	.976	.000	.005
2	1.092	4.8	91.9	.723	.000	.105
3	.601	2.7	94.5	.613	.000	.219


ტაქსონური ჯგუფებით გაკეთებული კლასიფიკაციის დროს (ცხრ. 13) პირველი სამი კანონიკური დისკრიმინანტის ფუნქციას (CDF) დისკრიმინაციის ძალის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ (98.7%). მათგან პირველ ორს λ -ს მნიშვნელობა სარწმუნოდ მისაღები ჰქონდათ (0.008), ხოლო მესამე CDF-ს გაცილებით მაღალი (0.643), რის გამოც პირველი ორი ფუნქციის გამოყენებით მოხდა დისკრიმინაციის სქემის აგება. კლასიფიკაციის შედეგებმა (ცხრ. 14) დააჯგუფა საკვლევი ინდივიდებიდან (237) 185, ანუ 77.73%. ჯგუფებში სწორად განაწილების მაჩვენებელი ყველაზე დაბალი LC ჯგუფს ჰქონდა (73.1%).

ცხრილი 14. 239 ინდივიდის კლასიფიკაცია, რომლებიც განეკუთვნებიან 9 წელური მსხლის სახეობას, მსხლის ადგილობრივი ჯიშების (LC) დაშემოტანილი ჯიშების (IC) ჯგუფებს CDF-თი.

"ტაქსონური ჯგუფით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები												
ტაქსონი	სიზუსტის %	Pc	LC	IC	Pb	Pp	Pk	Pd	Pg	Psy	Psa	Psl
P. caucasica (Pc)	79.8	79.8	-	-	20.2	-	-	-	-	-	-	-
LC	73.1	7.5	73.1	14.9	4.5	-	-	-	-	-	-	-
IC	83.3	-	8.3	83.3	-	8.4	-	-	-	-	-	-
P. balansae (Pb)	75.0	25.0	-	-	75.0	-	-	-	-	-	-	-
P. pyraeter (Pp)	100	-	-	-	-	100	-	-	-	-	-	-
P. ketzkhovelii (Pk)	100	-	-	-	-	-	100	-	-	-	-	-
P. demetrii (Pd)	80.0	-	-	-	-	-	-	80.0	-	-	20.0	-
P. georgica (Pg)	100	-	-	-	-	-	-	-	100	-	-	-
P. syriaca (Psy)	100	-	-	-	-	-	-	-	-	100	-	-
P. sachokiana (Psa)	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	100	-
P. salicifolia (Psl)	100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100
ჯამი	77.73	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
"პროგენიტორი სახეობებით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები												
ტაქსონი	სიზუსტის %	Pc	LC	IC	Pb	Pp	Pk					
P. caucasica (Pc)	94.8	94.8	2.3	-	2.4	-	-					
LC	38.4	21.5	38.4	22.4	5.1	12.3	0.3					
IC	81.7	-	7.5	81.7	-	5.8	5.0					
P. balansae (Pb)	95.0	-	5.0	-	95.0	-	-					
P. pyraeter (Pp)	73.3	-	-	26.7	-	73.3	-					
P. ketzkhovelii (Pk)	100.0	-	-	-	-	-	100.0					
Total	74.4	-	-	-	-	-	-					
"ჯიშებით" განხორციელებული დაჯგუფების მონაცემები												
ტაქსონი	სიზუსტის %	LC	%		IC	%						

<i>P. caucasica</i>	36.8	კვიპიჭა წვრილმსხალა ქორდა ნენეს მსხალი თავრეჯული სამარიობო პანტა მსხალი ბეზანი ქართული მსხალი აყირო თაფლა მსხალი ბორბალა	21.0 9.2 8.2 5.4 4.9 3.9 3.5 2.3 2.0 1.3 1.2 0.3	-	-
<i>P. balansae</i>	81.25	ხინოს მსხალი შავმსხალა	17.5 1.25	-	-
<i>P. pyraister</i>	43.3	გვერდწითელა	66.7	-	-
<i>P. ketzkhoveli</i>	90.0			გულაბი მსხალი	10.0
ჯამი	46.8				

იგი 7.5% - ით დაჯგუფდა *P. caucasica*-ს ტაქსონთან, 4.5%-ით - *P. balansae*-ს ტაქსონთან და 14.9%-ით IC ჯგუფთან. ადგილობრივი ჯიშების ბოლო ჯგუფი დაჯგუფდა *P. pyraister*-ის ტაქსონთან. ქართულ ველურ მსხლებთან ამ ჯგუფის კავშირი არ გამოვლინდა. 237 ინდივიდის მონაცემებზე აგებულ DFA-ს გაფანტვის სქემაზე, რომელიც „ტაქსონური ჯგუფებით“ არის კლასიფიცირებული, ინდივიდები 3 ჯგუფად დაჯგუფდნენ (სქემა 6, A).




სქემა 6, A

სქემა 6. მსხლის ველური სახეობების და ჯიშების 239 ინდივიდის DFA -ს დისპერსიის სქემები, რომლებზეც მონაცემები დაჯგუფებულია ორი დამაჯგუფებელი ცვლადის გამოყენებით: (A) "ტაქსონური ჯგუფი" (დეროს, ფოთლის და ნაყოფის 20 მორფოლოგიური დესკრიპტორი და 20 წევრიანი ფოთლის ფორმის ამსახველი ლენდმარკული ჰარმონიკები); (B) "პროგენიტორი სახეობები" (12 მორფოლოგიური ნიშანი და 20 წევრიანი ფოთლის ფორმის ჰარმონიკები).

პირველი განცალკევებული ჯგუფი ფორმირებულია ველური მსხლის სახეობებით: *P. salicifolia*, *P. demetrii*, *P. georgica*, *P. sachokiana* და *P. syriaca* სქემის ზედა მარცხენა მხარეზე. ქვედა შუა ნაწილზე განლაგებულია პროგენიტორი სახეობები - *P. caucasica*, *P. balansae*, *P. pyraister*, *P. ketzkhoveli* და მსხლის ადგილობრივი ჯიშების ჯგუფის ნაწილი. ადგილობრივი ჯიშების ჯგუფის სხვა მსხლის ნაწილი შემოტანილი ჯიშების ჯგუფთან ერთად სქემის ზედა ნაწილშია განლაგებული *P. pyraister*-თან ერთად, რომლის ინდივიდების ნაწილიც შერეულია შემოტანილი ჯიშების ჯგუფთან.

საფეხურობრივი DFA-მ, რომელიც განხორციელდა დამაჯგუფებელი ცვლადით „პროგენიტორი სახეობები“, 20 წევრიანი ფოთლის ფორმის ჰარმონიკებით, ფოთლის 6 რაოდენობრივი და 6 ხარისხობრივი დესკრიპტორის გამოყენებით, კუმულაციური ვარიანსას მაღალი მონაცემი - 97.1% მიაწიჭა პირველ სამ CDF-ს (ცხრ. 6). λ -ს მნიშვნელობა სარწმუნო იყო პირველი CDF-სთვის (0.171) და ნაკლებად სარწმუნო დანარჩენი ორი CDF-სთვის (0.567 და 0.841).




სქემა 6, B

კლასიფიკაციის რეზულტატის მიხედვით ინდივიდების 74.4% სწორად იქნა განაწილებული ჯგუფებში, რომელიც შედგენილი იყო 4 პროგენიტორი სახეობის - *P. caucasica*, *P. balansae*, *P. pyraeaster* და *P. ketzkhovellii* და ორი ჯიშის ჯგუფისაგან (LC, IC). *P. caucasica* 94.8%-ით სწორად განაწილდა და კავშირი გამოავლინა LC ჯგუფთან (2.3%), *P. balansae* -სთან (2.9%) და *P. ketzkhovellii* -სთან (0.5%). LC ჯგუფი ძლიერ არის გაბნეული ჯგუფებს შორის და მისი ჯგუფებში წევრობის სიზუსტის მაჩვენებელი მხოლოდ 38.4%-ს აღწევს. ეს ჯგუფი ყველა ტაქსონთან არის დაკავშირებული (სქემა 6, B) და ახლო ნათესაობას ავლენს *P. caucasica*-თან (21.5%) IC ჯგუფთან (22.4%). ამ ჯგუფის ინდივიდები განაწილდნენ ასევე *P. balansae* -ს (5.1%), *P. pyraeaster* -ის (12.3%) და *P. ketzkhovellii* -ის (0.3%) ჯგუფებში (ცხრ. 14).

დამაჯგუფებელ ცვლადთა კლასიფიკაციის სისტემა „ჯიში“ DFA-ში გამოყენებული იყო მსხლის ცალკეული ჯიშების დასაჯგუფებლად მათ პოტენციურ პროგენიტორ სახეობებთან. მოცემული კლასიფიკაციით განხორციელებული DFA-ს ბაზისად გამოყენებული იქნა ღეროს, ფოთლის და ნაყოფის 20 დესკრიპტორული მონაცემი, რომელიც რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლადებს მოიცავდა და კვლავ ფოთლის

ფორმის 1 გამომსახველი ლენდმარკული დესკრიპტორს, რომელიც 20 წევრიან ჰარმონიკებს წარმოადგენდა თითო ფოთლისათვის. პირველი ორი CDF-ს მოცემულ შემთხვევაშიც ვარიანსას მაღალი კუმულატიური პროცენტული მაჩვენებელი - 94.5% ჰქონდათ (ცხრ. 6) და მათი λ -ს მნიშვნელობაც დაბალი, ანუ მნიშვნელოვანი იყო. კლასიფიკაციის შედეგებმა (ცხრ. 7) უჩვენა, რომ 237 დან მხოლოდ 111 ინდივიდი (46.8%) განაწილდა სწორად ჯგუფებში, რომელიც შექმნილი იყო 38 ჯიშის და მსხლის პროგენიტორი 4 სახეობისგან (ჯამში 42 ჯგუფი). ყველაზე დიდი გადაფარვა დაფიქსირდა ჯიშებს შორის. ზოგიერთი ჯიში ძალზე დაბალი სიზუსტით განაწილდა ჯგუფებში მაგ.: 'ხეჭეჭური' (5%), 'ზამთრის მსხალი' ['Winter Nelis'] (8.35%) და გულაბი (13.3%). დიდი მსგავსება (36.8%) გამოვლინდა ადგილობრივ ჯიშებს (LC) - 'კვიჭიჭა', 'წვრილმსხალა', 'ზინოს მსხალი', 'ნენეს მსხალი', 'თავრეჯული', 'სამარიობო', 'პანტა მსხალი', 'ბებანი', 'ქართული მსხალი', 'აყირო', 'თაფლა მსხალი', 'ზორბალა' და *P. caucasica*-ს შორის. შემოტანილმა ჯიშებმა (IC) ძალზე ძლიერი მსგავსება გამოავლინეს *P. pyraster*-თან და თითქმის 100%-იანი სიზუსტით განლაგდნენ ჯგუფებში. *P. pyraster*-თან საკმაოდ დიდი მსგავსება (33.3%) გამოავლინეს ადგილობრივმა ჯიშებმა 'წითელგვერდამ' და 'თულუხამ'. 10%-იანი მსგავსება გამოვლინდა *P. ketzkhovelii*-სა და შემოტანილ ჯიშს შორის 'Gorham pear' ('გორძამა'), რომელიც 'ბერყენას' სინონიმითაც არის ცნობილი.

ურთიერთკავშირი ველური მსხლის 9 სახეობასა და 37 ჯიშს შორის ასახულია იერარქიული კლასტერული ანალიზით (HCA) აგებულ დენდროგრამაზე (სქემა 7). მცენარეული მასალის თავში მოცემულ ცხრილში (ცხრ. 2; თავი 4.1.3.) ჯიშები 'კახური გულაბი' და 'გულაბი' ცალ-ცალკეა გრაფებშია განთავსებული დენდროგრამაზე ეს ორი ტაქსონი ერთ ტაქსონად 'გულაბი' არის წარმოდგენილი, რადგან DFA მეთოდით ჯგუფებში განაწილების დროს მათ ძლიერი ურთიერთმსგავსება გამოავლინეს (98.7%). ტაქსონები დენდროგრამაზე განაწილებულია 3 ძირითად ჯგუფში:



სქემა 7. HCA დენდროგრამა აგებული ევკლიდური დისტანციების გამოყენებით, სადაც უორდის მეთოდი გამოყენებულია, როგორც ამალგამაციის წესი. 39 ჯიშის და 9 ველური მსხლის ურთიერთ მორფოლოგიური კავშირი გამოსახულია სამი A, B და C კლასტერის სახით.

1) პირველი ჯგუფი მოიცავს *P. caucasica*-ს და *P. balansae*-ს ველური ტაქსონებიდან და 15 ადგილობრივ ჯიშს; 2) მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ბერყენების ჯგუფის წარმომადგენელი 5 სახეობა, რომლებიც გამოცალკევდნენ პროგენიტორი მსხლების და ჯიშების ჯგუფებიდან. 3) მესამე ჯგუფი კი მოიცავს *P. pyraster* -ს, *P. ketskhovelii*-ს და მსხლის 22 ადგილობრივ და შემოტანილ ჯიშს.

P. pyraster-ი და *P. ketskhovelii* ძალზე ახლოს განლაგდა ჯიშ 'გორძამასთან' ('Gorham pear') კლასტერ C-ში და 23 დისტანციის ერთეულით გამოცალკევდა სხვა (A და B) ჯგუფებისაგან. სხვადასხვა ტაქსონებმა გამოავლინეს ძალზე ახლო (≤ 1) ურთიერთკავშირი: 1) *P. caucasica*-მ და 'პანტა მსხალმა'; 2) *P. balansae*-მ და 'წვრილმსხალამ'; 3) 'სამარიობომ' და 'თავრეჯულმა'; 4) 'მაჟარამ' და 'თაფლა მსხალმა'; 5) *P. demetrii*-მ და *P. georgica*-მ; 6) 'Winter Nelis-მა', და 'ხეჭეჭურმა', 'გულაბმა' და 'გვერდწითელამ'; 7) 'Sand pear-მა' (მიკადომ), 'Kieffer pear-მა', 'Beurré Bosque-მ' და ქართულმა ჯიშმა 'მაქრე'; 8) 'Bartlett-მა', 'ყაბაყ-არმუდმა' და 'კაცისთავამ'; 9) 'Beurré Ardanpont-მა', 'Saint Germain-მა' და ქართულმა ჯიშმა 'Nanadziri'.

5.2. გენეტიკური კვლევის შედეგები

ველური მსხლები: მსხლის ქართული ჯიშების ველური ნათესავი *P. caucasica*, და ევროპული ჯიშების პროგენიტორი *P. pyraster* ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გენეტიკური სტრუქტურით, როგორც ამას წყვილი *F_{ST}* მნიშვნელობების პერმუტაციის ტესტი უჩვენებს (ცხრ. 15).


ცხრილი 15. გენეტიკური სხვაობა *P. caucasica*-ს, *P. pyraster*-ს და *P. salicifolia*-ს შორის. ცხრილში მოცემულია ინდივიდთა რიცხვი (n), ალელების საშუალო რაოდენობა ლოკუსში, ეფექტური

ჰეტეროზიგოტულობა (H_e), ალელთა მრავალფეროვნება, გენეტიკური სხვაობა (F_{ST}), და F_{ST} -ს დამაჯერებლობის ინტერვალები.

ტაქსონი	n	ალელების საშუალო/ ლოკუსში	H_e	ალელთა მრავალფეროვნება (N=12 ინდ.)	F_{ST}	დამაჯერებლობის 95% -იანი ინტერვალი
<i>P. caucasica</i>	112	17	0.761	9		
<i>P. pyraeter</i>	28	12	0.840	9	0.135	0.077 - 0.203
<i>P. salicifolia</i>	14	9	0.746	8		

ინდივიდთა შორის დისტანციების გრაფიკულმა გამოსახულებამ გამოავლინა, რომ *P. salicifolia* დამაჯერებლად იყო ცალკე კლასტერად გამიჯნული. ეს კლასტერი ასევე მოიცავდა *P. syriaca*-ს და *P. demetrii*-ს ინდივიდებსაც. *P. pyraeter*-ის ინდივიდები განაწილდნენ სხვადასხვა კლასტერებში და დაჯგუფდნენ: NPGS-ს ბაზებიდან მოპოვებული *P. caucasica*-ს ნიმუშებთან საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვებულ *P. caucasica*-ს თან (ნიმუში N75). *P. sachochiana*-ს (6 sach) და *P. demetrii* -ს (7 dem) თითო ნიმუში დაჯგუფდა NPGS-ბაზის *P. pyraeter* და NPGS *P. caucasica*-ს ნიმუშებთან (სქემა 8) საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვებული 73 *P. caucasica*-ს ნიმუშიდან 41 გენეტიკურად NPGS *P. caucasica*-ს ნიმუშების მსგავსი აღმოჩნდა. ორივე ტაქსონური ჯგუფი ძალზე ახლოს და ჯგუფდა *P. balansae*-ს საქართველოში შეგროვილ 10 ნიმუშთან. ამასთან, *P. sachokiana*-ს ერთი ნიმუში (145 sach), *P. demetrii* -ს 4 ნიმუში და *P. ketzkhovelli*-ს ერთი ნიმუში *P. caucasica*-ს კლასტერში მცირე ჯგუფის სახით განლაგდნენ. ეს ფაქტი მიუთითებს აღნიშნული ინდივიდების გენომებს შორის საერთო გენების არსებობაზე, ანუ ჰიბრიდიზაციაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ბუნებრივი ჰიბრიდების პროგენიტორი არის *P. caucasica* და არა პირიქით.

დენდროგრამის მიხედვით *P. balansae*-ს ნიმუშები *P. caucasica*-ს კლასტერში არიან გაფანტული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ორი სახეობა გენეტიკურად მკაცრად დიფერენცირებული არ არის, რასაც ვასკვნიტ გამოყენებული მიკროსატელიტური მარკერების საფუძველზე.




სქემა 8. მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა, რომელზეც ილუსტრირებულია გენეტიკური დისტანციები: ღია ფერში მოცემულ - USDA-ARS მცენარეთა ეროვნული გენოფონდის სისტემის ნიმუშებს : *P. caucasica* (cau) და *P. pyraeaster* (pyr); მუქ ფერში გამოსახულ - საქართველოში შეგროვილი ველური მსხლების ნიმუშებს: *P. caucasica* (cau), *P. salicifolia* (sal), *P. demetrii* (dem), *P. syriaca* (syr), *P. sachokiana* (sach), *P. balansae* (bal), *P. ketzkhovelli* (ket) and *P. bulgarica* (bul) შორის. დენდროგრამის პრედომინანტული რეგიონები *P. salicifolia*, *P. pyraeaster*, და *P. caucasica* მარკირებულია. ნიმუშების რაოდენობრივი მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში (ცხრ 6,7; თავი 4.2.7).

საქართველოში შეგროვილი ველური *P. caucasica*-ს ნიმუშები შედარდა USDA-ARS მცენარეთა ეროვნული გენოფონდის სისტემის *P. caucasica*-ს ნიმუშებს, რათა გარკვეულიყო, თუ რამდენად არსებობდა მათ შორის განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ ნიმუშთა ორივე წყებას ჰეტეროზიგოტულობის და ალელთა მრავალფეროვნების მსგავსი დონე ჰქონდათ, ისინი განსხვავდებოდნენ გენეტიკური სხვაობის (F_{ST}) მონაცემებით (0.0257, დამაჯერებლობის 95%-იანი ინტერვალით 0.013-დან 0.042-მდე; ცხრ. 16).

ცხრილი 16. გენეტიკური სხვაობა *P. caucasica*-ს საქართველოში შეგროვილ და NPGS ბაზიდან აღებულ (Volk et al., 2006) ნიმუშებს შორის. ცხრილში მოცემულია ინდივიდთა რიცხვი (n), ალელების საშუალო რაოდენობა ლოკუსში, ეფექტური ჰეტეროზიგოტულობა (He), ალელთა მრავალფეროვნება, გენეტიკური სხვაობა (F_{ST}), და F_{ST} -ს დამაჯერებლობის ინტერვალები.

ტაქსონი	n	აღაღების საშუალო/ ლოკუსში	He	აღელთა მრავალფეროვნება (N=39 ინდ.)	F _{ST}	დამაჯერებლობ ის 95% -იანი ინტერვალი
<i>P. caucasica</i> (GE)	71	15	0.727	13	0.0257	0.013 - 0.042
<i>P. caucasica</i> (NPGS)	41	13	0.791	12		

ეს მონაცემები უჩვენებს, რომ საქართველოში მოპოვებული *P. caucasica*-ს ნიმუშების გენეტიკური მრავალფეროვნება შედარებით დაბალია NPGS ბაზიდან აღებული *P. caucasica*-ს ნიმუშების მრავალფეროვნებისგან, რაც განასხვავებს ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისაგან.



სქემა 9. მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა, რომელზეც ილუსტრირებულია გენეტიკური დისტანციები: მსხლის ჯიშებსა და ველურ სახეობებს შორის. სახეობები და ჯიშები შესაძლო ნათესაურ კავშირში არიან *P. caucasica*-სთან. საქართველოში შეგროვილი ჯიშებიდან

დენდროგრამაზე - ადგილობრივი ჯიშები (CV L), შემოტანილი ჯიშები (CV, CV I) და მათ შორის გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნების მქონე ჯიშები (CV H) მონიშნულები არიან მუქ ფერად ფრჩხილებში მითითებული აკრონიმებით. ველური სახეობები: *P. demetrii* (dem), *P. syriaca* (syr), *P. sachokiana* (sach), *P. balansae* (bal), და *P. ketzkhovelli* (ket) მონიშნულები არიან ღია ფერად, ფრჩხილებში მათთვის მითითებული აკრონიმებით. ნიმუშების რაოდენობრივი მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში (ცხრ 6, 8; თავი 4.2.7.).

საქართველოში შეგროვილ მსხლის 35 ჯიშს და *P. caucasica*-ს 73 ინდივიდს შორის ინდივიდთა შორისმა დისტანციების ვიზუალიზაციამ უჩვენა, რომ მორფოლოგიური კვლევით იდენტიფიცირებული მსხლის ადგილობრივი ჯიშები *P. caucasica*-ს კლასტერში არიან გაბნეული (სქემა 9) მიღებული შედეგი უჩვენებს, რომ მსხლის ჯიშები ახლო ნათესაურ კავშირში არიან *P. caucasica*-სთან, როგორც ქართული ჯიშების და ევროპაში გავრცელებული ველური სახეობის *P. pyraster*-ის პირველად ველურ ნათესავ სახეობასთან.


ცხრილი 17. გენეტიკური სხვაობა მსხლის ჯიშებსა და *P. caucasica*-ს საქართველოში შეგროვილ ნიმუშებს შორის. ცხრილში მოცემულია ინდივიდთა რიცხვი (n), ალელების საშუალო რაოდენობა ლოკუსში, ეფექტური ჰეტეროზიგოტულობა (He), ალელთა მრავალფეროვნება, გენეტიკური სხვაობა (F_{ST}), და F_{ST} -ს დამაჯერებლობის ინტერვალები.

ტაქსონი	n	ალელების საშუალო/ლოკუსში	He	ალელთა მრავალფეროვნება (N=39 ინდ.)	F_{ST}	დამაჯერებლობის 95%-იანი ინტერვალი
მსხლის ჯიშები (GE)	9	6	0.696	6	0.002	-0.010 to 0.017
<i>P. caucasica</i> (GE)	71	15	0.727	6		

მსხლის ჯიშებს და *P. caucasica*-ს შორის გენეტიკური ნათესაობის შესწავლამ გამოავლინა, რომ გენეტიკური სხვაობა მათ შორის უმნიშვნელოა ($F_{ST} = 0.0002$, დამაჯერებლობის 95%-იანი ინტერვალით -0.010-დან 0.017-მდე; ცხრ. 17).

ბაიეზიანურ კანონზე დაფუძნებული სტრუქტურული ანალიზით 10 მორფოლოგიური ტაქსონი გაანალიზდა ჯგუფური ცვლადის სახით: 1) *P. caucasica*

Fed. 2) *P. balansae* Deciasne, 3) *P. nivalis* Jacq., 4) *P. salicifolia* Pall., 5) *P. syriaca* Boiss, 6) *P. pyrifolia* (Brum.) Nakai. 7) *P. pyrastrer* L, 8) *P. caucasica* -ს დომესტიკაციით მიღებული მსხლის ადგილობრივი ჯიშები, 9) *P. pyrastrer*-სა და *P. caucasica* -ს გან მიღებული მსხლის ჯიშებს შორის გარდამავალი (ჰიბრიდული) მორფოლოგიური ნიშნების მქონე მსხლის ადგილობრივი ჯიშები, 10) ევროპიდან შემოტანილი მსხლის ჯიშები. კლასტერული ანალიზით მიღებულმა აბსოლუტური ალბათობების გრაფიკულმა გამოსახვამ უჩვენა, რომ პოპულაციების შესაძლო რაოდენობა გაანალიზებულ მონაცემებში 7-ს არ აღემატებოდა (სქემა 10). მიუხედავად იმისა, რომ სქემაზე მოცემულ გრაფიკზე პირველი ექსპონენციალური ზრდა სიმულაციის დროს ფიქსირდება, როცა პოპულაციის (k) სავარაუდო რაოდენობა 4-ის ტოლია, შვიდი პოპულაციის არსებობა გაანალიზებულ მონაცემებში უფრო მაღალია, რადგან ეს მაჩვენებელი k -ს მნიშვნელობა 7-ზე ნახტომისებურად გაიზარდა.




სქემა 10. პოპულაციათა რაოდენობის ალბათობა. სქემაზე $Pr(K/X)$ -ს ლოგარითმულ სკალაში გადაყვანილი მაჩვენებლები დაკავშირებულია k -ს სიმულაციების წინასწარგანსაზღვრულ (1-დან 20-მდე) დიაპაზონთან და გრაფიკულად გამოსახავს k -ს ყველაზე შესაძლო მნიშვნელობას გაანალიზებულ მონაცემებში.

მორფოლოგიურად განსაზღვრული ტაქსონური ჯგუფების სტრუქტურულმა ანალიზმა (სქემა 11) უჩვენა, რომ *P. caucasica*-ს. (1), *P. balansae*-ს (2), და *P. caucasica* -ს


დომესტიკაციით მიღებული ჯიშებს (8) მსგავსი გენეტიკური სტრუქტურა აქვთ. სამივე ჯგუფში დომინირებს ყვითელი ფერი, ეს სტრუქტურული ფერი გვევლინება *P. balansae*-ს გენოფონდის რეალისტური საზღვრებად. როგორც სქემა 11-დან ჩანს, ეს სტრუქტურული ფერი *P. balansae*-ს (2) მორფოლოგიურად დადგენილ საზღვრებს ბევრად სცილდება და *P. caucasica*-ს (1) ტაქსონურ ჯგუფშიც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი, რომელიც სტრუქტურულად მწვანე ფერით არის გამოსახული სქემაზე. ველზე შეგროვებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ *P. caucasica*-დ მიჩნეული ინდივიდები, რომელშიც ყვითელი ფერი დომინირებს, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ რაჭის, სვანეთის და იმერეთის ტერიტორიებზეა შეგროვილი. დანარჩენი ორი სტრუქტურული ფერი - ვარდისფერი და წითელი, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან წარმოდგენილი *P. caucasica*-ს (1), *P. balansae*-ს (2) და 15 აბორიგენული მსხლის ჯიშის ინდივიდებში (8), ეკუთვნის *P. nivalis*-ს (3) და *P. pyraister*-ს (7), რაც ჰიბრიდიზაციის პროცესზე მიუთითებს ამ ტაქსონებს შორის. ევროპული მსხლების პროგენიტორი ველური სახეობა *P. pyraister*-ი (7) ევროპიდან შემოტანილ ჯიშებთან (10) გენეტიკური სტრუქტურით ძალზე ახლოს განლაგდა. ჰიბრიდული მორფოლოგიური ნიშნების მქონე მსხლის ადგილობრივი ჯიშები (9) თითქმის თანაბრად იზიარებენ ოთხი ველური პროგენიტორის: *P. caucasica*-ს (1), *P. balansae*-ს (2), *P. nivalis*-ის (3) და *P. pyraister*-ის (7) გენებს. აღმოსავლეთ აზიური მსხლების პროგენიტორ სახეობა *P. pyrifolia*-სთან (6) გენთა მიმოცვლის კვალი მცირედ ფიქსირდება კავკასიურ პანტებში (1,2) და მათგან მიღებულ ქართულ მსხლის ჯიშებში (8), ისევე როგორც *P. pyraister*-ის (7) ჯგუფში, თუმცა ეს მონაცემი ნაკლებად სარწმუნოა, რადგან ევროპული და აზიური ველური მსხლები დიდი ტერიტორიული ინტერვალით არიან ერთმანეთს დაცილებული, თუმცა ჰიბრიდიზაციის წყარო შესაძლოა გახდეს აზიიდან შემოტანილი კულტურული ჯიშები. *P. pyrifolia*-ს (6) გენები მართლაც გაცილებით დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ევროპულ ჯიშებში (10), ვიდრე მათ ველურ პროგენიტორებში. ველური ტაქსონების - *P. balansae* (2), *P. nivalis* (3), *P. syriaca* Boiss, 6) *P. pyrifolia* (6), და *P. pyraister* (7) ჯგუფებში მცირედ

ფიქსირდება *P. syriaca*-სთან (5) გენთა მიმოცვლის კვალი, რომელიც მსხლის რამოდენიმე შუაზიური ჯიშის არაპირდაპირ პროგენიტორ სახეობად ითვლება. ტირიფფოთოლა ბერყენას (*P. salicifolia*) ჯგუფი (4) მისი გენების საბაზისო სტრუქტურით გამიჯნულია ყველა სხვა ტაქსონისგან. ეს ჯგუფი არ გასცემს გენებს, თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით კავკასიურ პანტების (1,2) გენთა რეციპიენტს წარმოადგენს.



სქემა 11. გენოფონდის სტრუქტურული ანალიზის შედეგი. სქემაზე ძელაკებით გამოსახული კლასტერებით მოცემულია მორფოლოგიური ჯგუფების: *P. caucasica* (1); *P. balansae* (2); *P. nivalis* (3); *P. salicifolia* (4); *P. syriaca* (5); *P. pyrifolia* (6); *P. pyrastra* (7); *P. caucasica* -ს დომესტიკაციით მიღებული მსხლის ადგილობრივი ჯიშები (8); ჰიბრიდული მორფოლოგიური ნიშნების მქონე მსხლის ადგილობრივი ჯიშები (9) და ევროპიდან შემოტანილი მსხლის ჯიშები (10) გენეტიკური სტრუქტურის ურთიერთმსგავსება.

სტრუქტურული ანალიზის ძელისებური სვეტების სქემაზე (სქემა 11) მოცემული ფერები ასახავენ 7 სტრუქტურულ ჯგუფს, იმ პოპულაციების ყველაზე შესაძლო რაოდენობის (k -ს) რიცხვს, რომელიც კლასტერული ანალიზის შემაჯამებელი ნუსხიდან აღებული აბსოლუტური ალბათობების და k -ს სიმულა ციებისთვის წინასწარგანსაზღვრულ (1-დან 20-მდე) დიაპაზონის ანალიზით გამოვლინდა. გამოვლენილი ჯგუფების ურთიერთკავშირი და დისტანცია მოცემულია სქემა 12-ზე.



სქემა 12. მორფოლოგიურად ვალიდურ ტაქსონებში კლასტერული ანალიზით გამოვლენილი 7 სტრუქტურული ჯგუფის ურთიერთკავშირის ამსახველი დენდროგრამა.


სქემაზე ნაჩვენებ დენდროგრამაზე (სქემა 12) სხვადასხვა ფრად შეფერილი რიცხვების ფერების მიხედვით კავკასიურ პანტას (*P. caucasica*) შეესაბამება მე-2 სტრუქტურული ჯგუფი, *P. balansae*-ს მე-4 სტრუქტურული ჯგუფი; *P. pyraister* -ს ძირითადად 1-ლი ჯგუფი; *P. salicifolia*-ს მე-7 ჯგუფი. *P. nivalis*-ს მე-5; *P. syriaca*-ს მე-3, ხოლო *P. pyrifolia*-ს მე-6 ჯგუფი.

მორფოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით შექმნილი ტაქსონური ჯგუფების გენეტიკური სტრუქტურის კვლევა უჩვენებს, რომ გენეტიკური მონაცემებით გამოვლენილი პოპულაციები სტრუქტურულად არ ემთხვევიან მორფოლოგიურ ტაქსონურ ჯგუფებს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ მორფოლოგიურ ტაქსონში ფერების მიხედვით განსაზღვრული პოპულაცია დომინირებს, შესწავლილი ტაქსონების მორფოლოგიური და გენეტიკური საზღვრები ერთმანეთისგან განსხვავდება. შედეგი ნათლად მიუთითებს ჰიბრიდიზაციაზე, რომელიც არამხოლოდ კულტურულ მსხლებში, არამედ ველურ მსხლებშიც თვალსაჩინოდ არის გამოხატული.

საქართველოს ტერიტორიაზე ნიმუშებად აღებული 13 ველური მსხლის ტაქსონს (*P. caucasica*, *P. balansae*, *P. demetrii*, *P. salicifolia*, *P. salicifolia* var. *angustifolia*, *P.*

ketzkhoveli, *P. georgica*, *P. sachokiana*, *P. takhtadzhianii*, *P. oxyprion*, *P. fedorovii*, *P. syriaca*, Morpha Doubleflowered); NCGR-ს მონაცემთა ბაზებში მოპოვებულ კულტურული მსხლების 3 პროგენიტორ სახეობას [*P. pyraister*, *P. nivalis*, *P. pyrifolia*] და საქართველოში შეგროვილი მსხლის შემოტანილ (N=12) და ადგილობრივ (N=24) ჯიშების შორის ურთიერთკავშირი ასახულია დენდროგტამაზე (სქემა 13). მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა შექმნილია ჩამოთვლილი ტაქსონების 7 მიკროსატელიტური მარკერით (GD12, GD96, GD142, CH01D08, CH01D09, CH01F07A და CH02D12) შეფასების საფუძველზე.

სქემაზე გამოსახულ მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამაზე (სქემა 13) გაანალიზებული ტაქსონები 6 კლასტერში (A,B,C,D,E და F კლასტერებში) განაწილდა. კლასტერი A მოიცავს *P. pyraister*-ს და ევროპიდან შემოტანილ მსხლის ჯიშებს ('Winter Dechantsbirne', 'Winter Nelis', 'Bartlett', 'Beurré Bosque', 'Beurré d' Hardanpont', 'Beurré d'Anjou', 'Duchesse d'Angouleme',) აღსანიშნავია, რომ კლასტერს შიგნით ევროპიდან შემოტანილი ზამთრის, ანუ გვიანური ჯიშები 'Winter Dechantsbirne', და 'Winter Nelis' ერთად, ხოლო „ბერე“ ჯგუფის მსხლები - 'Bartlett', 'Beurré Bosque', 'Beurré d' Hardanpont', 'Beurré d'Anjou', 'Duchesse d'Angouleme' ცალკე, ერთმანეთთან ახლოს დაჯგუფდნენ, რაც ამ ჯგუფების ჯიშების ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებაზე მიუთითებს. ამ ჯგუფში მოხვდა ადგილობრივი ჯიშის სტატუსით მოპოვებული ჯიში 'თულუხაც'. ეს ჯიში მორფოლოგიური ანალიზის დროსაც ევროპულ მსხლის ჯიშებთან დაჯგუფდა. 'თულუხას' ევროპულ მსხლის ჯიშებთან და მათ პროგენიტორთან დაჯგუფების ორი სავარაუდო მიზეზი არსებობს: 1. 'თულუხა' მსხლის რომელიმე ევროპული ჯიშის ქართული სინონიმია; 2. ეს ჯიში ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში იქნა გამოყვანილი ევროპული ჯიშების ჰიბრიდიზაციის გზით. თუმცა ვერც ერთი დასკვნა ვერ მყარდება რაიმე წყაროთი.



სქემა 13. საქართველოში შერგოვილი და NCGR მონაცემთა ბაზებიდან აღებული ველური და კულტურული მსხლების ყველა ტაქსონის მეზობელ-შემაკავშირებელი დენდროგრამა. დენდროგრამაზე ტაქსონური ჯგუფების განლაგების მართებულობის სიზუსტე ასახულია ბუთსტრაფ მნიშვნელობებით, რომლებიც თითოეულ განშტოებაზე რიცხვებით არიან მოცემული.

კლასტერ B-ში გაერთიანდნენ კავკასიური პანტები - *P. caucasica*, *P. balansae*, და ქართული ადგილობრივი მსხლის ჯიშები : 'ბებანი', 'კვიჭიჭა', 'ხინოს მსხალი', 'პანტა მსხალი', 'ნენეს მსხალი', 'სამარიობო', და 'წვრილმსხალა' რომლებიც იგივე სუბკლასტერში მოექცნენ, სადაც პროგენიტორი სახეობები არიან მოთავსებული ეს ჯიშები მორფოლოგიურადაც *P. caucasica*-ს ნიშნების იდენტური ნიშნების მატარებლები არიან, რომლებიც მეხილეობის მონაცემებით პანტა მსხლების ჯგუფს განეკუთვნებიან. ამ სუბკლასტერის ჯიშები *P. caucasica*-ს პირდაპირი გზით გამორჩევით, ანუ დომესტიკაციით მიღებულ ჯიშებად შეიძლება ჩაითვალოს.

B კლასტერის მეორე სუბკლასტერში განთავსდნენ ჯიშები: 'მაჟარა', 'სასელო', 'თავრეჯული', 'მაქრე', 'ზორბალა', 'საელიობო', 'კაცისთავა' და 'თაფლა მსხალი'. ამ ჯიშების უმრავლესობა მეხილეობის მონაცემებით კალოს მსხლის ჯგუფს განეკუთვნება და ველური ნათესავებიდან *P. balansae*-ს იდენტური მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან.

C კლასტერი მოიცავს ევროპიდან შემოტანილ რამოდენიმე ჯიშს: 'Saint Germain', 'Kieffer pear', 'Fondante des Bois' და ადგილობრივ მსხლის ჯიშებს *P. caucasica*-სა და *P. pyraster*-ს შორის გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნებით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ C კლასტერში გაერთიანებული ჯიშების გენოფონდს *P. caucasica*-სა და *P. pyraster*-ის გარდა ნაწილობრივ *P. nivalis*-იც ქმნის, როგორც ეს გენოფონდის სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა. თუმცა ამ ჯიშებში არ არის გამოხატული აღნიშნული ველური პროგენიტორის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანი - ფოთლის ქეჩისებრი შებუსვა.

D კლასტერი ორ პროგენიტორ სახეობას *P. nivalis*-ს, *P. ketzkhovellii*-ს და ერთ ჯიშს - 'Gorham pear'-ს მოიცავს. ეს ჯიში აზიაში, ევროპაში და ამერიკაშიც არის

გავრცელებული. ქართულად ამ ჯიშს: 'გორძამად' ან 'ბერყენა მსხლად' მოიხსენიებენ. მორფოლოგიური კვლევის დროს 'გორძამა' *P. ketzkhovelii*-სთან დაჯგუფდა, თუმცა ეს სახეობა არ არის ცნობილი როგორც მსხლის ჯიშების პირველი ჯგუფის ველური ნათესავი. გენეტიკურ ანალიზში *P. nivalis*-ის გენეტიკური მონაცემების ჩართვამ გამოავლინა მისი ნათესაური კავშირები კეცხოველის ბერყენასთან და 'გორძამა მსხალთან', რომლებიც *P. nivalis*-ის მორფოლოგიურ ნიშნებს იზიარებენ.

E კლასტერში სამ სუბკლასტერად გაერთიანდნენ საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვილი ბერყენები: *P. demetrii*, *P. salicifolia*, *P. salicifolia* var. *angustifolia*, *P. georgica*, *P. sachokiana*, *P. takhtadzhianii*, *P. oxyprion*, *P. fedorovii*, *P. syriaca*, *Morpha* *Dubleflowered*. ამ ჯგუფის ველურ მსხლეზე ჯიშებთან კავშირის თვალსაზრისით შესაძლოა ითქვას, რომ მათი გენები არ მონაწილეობენ მსხლის კულტურული ჯიშების გენოფონდში. თუმცა, მიუხედავად დენდროგრამაზე გამიჯნული პოზიციისა დიდი ალბათობით ეს სახეობებიც ჰიბრიდიზაციის პროცესის მონაწილეები არიან, როგორც *P. caucasica*-ს გენების რეციპიენტები. ბერყენების ფილოგენიის და ტაქსონომიის საკითხების დეტალური გარკვევა საჭიროებს დამატებით მოლეკულურ კვლევებს.

F კლასტერში გაერთიანდნენ *P. pyrifolia* და მსხლის აღმოსავლეთ აზიური ჯიში 'მიკადო', იგივე 'ქვიშის მსხალი', რომელსაც *P. pyrifolia*-ს იდენტური მორფოლოგიური ნიშნები აქვს. სხვა კლასტერებისგან F კლასტერი დიდი დისტანციით არის გამიჯნული და მის პოზიციას დენდროგრამაზე მაღალი ბუთსტრაფული მხარდაჭერა (95%) აქვს. ეს შედეგი ლოგიკურია რადგან ტაქსონომიურად ეს სახეობა მსხლის გვარის განსხვავებულ სექციაში - *Pashia* (Koehne)-შია განთავსებული.


5.3. ნაპრალების-ანალიზის შედეგები

კავკასიური პანტის (*P. caucasica*) გავრცელების შესწავლით დადგინდა, რომ მისი ბუნებრივი არეალი კავკასიის ეკორეგიონს არ სცდება. ლიტერატურული

წყაროების, ჩვენს მიერ განხორციელებული სავსე კვლევების დროს შეგროვილი მონაცემების და ბოტანიკის ინსტიტუტის (TBI) საჭერბარო ნიმუშების კვლევით ჯამურად ველური პანტების (*P. caucasica*, *P. balansae*) 215 გავრცელების წერტილი იქნა გაანალიზებული კავკასიის ეკორეგიონში (ფართობი - 580000 კმ²). შედეგად დადგინდა: პანტების გავრცელების ვერტიკალური საზღვრები კავკასიის ეკორეგიონის დასავლეთ ნაწილში (დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილში - კრასნოდარის აღმოსავლეთის მხარე; დასავლეთ საქართველო; ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამხრეთის მხარე; ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთის მხარე) ზღვის დონიდან 85-2200-მდე მერყეობს; სამხრეთ ნაწილში (მცირე კავკასიონზე - თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე; სომხეთის ჩრდილოეთის მხარე; სამხრეთ საქართველო) - ზღვის დონიდან 560-2000 მეტრის დიაპაზონში; აღმოსავლეთ ნაწილში (დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში - აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მხარე; ჩრდ. ოსეთის, ინგუშეთის და ჩეჩნეთის სამხრეთის მხარეები; აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის მხარე) ზღვის დონიდან 142-1930 მეტრის დიაპაზონში. *P. caucasica*-ს ჰაბიტატი ტერიტორიულად ემთხვევა მცირე და დიდი კავკასიონის მუხნარების, წიფლნარების, რცხილნარების სხვადასხვა ფორმაციის ტყეებს და შერეული ტიპის ტყეებს. იშვიათად გვხვდება წიწვოვანი ტყეების პერიფერიულ ნაწილებში. იგი ასევე იშვიათად, ერთეულების სახით არის გავრცელებული ჭარბტენიან ტყეებში. *P. caucasica*-ს არეალი არ მოიცავს ზღვის პირა ქვიშნარ ჰაბიტატებს, ჭაობიან ტყეებს, არიდულ ნათელ ტყეებს, სემიარიდულ და არიდულ მცენარეულ თანასაზოგადოებებს. მაღალ მთაში ეს სახეობა მხოლოდ სუბალპური ტყეების ქვედა ვერტიკალურ საზღვრებთან ახლოს ვრცელდება და ძირითადად ასეთი ტყის პერიფერიებს იკავებს.

გავრცელების ბუნებრივი საზღვრების დასადგენად აიგო პანტების გავრცელების (*P. caucasica*, *P. balansae*) სქემატური გამოსახულება რუკაზე (სქემა 14) სახეობის პოვნის წერტილების მიხედვით. ამ სქემების მიზანია უჩვენოს განსხვავება *P. caucasica*-ს (სქემა 14, A) და *P. balansae*-ს (სქემა 14, B) არეალებს შორის, რომლებიც

რუკაზე პოლიგონებით არიან შემოსაზღვრული. არეალი ნაჩვენებია *P. caucasica*-ს (N=150), *P. balansae*-ს (N=65) პოვნის 215 წერტილის მიხედვით და არ მოცავს არ ყოფნის მონაცემებს.



სქემა 14. პანტების არეალი. (A, ○) *P. caucasica*-ს არეალი (B, ✚) *P. balansae*-ს არეალი. ბადის დანაყოფების რეზოლუცია 10x10 კმ². სქემაზე ჯიშები მოცემულია - ● აღნიშვნით.

ჩვენი მონაცემების მიხედვით, *P. caucasica* გავრცელებულია მხოლოდ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებზე. ჯიშების ნიმუშების აღების წერტილების მიხედვით (სქემა 14; A,B) ჩანს, რომ საქართველოში მათი გავრცელება *P. caucasica*-ს არეალს თითქმის მთლიანად ემთხვევა.

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში *P. caucasica*-ს კონსერვაციული პრიორიტეტულობის შესაფასებლად მისი გავრცელების სიხშირე დაითვალა 10x10 კმ²-იანი დანაყოფების მიხედვით, რომელშიც ამ სახეობის არეალი ხვდება. არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად მაღალია ამ სახეობის დაცულობის

ხარისხი, ან რამდენად დიდია მისთვის გადაშენების საფრთხე დაცული ტერიტორიების მიღმა. ამის გამო ნაპრალების-ანალიზის შეფასების სისტემაში *P. caucasica*-სთვის არსებული ენდემურობის და იშვიათობის კრიტერიუმები მისი გავრცელების მაქსიმალური ტერიტორიის შესაბამისი ქულით შეფასდა. კვადრატები, რომელშიც *P. caucasica* და ჯიშები ერთად დაჯგუფდნენ, სათვალავში არ იქნა მიღებული (ცხრ. 18).

მორფოლოგიურ და გენეტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით *P. caucasica* კულტურული მცენარეების ველური ნათესავების გენოფონდის და ტაქსონის 1b ჯგუფში ხვდება, რადგან იგი ადგილობრივი მსხლის ჯიშების პირდაპირი ხაზის პროგენიტორია. ამ სტატუსს შეფასების სისტემით ყველაზე მაღალი ქულა (10) შეესაბამება. ეს მონაცემი თეორიულად ნიშნავს იმას, რომ პანტის, როგორც ველური სახეობის სამეურნეო დანიშნულება დიდია, რაც მომავალში მისი გადაშენების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს თუ არ შემუშავდა ბუნებაში მისი აღდგენის გეგმა.

მსხლის მორფოლოგიური ტაქსონების გენოფონდის კლასტერული ანალიზის (სქემა 12, 13; თავი 5.2) მიხედვით *P. caucasica*-ს ჰიბრიდული ფორმებიც მოხვდა ამ სახეობისთვის მორფოლოგიურად განსაზღვრულ ტაქსონურ ჯგუფში. მიღებული შედეგების გადამოწმებით დადგინდა, რომ *P. caucasica*-ს ველზე შეგროვებული ნიმუშებიდან ჰიბრიდული გენოფონდის მატარებლები იყვნენ ის ინდივიდები, რომელთა შეგროვებაც ანთროპოგენული ზონის მახლობლად განლაგებულ ტყეებში მოხდა. ეს გარემოება *P. caucasica*-ს ინდივიდების პოვნის ალბათობას ძლიერ ამცირებს ანთროპოგენულ ზონებში, რადგან ამ სახეობის ინდივიდები და ბუნებრივი ჰიბრიდები ხშირ შემთხვევაში მორფოლოგიურად ერთმანეთის იდენტურები არიან.

ცხრილი 18. ნაპრალების-ანალიზით *P. caucasica*-ს შეფასების შედეგები.

პუნქტები	სტატუსი	ქულა
საფრთხე (IUCN)	არ არის შეფასებული (NE)	1
იშვიათობა	წარმოდგენილია 6-20 კვადრატში (10 კმ² x 10 კმ²)	4
ენდემურობა	მხოლოდ კავკასიაში	5

GP1+2	გენოფონდი 1b / ტაქსონური ჯგუფი 1b	10
ჯამი		20

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ნაპრალების-ანალიზით შეფასების სისტემით საქართველოს ტერიტორიაზე *P. caucasica*-ს 20 ქულა მიენიჭა, რაც მიუთითებს ამ სახეობის მაღალ კონსერვაციულ პრიორიტეტულობაზე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს შიგნით. რაც შეეხება *P. caucasica*-სთვის მისადაგებულ საფრთხის (IUCN) კატეგორიას, თანამედროვე წარმოდგენით (Hunter & Heywood, 2011) იგი კავკასიაში დაბალი რანგისაა და შესაბამებელია კატეგორია - საფრთხის წინაშე ნაკლებად მყოფი (LC). ჩვენ ვთვლით, რომ *P. caucasica*-სთვის საფრთხე რეალისტურად არ არის შეფასებული კავკასიის რეგიონში და მისი სტატუსი კატეგორიზებული უნდა იყოს როგორც 'NE' - არ არის შეფასებული.

თავი 6. განხილვა

სადოქტორო თეზისში წარმოდგენილმა კვლევებმა მსხლის პროგენიტორი სახეობები დააკავშირა საქართველოს ადგილობრივ და შემოტანილ ჯიშებს. მათი ნათესაური კავშირი დაზუსტდა მორფოლოგიური და გენეტიკური კვლევით და განისაზღვრა *P. caucasica*-ს პოპულაციური სტრუქტურა საქართველოში, რაც კვლევით მიღებულ მთავარ სამეცნიერო სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს.

მორფოლოგიური კვლევა განხორციელდა ველური და კულტურული მსხლების ტაქსონების 27 დესკრიპტორული მორფოლოგიური ნიშნის (Thibault et al., 1983; UPOV, 2000) მორფომეტრიული ანალიზის საფუძველზე. სამიზნე ტაქსონურ ჯგუფებს შორის ნათესაური კავშირების გენეტიკური კვლევა კი განხორციელდა 11 მიკროსატელიტური მარკერით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ველური სახეობებს და კულტურული ჯიშებს შორის ნათესაური კავშირების კვლევაში. მიკროსატელიტური მარკერები მაღალი სიზუსტით ავლენს ამ ნათესაურ კავშირებს თავისი თვისებების - რეპროდუქციულობის, კო-დომინანტურობის,

პოლიმორფიზმის და გადაცემის უნარის გამო (Volk et al., 2006; Yamamoto et al., 2002). გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ ჩატარებული კვლევის რელევანტობას.

1) თეზისი აგებულია მონაცემებზე, რომლებიც სტატისტიკური თვალსაზრისით სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს როდესაც მსჯელობა ეხება ბერყენების სახეობების ან მორფო-გენეტიკურ ანალიზში ჩართული თითოეული ჯიშის იდენტობას. ბერყენას სახეობები და მსხლის სხვადასხვა ჯიშები ნაშრომში აღქმული უნდა იქნენ როგორც ჯგუფური ცვლადები შემდეგი გრადაციით: ბერყენა მსხლების ჯგუფი, ადგილობრივი მსხლის ჯიშების ჯგუფი, გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნების მქონე ადგილობრივი მსხლის ჯიშების ჯგუფი და შემოტანილი მსხლის ჯიშების ჯგუფი. მორფოლოგიური კვლევის სტატისტიკურ ანალიზში ბერყენები ცალკეული სახეობების ჯგუფებად არიან წარმოდგენილი მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდების რიცხვი თითოეული სახეობის ჯგუფში უმეტეს წილად 10-ზე მცირეა ან ამ რიცხვს დიდად არ აღემატება. გენეტიკური კვლევის სტატისტიკურ ანალიზში ბერყენას სახეობები და მსხლის ჯიშებიც, რომლებიც შესადარებელი ჯგუფის შექმნისთვის იქნა გამოყენებული პანტებთან, მხოლოდ ჯგუფური ცვლადების სახით არიან წარმოდგენილი და ამ მხრივა ხარვეზი გამოსწორებულია. საანალიზო ობიექტების განხილვა ჯგუფურ ცვლადების სახით საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა კულტურული მცენარეების ველური ნათესავების, კულტურული ჯიშების გენოფონდის, ან თუნდაც ამ ჯგუფის მცენარეების გარემო ფაქტორებით გამოწვეული მორფო-გენეტიკური ცვალებადობის შესწავლის დროს. მოცემული ნაშრომის კვლევის დიზაინი და შედეგები თანხვედრაშია მსგავს კვლევების (Volk et al., 2007; Wolko et al., 2010) დიზაინთან და შედეგებთან, რომლებშიც წარმოდგენილია მსხლის ველური ნათესავების და ჯიშების ურთიერთშედარებითი კვლევები. თეზისში განხილული მორფოლოგიური ნიშნით შექმნილი საკვლევი ჯგუფები ეფუძნება მორფომეტრიული კვლევის შედეგებს, ამიტომ შესაძლოა უხერხულობას ქმნიდეს ზოგ შემთხვევაში ამ ტერმინის ხმარება მორფოლოგიური კვლევის შედეგების განხილვამდე. ასეთი ფორმულირება არასწორი მაინც არ არის, რადგან ჯგუფების განსაზღვრა ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით მოხდა მორფომეტრიული კვლევის ჩატარებამდე. მორფომეტრიულმა კვლევამ გამოავლინა მსხლის ადგილობრივი ჯიშების ახალი ჯგუფი

გარდამავალი მორფოლოგიური ნიშნებით *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ს შორის. „საქართველოს ხილის“ და „საქართველოს მეხილეობის“ დოკუმენტაციით პომოლოგიური ნიშნებით ამ ჯიშების ნაყფის რბილობი სიმწიფის დროს არ შავდება, ანუ განსხვავებულ ჯგუფს წარმოადგენს აბორიგენული პანტა მსხლებისგან, რომლებსაც ეს პომოლოგიური ნიშანი საპირისპირო აქვს. ამგვარად, მორფომეტრიული კვლევის შედეგი არის ნათესაური კავშირის დადგენა მსხლის ველურ ნათესავებს და ჯიშებს შორის და არა ჯიშების ჯგუფებად კლასიფიკაცია.

2) მორფოლოგიური და გენეტიკური კვლევით დადგინდა, რომ საქართველოში გავრცელებული პანტა ერთგვაროვანი არ არის. მორფოლოგიური კვლევის დროს საქართველოს ფარგლებში დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში შეგროვილი პანტის ნიმუშები მორფოლოგიურად გაიმიჯნა მცირე კავკასიონზე შეგროვილი პანტებისაგან. ანალიზის შედეგებით მცირე კავკასიონზე გავრცელებული პანტის პოპულაციამ მორფოლოგიურად გარდამავალი პოზიცია დაიკავა კავკასიის ენდემურ მსხლის სახეობას (*P. caucasica*) და ევროპაში გავრცელებულ ველურ მსხალს (*P. pyraeaster*) შორის, რომლებიც ახლომონათესავე სახეობებად ითვლებიან. ლიტერატურული და საჰერბარიო მონაცემების კვლევით დადგინდა, რომ პანტის მცირე კავკასიონზე გავრცელებული პოპულაცია მსხლის გვარის კვლევის ადრეულ პერიოდში ფრანგი ბოტანიკოსის ჟოზეფ დეკანეს (J. Decaisne) მიერ 1872-74 წლებში იყო აღმოჩენილი როგორც ახალი სახეობა-*Pyrus balansae* Decaisne. ეს სახეობა შ. ქუთათელაძის (1947) მიერ დადგენილი იქნა საქართველოს ფლორისათვის, თუმცა მის ნაშრომში არ არის ამ სახეობის ზუსტი მორფოლოგიური აღწერილობა და გავრცელების დეტალები მოცემული. მცირე კავკასიონის პანტები გავრცელების მხრივაც შუალედურ ადგილს იკავებენ ამ ორ სახეობას შორის. *P. pyraeaster*-ის გავრცელების საზღვარი თურქეთის სამხრეთ ნაწილს აღწევს, ხოლო *P. caucasica*-ს გავრცელება დიდი და მცირე კავკასიონის მთათა სისტემებით არის შემოსაზღვრული. *P. balansae*-ს ნიმუშები შეგროვდა მცირე კავკასიონზე, თურქეთის საზღვის მახლობლად. ლიტერატურული ცნობებით (Гроссгейм, 1952; Davis, 1972)

დადგინდა, რომ ეს სახეობა აფხაზეთში, თურქეთის და ხმელთაშიაზღვეთის სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება.

გენეტიკური კვლევით საქართველოში შეგროვილ კავკასიურ პანტას (*P. caucasica*) და ბალანზეს პანტას (*P. balansae*) შორის სხვაობა სარწმუნოდ ვერ განიხილება ბალანზეს პანტას ნიმუშების სიმცირის გამო, თუმცა ამ სახეობებს შორის სხვაობა ვლინდება საქართველოში შეგროვილი *P. caucasica*-ს ნიმუშების გენეტიკური მონაცემების შედარებით NPGS-ბაზაში *P. caucasica*-ს სახელით შესულ ნიმუშებთან, რომლებიც *P. balansae*-ს სავარაუდო გავრცელების ტერიტორიებზე იყო შეგროვილი. ანალიზის დროს საქართველოში შეგროვილი ბალანზეს პანტის ნიმუშები NPGS - ს ბაზიდან აღებულ *P. balansae*-ს ნიმუშებთან დაჯგუფდნენ და მცირედ გაემიჯნენ საქართველოში შეგროვილ *P. caucasica*-ს ნიმუშებს. მიკროსატელიტურ მონაცემთა საერთო ანალიზით დადგინდა, რომ *P. balansae* ნათესაურად უფრო ახლო კავშირში იმყოფება *P. caucasica*-სთან, ვიდრე *P. pyraister*-თან, თუმცა მას მორფოლოგიური ნიშნებით უფრო მეტად უახლოვდება ვიდრე კავკასიურ პანტას.

ო. კუბლაშვილს (კუბლაშვილი და სხვ., 1980) ნაშრომში განხილული აქვს კავკასიური პანტის (*P. caucasica*) რამოდენიმე მორფოლოგიური ტიპი ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე, რომლებიც კატეგორიზებულია ნაყოფის და ფოთლის ყუნწის სიგრძის, ნაყოფის ფორმის და ფოთლის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. სადოქტორო თემის ფარგლებში განხორციელებული კვლევით ასეთი მორფოტიპები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა, თუმცა დისპერსიული ანალიზით (სქემა 6) ეს მორფოტიპები ცალკე ჯგუფად არ დაჯგუფდნენ, რაც ნიშნავს, რომ განხილული მორფოლოგიური ნიშნების მრავალფეროვნებას და ზომებს რაიმე ტერიტორიული კონცენტრირება არ ახასიათებს და თანაბრად ცვალებადობს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პანტების (*P. caucasica*, *P. balansae*) პოპულაციებში. *P. caucasica*-ს შიდაპოპულაციური დანაწევრება გენეტიკური მონაცემებითაც არ მყარდება, პირიქით, აღმოჩნდა რომ, საქართველოში არსებული *P. caucasica*-ს პოპულაცია უფრო დაბალი ჰეტეროზიგოტულობით ხასიათდება, ვიდრე

იგივე სახეობის NPGS კოლექციის ნიმუშები, რომლებიც კავკასიის ეკორეგიონის მეზობლად ან დაშორებულ ქვეყნებშია ნიმუშებად აღებული (ცხრ. 16).

3) 11 მიკროსატელიტურ მარკერით ჩატარებული გენეტიკური კვლევის შედეგები დაემთხვა მორფოლოგიური კვლევით მიღებულ შედეგებს. ორივე ტიპის კვლევამ უჩვენა, რომ: 1) მსხლის ქართული ადგილობრივი ჯიშები (სქემა 7, თავი 5.1.; სქემა 13; თავი 5.2.), რომლებსაც *P. caucasica*-ს მსგავსი მორფოლოგიური ნიშნები აქვთ, გენეტიკურადაც ახლო ნათესაურ კავშირში არიან *P. caucasica*-სთან; 2) გარდამავალი, ანუ ჰიბრიდული მორფოლოგიური ნიშნების მქონე მსხლის ქართული ჯიშები გენეტიკურად ორი ძირითადი პროგენიტორის *P. caucasica*-ს და *P. pyramidalis*-ის გენოფონდს იზიარებენ; 3) მსხლის ევროპული ჯიშები, რომლებსაც მსხლის ჯიშების ევროპაში გავრცელებული ველური ნათესავის (*P. pyramidalis*) მსგავსი მორფოლოგიური ნიშნები აქვთ, გენეტიკურადაც ამ სახეობასთან ახლო ნათესავეები არიან.

7 მიკროსატელიტური მარკერით განხორციელებულმა მოლეკულურმა ანალიზმა თვალსაჩინოდ განაცალკევა (სქემა 13; თავი 5.2.) *P. caucasica*-ს და *P. balansaes*-ს დომესტიკაციის გზით მიღებული მსხლის ჯიშები საქართველოში გავრცელებული სხვა მსხლის ჯიშებისაგან და საერთო ჯამში საქართველოს ტერიტორიაზე გამოავლინა მსხლის ჯიშების 5 ჯგუფი: 1) მსხლის ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც მეხილეობის მონაცემებით (ხომიზურაშვილი, 1973) აბორიგენული ჯიშების სახელითაც არიან ცნობილი, მიღებული გენეტიკურად ახლო ნათესავი კავკასიური პანტების (*P. caucasica*-ს, *P. balansaes*-ს) დომესტიკაციის გზით; 2) ადგილობრივი მსხლის ჯიშები, რომლებიც რამოდენიმე პროგენიტორი სახეობის (*P. caucasica*, *P. balansaes*, *P. pyramidalis*, *P. nivalis*) გენოფონდს იზიარებენ და მორფოლოგიურადაც ძალზე მრავალფეროვნები არიან; 3) ევროპიდან შემოტანილი ჯიშები 'Gorham pear', რომლის პირდაპირი ხაზის პროგენიტორიც არის აზიაში და ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული ველური მსხლის სახეობა *P. nivalis*. მორფოლოგიურ კვლევაში მსხლის ეს ჯიშები საქართველოსთვის ენდემურ სახეობასთან

P. ketzkhovelii-სთან დაჯგუფდა, გენეტიკური მონაცემებით *P. nivalis*-სა და *P. ketzkhovelii*-ს შორის ახლო ნათესაური კავშირი გამოვლინდა, რაც საინტერესო ფაქტია, რადგან *P. ketzkhovelii* კულტურული მსხლების პროგენიტორ სახეობად არ არის ცნობილი; 4) ევროპიდან შემოტანილი მსხლის ჯიშები, რომლებიც ძირითადად *P. pyrae*-ის გენოფონდს იზიარებენ და 5) აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებული ე.წ. 'ქვიშის მსხლის' ჯიში ('მიკადო'), რომელიც ამავე ტერიტორიაზე გავრცელებული მსხლის მონოფილეტური სახეობის - *P. pyrifolia*-ს დომესტიკაციით არის მიღებული.

4) კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ *P. caucasica*-ს ნიმუშები, რომლებიც საქართველოშია შეგროვებული ჰეტეროზიგოტულობის დაბალი მაჩვენებლით განსხვავდება NPGS კოლექციიდან მოპოვებული *P. caucasica*-ს ნიმუშებისგან, რომელიც მოპოვებულია ირანში, მაკედონიაში, მოლდოვაში, პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთში, სერბეთში და უკრაინაში (ცხრ. 7). ლიტერატურული მონაცემების მიხედვით (Федоров, 1947; ქუთათელაძე, 1980), პანტა (*P. caucasica*) კავკასიის ენდემური სახეობაა. მისი კავკასიის რეგიონის ფარგლებს გარეთ (Volk et al., 2006; Yamamoto and Chevreau, 2009) მოხვედრის მიზეზი არის საბჭოთა კავშირის პერიოდში *P. caucasica*-ს ველური ფორმების გავრცელება სხვა ქვეყანაში. იგი ევროპის და აზიის ქვეყნის ბოტანიკურ ბაღებში და ტყე-პარკებში საკოლექციო მიზნებით ირგვებოდა (Брежнев & Коровина, 1981). *P. caucasica*-ს ინდივიდები საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ევროპულ ქვეყნებში სამირების სახითაც გაჰქონდათ. მათი გამოყენება ახალი ჯიშების და ნამყენების გამოსაყვანად ხდებოდა, ასევე ირგვებოდნენ ქარსაცავ ზოლებშიც (Смирнов, 1966; Соколов и др., 1980; Лихонос и др., 1983). ჩვენს მიერ ჩატარებული გენეტიკური კვლევის შედეგად შეიქმნა მყარი არგუმენტები საქართველოს მსხლის ჯიშების და მათი ლოკალურად გავრცელებული პროგენიტორი პანტების (*P. caucasica*, *P. balansae*) მრავალფეროვნების ავტონომიურობაზე.

5) ცნობილია, რომ მსხლის ყველა სახეობა, განსაკუთრებით კი გვარ *Pyrus*-ის სექცია *Pyrus*-ის წარმომადგენელი სახეობები გენეტიკურად ურთიერთშეთავსებადები არიან (Westwood and Bjornstad, 1971; Browicz, 1993) და არ არსებობს მათ შორის ჰიბრიდიზაციის შემაკავებელი ბარიერი. ეს ტენდენცია ჩვენს მიერ გაანალიზებული მონაცემებითაც ნათლად გამოვლინდა. მიღებულმა შედეგები ადასტურებს, რომ ჰიბრიდიზაცია არა მხოლოდ მსხლის ჯიშებში, არამედ ველურ მსხლებშიც ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, რაც თანხმობაში მოდის კ. ბროვიჩის (Browicz, 1993) მსხლის სახეობების ჰიბრიდულობის თეორიასთან. მიუხედავად იმისა, რომ კლასტერული ჯგუფები მკაფიოდ გაიმიჯნენ ველური ნათესავების მიხედვით, მორფოლოგიური და გენეტიკური ანალიზის დროს მსხლის ევროპიდან შემოტანილი რამოდენიმე ჯიშში (სქემა 9, თავი 5.2.) ქართულ ჯიშებთან, ხოლო ადგილობრივი ჯიშები ეროპული ჯიშების ჯგუფებში გადანაწილდნენ. გენეტიკურმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ნიმუშად აღებული ზოგიერთი ინდივიდი, რომელიც მონაცემთა ბაზაში ველური სახეობების სტატუსით მოხვდნენ (*P. demetrii*, *P. ketzkhovellii*, *P. syriaca*, *P. sachokiana*;) ბერყენების და პანტის ჰიბრიდები აღმოჩნდნენ. სახეობათა შორის გენეტიკური დისტანციების დადგენის დროს (სქემა 8, თავი 5.2.) ეს ინდივიდები *P. caucasica*-ს კლასტერში გაერთიანდნენ. ტენდენცია შედარებით ნათლად გამოვლინდა მორფოლოგიური მახასიათებლებით განსაზღვრული ტაქსონური ჯგუფების გენეტიკური სტრუქტურის, ანუ გენოფონდის გაანალიზების შედეგად (სქემა 11, 12; თავი 5.2.). კვლევამ უჩვენა, რომ მონაცემების ანალიზით გამოვლენილი 7 პოპულაცია სტრუქტურულად არ ემთხვევა მორფოლოგიურად განსაზღვრულ ტაქსონურ ჯგუფებს.

6) ისტორიული ცნობებით (ჯავახიშვილი, 1986) საქართველომ მსხლის ჯიშების მიმოცვლა მეზობელ ქვეყნებთან მრავალი საუკუნის წინ დაიწყო. საქართველოში პანტის დომესტიკაცია უძველესი დროიდან ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ (Asanidze & Akhikatsi, 2011). პანტის პირდაპირი გზით დომესტიკაციასთან

ერთად მსხლის ველურ ნათესავებს შორის გენთა ბუნებრივი მიმოცვლის პროცესის არსებობის და მსხლის შემოტანილი ჯიშების უძველესი დროიდან დაწყების მიუხედავად ჩვენ კვლევაში პანტის ჯიშები და ჰიბრიდული მორფოლოგიური ნიშნების მქონე მსხლის ქართული ჯიშებიც *P. caucasica*-ის ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შედეგი დამაჯერებელია, რადგან სხვა, მეთოდურად ჩვენი კვლევების მსგავსი კვლევებით დადგინდა, რომ ევროპაში გავრცელებულ ველურ პროგენიტორი სახეობებიც მსგავს ახლო ნათესაურ კავშირში არიან მსხლის ევროპულ ჯიშებთან (Voltas et al., 2007; Wolko et al., 2010). ამ ორი სახეობის გენთა დომინირება მსხლის ევროპულ ჯიშებში არის წარმოდგენის საფუძველი, რომლის მიხედვითაც *P. caucasica* და *P. pyraister* განიხილებიან ამ ჯიშების პროგენიტორებად, ანუ გენეტიკურად ყველაზე ახლოს მდგომ ნათესავებად.

მორფოლოგიური და გენეტიკური კვლევებით დაზუსტდა მსხლის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნების და წარმოშობის რამოდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი. ლიტერატურულ წყაროებში (ხომიზურაშვილი და ერისთავი, 1931, 1941; შარაშენიძე, 1956, 1967; ახვლედიანი, 1956, 1958; წიქვაძე და ისაკაძე, 1969; ხომიზურაშვილი, 1973 (I, II); ქუთათელაძე, 1947, 1980; მესხიძე და სხვ., 2015) მითითებულია მსხლის სხვადასხვა ქართული ჯიშის წარმოშობის ადგილი. ამ წყაროებით დგინდება, რომ კალოს მსხლის ჯგუფის ჯიშების უმეტესობა მესხეთის და აჭარის ტერიტორიაზე წარმოიშვა, თუმცა არ არსებობს ამის დამადასტურებელი ზუსტი დოკუმენტური მასალა ან ისტორიული ცნობა, რადგან ეს ჯიშები მრავალი საუკუნეა უკვე, რაც არსებობენ. ნაშრომში წარმოდგენილი მორფოლოგიური და გენეტიკური კვლევის შედეგები ამყარებს წარმოდგენას კალოს მსხლების აჭარის და მესხეთის ტერიტორიაზე წარმოშობაზე. მათი მიხედვით დგინდება, რომ აჭარაში და მესხეთში პანტის სხვა სახეობა - ბალანზეს პანტა (*P. balansae*) არის გავრცელებული, რომელიც კავკასიური პანტისგან (*P. caucasica*) მცირედ არის გამიჯნული მორფო-გენეტიკური მახასიათებლებით. მორფოლოგიურმა კვლევამ უჩვენა, რომ მორფოლოგიური ნიშნებით კალოს მსხლები უფრო მეტად ენათესავებიან *P. balansae*-

ს ვიდრე *P. caucasica*-ს (სქემა 7), რაც ნათელს ხდის კალოს მსხლების აჭარის და მესხეთის ტერიტორიაზე წარმოშობის მიზეზს - აქ მათი პროგენიტორი სახეობაა გავრცელებული, საიდანაც მათი დომესტიკაცია მოხდა. პანტა მსხლების წარმოშობის კერა სავარაუდოდ მოიცავს შიდაქართლის მცხეთა-მთიანეთის და კახეთის დასავლეთ ნაწილის მთისწინეთს და მთის ზედა სარტყელს სადაც მათი ველური ნათესავი - კავკასიური პანტა (*P. caucasica*) არის გავრცელებული. გულაბი მსხლების და ხეჭეჭური მსხლების ჯიშების წარმოშობა კი უნდა მომხდარიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე-დაბლობებზე, სადაც საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მსხლის ჯიშები სწრაფად ვრცელდებოდა, რადგან მათი გენოფონდი ერთდროულად რამოდენიმე ველური ნათესავის, მათ შორის ევროპაში გავრცელებული ტყის მსხლის (*P. pyraeaster*) გენებით არის შექმნილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივად არ გვხვდება. *P. pyraeaster*-ის გენები საქართველოში მისი ჯიშების შემოტანით გავრცელდა და გულაბი მსხლების და ხეჭეჭური მსხლების ჯიშთა გენოფონდის ერთ-ერთი წყარო გახდა.

7) კეცხოველის ბერყენა (*P. ketzkhovelii*) შ. ქუთათელაძის (1946) მიერ იქნა აღმოჩენილი, როგორც საქართველოსთვის ენდემური სახეობა. ეს სახეობა სემ-ქსეროფიტი ბერყენების ჯგუფს განეკუთვნება და განთავსებულია გვარ *Pyrus*-ის სექცია *Pyrusis*-ის სუბსექცია *Xeropyrenaia*-ში სახეობებთან: *P. syriaca*, *P. demetrii*, *P. eldarica*, *P. fedorovii*, and *P. oxyprion*-თან ერთად. მიუხედავად ფოთლის ქეჩისებრი შებუსვისა, რაც *Xeropyrenaia*-ს სუბსექციის სახეობების საერთო დამახასიათებელი ნიშანია, იგი ფოთლის ოვალური კვერცხისებრი ფორმით და საკვებად ვარგისი, თუმცა ძალზე მცირე ზომის, ბერყენას ნაყოფისებრი ნაყოფებით უახლოვდება *P. caucasica*-ს, რომელიც გვარის იგივე სექციის სუბსექციაში *Euachras* (= sub.sect *Pyrus*) არის განთავსებული. ეს ორი სუბსექცია მორფოლოგიური სხვაობის გარდა განსხვავებულია იმითაც, რომ *Xeropyrenaia*-ს სახეობები ნახევრად მშრალ (სემი-ქსეროფილურ) გარემოში არიან გავრცელებული, ხოლო *Euachras*-ის სახეობები -

ზომიერად ტენიან (მეზოფილურ) გარემოში. გენეტიკური კვლევის შედეგების მიხედვით ეს სახეობა გვარ *Pyrus*-ის სექცია *Pyrus*-ის სუბსექცია *Argyromalon*-ში (მსხლის ქსეროფიტი სახეობები) განთავსებულ სახეობასთან *P. nivalis* დაჯგუფდა (სქემა 13; თავი 5.2.). *P. nivalis*-ი არის მსხლის მრავალი დეკორატიული ჯიშის და რაც მთავარია 'პერის' ჯიშის მსხლების ('Perry pears') პირდაპირი ხაზის პროგენიტორი (Sisko et al., 2009). პერის ჯგუფის მსხლები გამოყვანილია საფრანგეთში და მოიცავენ მსხლის ჯიშებს, რომლის ნაყოფიდანაც ალკოჰოლური სასმელი 'პერი' (Perry) მზადდება. კეცხოველის ბერყენას (*P. ketzkhoveli*), ისევე, როგორც საქართველოში გავრცელებული სხვა ბერყენების ნათესაური კავშირების დადგენა საჭიროებს უფრო დეტალურ მოლეკულურ-გენეტიკურ კვლევებს.

8) გასული საუკუნის 30-იან წლებში ვავილოვმა (Вавилов 1926, 1931) კავკასიას, მცირე აზიას, ირანს და თურქმენეთს მიაჩნჯა მსხლის დომესტიკაციის მეორეული ცენტრის სტატუსი. საქართველოში პრეისტორიული პერიოდიდან ხდებოდა მსხლის მოშენება და ადგილობრივი ჯიშების ასორტიმენტიც უფრო მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თანამედროვე პერიოდში. ამაზე მოწმობს დმანისის სოფ. შულავერის და არუხლოს მიდამოებში ნახევრადგანამარხებული ნარჩენების კვლევები, სადაც მსხლის თესლები მრავლად იქნა აღმოჩენილი. ეს ნამარხები 6000 წლით არიან დათარიღებული ჩვ. წ. აღ.-მდე (Kushnareva, 1997). ამ ფაქტზე დაყრდნობით შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ პრეისტორიულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელმა ხალხმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე მსხლის ჯიშების წარმოშობაში. ამ ფაქტს ისტორიული წყაროებიც ამყარებს (ჯავახიშვილი, 1930). კავკასიისთვის ენდემური ველური მსხლის სახეობა - პანტა (*P. caucasica*) საქართველოში ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული დანარჩენი ველური მსხლების 10 სახეობასთან შედარებით. იგი მსხლის ჯიშების პროგენიტორი სახეობაა სხვა არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვითაც (ხომიზურაშვილი, 1973), რაც ამყარებს იმ აზრს, რომ

ჯიშების დომესტიკაცია ადგილობრივად ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს მაგალითები მიუთითებენ, რომ მსხლის დომესტიკაცია საქართველოს და კავკასიის ტერიტორიაზე ადრეულ, პრეისტორიულ პერიოდში დაიწყო (Akhalkatsi et al., 2012). არსებული ცნობებით (ხომიზურაშვილი, 1973), საქართველოში უძველესი დროიდან აპრიორულად მსხლის ადგილობრივი ჯიშების კულტივაცია ხდებოდა. ეს ჯიშები მიღებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ველური მსხლების სელექციის და ჰიბრიდიზაციის კომბინირებული ხერხებით. მსხლის უძველესი ქართული ჯიშები ნარჩუნდებოდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. ეს პერიოდი ფორმალურად ითვლება ევროპის, აზიის და რუსეთის ტერიტორიებიდან მსხლის ჯიშების შემოტანის დაწყების დროდ, თუმცა მოცემული კვლევით მიღებული შედეგები ადასტურებს რომ ეს პროცესი გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, რადგან მსხლის ქართული ძირძველი ჯიშების ნაწილი რამოდენიმე ველური ნათესავის მორფო-გენეტიკურ ნიშნებს ატარებს. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რომ საქართველოში მსხლის ჯიშებიდან ძველ ჯიშებს წარმოადგენენ *P. caucasica*-ს და *P. balansae*-ს დომესტიკაციით მიღებული ჯიშები, რომლებიც ამ პროგენიტორ სახეობებთან ყველაზე ახლოს დაჯგუფდნენ (სქემა 13 კლასტერი B; თავი 5.2.). ხოლო მსხლის სხვა ქართული ჯიშები, რომელთა გენოფონდშიც *P. pyraister*-ის გენებიც მონაწილეობენ (სქემა 13 კლასტერი C; თავი 5.2.), გამოყვანილი უნდა იყვნენ პრეისტორიულ პერიოდში.

გენეტიკური კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგია კავკასიისთვის ენდემურ პანტას (*P. caucasica*) და ევროპაში გავრცელებულ *P. pyraister*-ს შორის გენეტიკური სხვაობის დადგენა. ამ მონაცემს ამყარებს სხვა წყაროც, კერძოდ გენეტიკურ კვლევაში ჩვენი ამერიკელი თანაავტორების მიერ ადრეულ პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაცია (Volk et al., 2006). სხვაობა ამ ორ სახეობას შორის, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული *P. caucasica*-ს პოპულაციის დაბალი ჰეტეროზიგოტულობა და საქართველოში პანტისგან მიღებული ადგილობრივი სელექციური მსხლის ჯიშების არსებობა მიუთითებს, რომ კავკასია და საქართველო,

როგორც მისი ნაწილი, შუაზიისგან დამოუკიდებელ ცალკეულ შტოს წარმოადგენდა მსხლის დომესტიკაციის თვალსაზრისით (Asanidze et al., 2014). ეს შედეგი შესაძლოა გამოდგეს კავკასიის მოსახლე ეთნიკური ჯგუფების იდენტურობის (Tarkhnishvili et al., 2014) განმსაზღვრელ ერთ-ერთ დამატებით მაგალითად.

9) ბერყენების ჯგუფი მორფოლოგიურ და გენეტიკურ კვლევებში ჩართული იქნა როგორც შესადარებელი ჯგუფი. ამ ჯგუფზე ორიენტირებით მოხდა დადგენა, თუ რა გენეტიკური დისტანციით იყვნენ დაშორებული ერთმანეთისაგან კულტურული მსხლის პროგენიტორი სახეობები *P. caucasica*, *P. balansae* და *P. pyraster*. ასევე გამოვლინდა რამდენად ძლიერი იყო საქართველოში გავრცელებული მსხლის გვარის წარმომადგენლებს შორის ჰიბრიდიზაცია. 7 მიკროსატელიტური მარკერით განხორციელებულ გენეტიკურ კვლევაში გამოყენებული იქნა საქართველოში შეგროვილი ბერყენას სახეობების მხოლოდ ის ინდივიდები, რომლებიც მორფოლოგიურად ძალზე ახლოს იდგნენ თავის ჰოლოტიპთან. მონაცემთა ვიზუალიზაციამ მეზობელ-შემაკავშირებელ ხეზე (სქემა 13 კლასტერი D, E; თავი 5.2.) უჩვენა, რომ ბერყენას სახეობები კულტურული მსხლების პროგენიტორი სახეობებისგან საკმაოდ დიდი დისტანციით არიან დაშორებული. ხეზე მათი შტოების ლოკალიზაციის რელევანტურობა გამყარდა ბუტსტრაპების მაღალი მაჩვენებლით (71%-D კლასტერისთვის და 76%-E კლასტერისთვის). ეს მონაცემი მიუთითებს, რომ მიუხედავად ბერყენების და პანტას შორის ჰიბრიდული ფორმების არსებობისა, ბერყენას სახეობები მაინც საკმაოდ შორ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან პანტებთან (*P. caucasica*, *P. balansae*), ვიდრე პანტების მორფოლოგიურად ახლო მონათესავე სახეობა, ევროპული ველურ მსხალი (*P. pyraster*).

10) საველე კვლევების დროს საქართველოში გავრცელებულ მსხლის გვარში გაცილებით დიდი მორფოლოგიური მრავალფეროვნება გამოვლინდა, ვიდრე აქამდე ლიტერატურული წყაროებით (ქუთათელაძე, 1946, 1980) იყო ცნობილი. ახალი

მორფოლოგიური ტიპები ძირითადად ბერყენა მსხლების ჯგუფში იქნა შენიშნული. ერთ-ერთი ახალი მორფოტიპი, რომელსაც 'ბუთხუზა ბერყენა' ეწოდა, მორფოლოგიური შეფასების შემდეგ გენეტიკურადაც იქნა გადახედული საქართველოში გავრცელებულ ყველა ბერყენას სახეობასთან ერთად (სქემა 13 კლასტერი E; თავი 5.2.). 'ბუთხუზა' ბოტანიკური ტერმინოლოგიით ეწოდება მცენარეს, რომლის ყვავილის გვირგვინის ფურცლებიც ნორმაზე მეტია. მსხლის გვარის წარმომადგენლების ყვავილს, ისევე როგორც ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელ ყველა ველური სახეობის ყვავილებს, გვირგვინის ფურცლების რაოდენობა 5 აქვთ. ბუთხუზა ბერყენას ყვავილის გვირგვინის ფურცლები კი 7 დან 9-მდე მერყეობს. ყვავილის გვირგვინის ფურცლების რაოდენობის გაზრდა მუტაციით არის გამოწვეული და ყვავილის მტვრიანების შემცირების ხარჯზე ხდება. შედეგად ამ სახეობას დაუქვეითდა ფერტილურობა, თუმცა მას უნარჩუნდა ვეგეტაციურად გამრავლების უნარი. ბუთხუზა ბერყენა აღმოჩენილი იქნა დოქტორ მ. გვრიტიშვილის მიერ. სასიცოცხლო ფორმით ეს მორფოტიპი არის საშუალო ზომის ბუჩქი. ბუთხუზა ბერყენას ფოთლები ფორმით ვიწრო ლანცეტისებურია. ფოთლები და ფოთლის ყუნწი ქეჩისებრად არიან შებუსული. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია. ფოთლის ყუნწი მოკლეა. მისი სიგრძე ფოთლის სიგრძის 1/3-ს შეადგენს. ყვავილის გვირგვინის ფურცლების რაოდენობა 7-9. მცენარე უნაყოფოა. ეს მორფოტიპი მცირე პოპულაციის სახით ნანახია თბილისის შემოგარენში მხოლოდ ერთ ადგილზე, კერძოდ ნუცუბიდის პლატოს მიმდებარე ტერიტორიაზე. გენეტიკურად ეს მორფოტიპი ბერყენების ჯგუფში განცალკევებულ პოზიციას იკავებს (სქემა 13 კლასტერი E; თავი 5.2.). ამ მორფოტიპის ნათესაური კავშირების გამოვლენის და ტაქსონომიური სტატუსის განსაზღვრა დამატებით კვლევებს საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მორფოტიპები მრავლადაა საქართველოში და მათი შესწავლა მომდევნო კვლევებში იგეგმება.

11) ნაპრალების-ანალიზით შეფასდა კავკასიური პანტა (*P. caucasica*), როგორც კულტურული მცენარის ველური ნათესავი და დადგინდა, რომ იგი კონსერვაციული თვალსაზრისით პრიორიტეტული სახეობაა (ცხრილი 16; თავი 5.3.). აღსანიშნავია, რომ ბერყენების საქართველოში გავრცელებული ყველა სახეობა შესულია კავკასიის რეგიონის თანამედროვე წითელ ნუსხაში (Nakhutsrishvili et al., 2014). ჩვენი კვლევით განისაზღვრა, რომ *P. caucasica*-ს არეალი დიდი კავკასიონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებს მოიცავს. მცირე კავკასიონზე და დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილში პანტის სხვა სახეობა - *P. balansae* არის გავრცელებული. პანტები არ არიან წითელ ნუსხაში შესული, თუმცა ვფიქრობთ, რომ *P. caucasica*-ს სტატუსი უნდა გადაიხედოს.

თავი 7. დასკვნები

- *P. caucasica*-ს პოპულაცია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ერთგვაროვანი არ არის. მცირე კავკასიონზე და დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილში გავრცელებული პოპულაცია, რომელიც დიდი კავკასიონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული აღმოჩნდა საქართველოს ფლორისთვის დადგენილი, თუმცა ლიტერატურული წყაროებით ნაკლებად ცნობილი სხვა მეზოფიტი სახეობა - ბალანზეს პანტა (*P. balansae*).
- გენეტიკური კვლევის შედეგები მეტწილად თანხვედრაშია მორფოლოგიური კვლევით მიღებულ შედეგებთან. ორივე მათგანი ადასტურებს, რომ კავკასიური პანტა (*P. caucasica*) მისი ევროპაში გავრცელებული მონათესავე სახეობისგან - ტყის მსხლისგან (*P. pyraeaster*) გამიჯნული სახეობაა და შექმნილი აქვს ავტონომიური ველური და კულტურული მრავალფეროვნება თავის გავრცელების დიაპაზონში.
- გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოში გავრცელებული ბერყენები მცირე წილით არიან ჩართული ჰიბრიდიზაციის პროცესში პანტებთან, თუმცა მათი

გენები არ ფიქსირდება მსხლის ქართული ჯიშების გენოფონდში, რადგან ბერყენები *P. caucasica*-ს გენების რეციპიენტები არიან.

- გენტ მიმოცვლა ხდება როგორც მსხლის ველურ ნატესავებში, ასევე მსხლის ჯიშებშიც ეს თეორია მსხლის გვარის საქართველოში გავრცელებულ წარმომადგენლების მაგალითზეც დადასტურდა.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ *P. caucasica* ძალზე ახლო ნათესაურ კავშირშია მსხლის ქართულ „პანტა მსხლების“ და „კალოს მსხლების“ ჯგუფის ჯიშებთან, თუმცა მსხლის სხვა ქართული ჯიშებიც - „ხეჭეჭური მსხლების“ და „გულაბი მსხლების“ ჯგუფის ჯიშებიც საკმაოდ ახლოს ენათესავებიან ამ სახეობას.
- კეცხოველის ბერყენა (*P. ketzkhoveli*), რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი, როგორც მსხლის ჯიშების პირველი ჯგუფის ველური ნათესავი სახეობა, ახლოს დაჯგუფდა ჯიშებთან. კერძოდ ‘გორძამასთან’ (Gorham pear) და სავარაუდო პროგენიტორ სახეობა *P. nivalis*-თან. აქედან გამომდინარე *P. ketzkhoveli*-ს გამოყენება შესაძლებელია მსხლის ახალი ჯიშების გამოსაყვანად.
- საქართველოში გავრცელებული მსხლის ადგილობრივი ჯიშებიდან ყველაზე ძველს „პანტა მსხლების“ და „კალოს მსხლების“ ჯგუფის ჯიშები წარმოადგენენ, რომლებიც მიღებულები არიან *P. caucasica*-ს და *P. balansae*-ს სელექციის გზით. „ხეჭეჭური მსხლების“ და „გულაბი მსხლების“ ჯგუფის ჯიშების გამოყვანა შედარებით თანამედროვე პერიოდში მოხდა შეჯვარების და სელექციის კომბინირების გზით, რის შედეგადაც ამ ჯგუფის მსხლის ჯიშებს ჩამოუყალიბდათ გარდამავალი მორფო-გენეტიკური ნიშნები ორ მთავარ ველურ ნათესავს - *P. caucasica*-ს და *P. pyraeaster*-ს შორის .
- დადგინდა, რომ *P. caucasica*-ს პოპულაცია გაცილებით მცირე არეალს მოიცავს როგორც კავკასიის ეკო რეგიონში, ასევე საქართველოშიც, ვიდრე აქამდე იყო

ნავარაუდები. აქედან გამომდინარე საჭიროა მისი კონსერვაციული სტატუსის გადახედვა.

- მიღებული შედეგებით გამოიკვეთა ტენდენცია, რომლითაც მყარდება ბროვიჩის (Browicz, 1993) სახეობათა ჰიბრიდულობის ჰიპოთეზა. ამასთან აშკარაა, რომ მსხლის ჯიშები, განსაკუთრებით - მსხლის ევროპული ჯიშები არამხოლოდ ორი პროგენიტორის *P. caucasica*-ს და *P. pyraister*-ის (ჩვეულებრივი მსხლის - *P. communis*-ის ჯგუფის სახეობების) გენოფონდს, არამედ *P. nivalis*-ის გენებსაც იზიარებენ, რომელიც ჩვეულებრივი მსხლის ჯგუფის სახეობა არ არის. ეს შედეგი ა. ტუზის (Tuz, 1972) გამოთქმულ შეხედულებას ემთხვევა.
- მიღებული შედეგები ზოგადად თანხვედრაშია საქართველოში გავრცელებული მსხლის გვარის წარმომადგენლების შ. ქუთათელაძისეულ (1980) კლასიფიკაციასთან. კერძოდ ეს თანხვედრა გამოიხატება იმაში, რომ მეზოფიტი პანტები და ქსეროფიტი ბერყენები მორფო-გენეტიკურად განცალკევდნენ ერთმანეთისგან ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვითაც. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კვლევის დროს პანტის და ბერყენების ჰიბრიდებიც იქნა გამოვლენილი, მივდივართ დასკვნამდე, რომ საქართველოში გავრცელებული ველური მსხლების, განსაკუთრებულად ბერყენების ტაქსონომიური სტატუსი უნდა გადაიხედოს და დაზუსტდეს დეტალური მორფო-გენეტიკური კვლევის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, შ. ნ. 1956. თესლიანი კულტურები (ვაშლი, მსხალი) რაჭა-ლეჩხუმში და მისი განვითარების პერსპექტივები : დის. სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდ. /; საქ. სას.-სამ. ინ-ტი. - თბილისი.
2. ახვლედიანი, შ. 1958. მსხლის ადგილობრივი ჯიშები რაჭა-ლეჩხუმში. მმმსკ-ის სამეცნ. შრომების კრებული, ტომი XI, თბილისი.

3. დოლიძე, ჟ. 1965. ახალი მონაცემები საქართველოს აღმავილური ფლორის შესახებ. საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე XL:2,
4. ექვთიმიშვილი, მ. მანდენოვი, ი. სახოკია მ. [და სხვ.] 1949. საქართველოს ფლორა. ტომი 5 (Rosacea-Leguminosae). რედ. ა. ხარაძე. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., თბილისი.
5. კეცხოველი, ნ. 1935. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. თბ. : სახ. უნ-ტის გ-ბა, გამომცემლობა "ტფილისი".
6. კეცხოველი, ნ. 1960. საქართველოს მცენარეული საფარი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., თბილისი.
7. კუბლაშვილი ო. დ., მარჯანიშვილი ი. ვ., ჯუღელი ნ. დ., მინდიაშვილი ჟ. მ., ჩხეტიანი ი. დ., კუბლაშვილი რ. ი. 1980. დასავლეთ საქართველოს ველური ხეხილის რესურსებისა და ფორმათა შედგენილობის შესწავლა. განაკვეთი: ქვემო სვანეთის ველური ხეხილის რესურსების და ფორმათა ნაირგვარობის შესწავლა. საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ბოტანიკის ინს-ტი. - თბ. : საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.
8. მესხიძე, ა., ჭაღალიძე, რ., ქამადაძე, დ., ქედელიძე, ნ. მსხლის ჯიშების მრავალფეროვნება აჭარის ზღვისპირეთის დაბლობსა და მთიან ზონაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 34, გვ.: 122-125. თბილისი.
9. ნადირაძე, შ. 1968. ქართლის ადგილობრივი მსხლის ზამთრის ჯიშები. მეზღუბის, მევენახ. და მეღვინ. ინსტ. შრომები. 17-18, გვ.: 52-64.
10. ქუთათელაძე შ. 1946, საქართველოს ველური მსხლები : ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ბოტანიკის ინს-ტი. - თბ. : საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.
11. ქუთათელაძე შ. 1980, საქართველოს პანტები და ბერყენები. თბილისი საქართველოს ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები. ტომი XI.
12. შარაშენიძე, დ. 1956. მსხლის კულტურა შიდა კახეთში. მონოგრაფია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ.
13. შარაშენიძე, დ. 1966. მსხალი. საბჭოთა საქართველო, თბ.
14. წიქვაძე, შ., ისაკაძე, ლ. 1969. მსხლის კულტურა მესხეთში. საბჭოთა საქართველო, თბ.
15. ხომიზურაშვილი, ნ. 1973 I. მეხილეობა: სახელმძღვ. სას.-სამ. ინ-ტის მეზღუბა-მევენახეობისა და მეზღუბნეობის ფაკ-ტის სტუდენტებისათვის. განათლება, თბ.

16. ხომიზურაშვილი, ნ. 1973 II. საქართველოს მეხილეობა. ტ. III. თესლოვანი კულტურები. „მეცნიერება“, თბილისი.
17. ხომიზურაშვილი, ნ., ერისთავი, ე. 1939. საქართველოს კულტურული ფლორის ატლასი, ტომი I. საქართველოს ადგილობრივი ჯიშები. რედ. ნ. კეცხოველი. ტექნიკა და შრომა, თბ.
18. ხომიზურაშვილი, ნ., ერისთავი, ე. 1941. საქართველოს კულტურული ფლორის ატლასი, ტომი II. საქართველოს სამრეწველო ხილის ჯიშები. რედ. ნ. კეცხოველი. ტექნიკა და შრომა, თბ.
19. ჯავახიშვილი, ი. 1986, თხზულებანი : 12 ტომად / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. - თბ. - 26სმ. ტ. 5 [ტომის რედ.: პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე].
20. Ahmad, S., Kaur, S., Lamb-Palmer, N.D., Lefsrud, M., Singh, J. 2015. Genetic diversity and population structure of *Pisum sativum* accessions for marker-trait association of lipid content. The crop journal. Flora, Elsevier. Vol. 3 (3), Pp: 238-245
21. Akhalkatsi, M., 2009. Conservation and sustainable use of crop wild relatives in Samtskhe-Javakheti. Project report (“Recovery, Conservation, and Sustainable Use of Georgia's Agricultural diversity”). Published by Georgian Society of Nature Explorers “Orchis” and Biological Farming Association “Elkana”.
22. Aldasoro, J., J. Aedo A. and Garmendia, M., F. 1996. The genus *Pyrus* L. (Rosaceae) in south-west Europe and North Africa. Bot. journ. of Linn. Soc. 121, 143-158.
23. Asanidze, Z., Akhalkatsi, M., Gvritishvili, M. 2011. Comparative morphometric study and relationships between the Caucasian species of wild pear (*Pyrus* spp.) and local cultivars in Georgia. Flora, Elsevier. Vol. (206) 11, 974 – 986.
24. Asanidze, Z. Akhalkatsi, M. 2011. Morphological relationships between wild and cultivated pears in Georgia. Proc. Georg. Acad. Sci. Biol. Ser. B.
25. Asanidze, Z., Akhalkatsi, M., Henk A.D., Richards Ch. M., and Volk. G.M. 2014. Genetic relationships between wild progenitor pear (*Pyrus* L.) species and local cultivars native to Georgia, South Caucasus. Flora 209: 504-512.
26. Akhalkatsi M., Ekhvaia J., Asanidze Z. 2011. "Diversity and genetic erosion of ancient crops and wild relatives of agricultural cultivars for food: implications for nature conservation in Georgia (Caucasus)". Intech. DOI: 10.5772/30286.
27. Bao, L., Chen, K., Zhang, D., Cao, Y., Yamamoto, T., Teng, Y., 2007. Genetic diversity and similarity of pear (*Pyrus* L.) cultivars native to East Asia revealed by SSR (simple sequence repeat) markers. Genet. Resour. Crop Evol. Vol. 54. Pp.: 959–971.
28. Bassil, N., Postman J.D. 2010. Identification of European and Asian pears using EST-SSRs from *Pyrus*. Genet Resour Crop Evol. Vol. 57. Pp.:357–370.

29. Batello, C., Avanzato, D., Akparov, Z., Kartvelishvili, T., Melikyan, A., 2010. Gardens of Biodiversity. Conservation of Genetic Resources and Their Use in Traditional Food Production Systems by Small Farmers of the Southern Caucasus. FAO, Rome, pp. 114–116.
30. Bläsing, U. 2004. Birnennamen aus Hems, in: Vorarbeiten zur Feststellung und Beschreibung der Birnenarten und ihrer regionalen Namen im östlichen Schwarzmeergebiet. Iran Cauc. 8, 81–129.
31. Bobokashvili, Z., Kvaliashvili, V. and Dzeria, K. 2005, Wild relatives for stone, pipe and nut fruits in Georgia. Georgian Research Institute of Horticulture, Viticulture and Oenology, 0159 Tbilisi, Georgia. First International Conference on Crop Wild Relative Conservation and Use. 14-17 September, Agrigento, Sicily, Italy.
32. Browicz, K., 1982. Chorology of Trees and Shrubs in South-West Asia and Adjacent Regions. PWN, Varshava-Poznan.
33. Browicz, K., 1993. Conspectus and chorology of the genus *Pyrus* L. Arbor Kórnickie 38, 17–33.
34. Burgman, M. A., Fox, J. C. 2003. Bias in species range estimates from minimum convex polygons: Implications for conservation and options for improved planning. Animal Conservation Vol. 6, Pp: 19 – 28.
35. Cavanagh, C., Morell, M., Mackay, I., Powell, W. 2008. From mutations to MAGIC: resources for gene discovery, validation and delivery in crop plants. Current Opinion in Plant Biology, Elsevier. Vol. 11, Pp: 215-221.
36. Cheng, F. S., Brown, S. K., Weeden, N. F. 1997. A DNA extraction protocol from various tissues in woody plants. HortScience 32(5): 921-922.
37. Chevreau E., Leuliette S., Gallet M. 1997. Inheritance and linkage of isozyme loci in pear (*Pyrus communis* L.) Theor Appl Genet Vol. 94.
38. Cronquist, A. 1981. An Integrated system of classification of flowering plants. Columbia University Press. ISBN: 9780231038805.
39. Davis, P.D. 1972. Flora of Turkey and the East Aegean Islands, Vol. 4. University Press. Edinburg.
40. Decaisne, M., I. 1872-74. Memoire sur La famille des pomacees. Nov. Archives du museum. X. Paris.
41. Dirlewanger E., Graziano E., Joobeur T., Garriga-Caldere F. 2004. Comparative mapping and marker-assisted selection in Rosaceae fruit crops.(26): 9891–9896.
42. Dondini, L., Sansavini, S. 2012. European Pear. In book: Fruit Breeding: Handbook of Plant Breeding, Vol. 8 (3), Pp.: 369-413, DOI 10.1007978-1-4419-0763-9-11 Springer.

43. Doyle, J., J. Dickson, E., E. 1987. Preservation of Plant Samples for DNA Restriction Endonuclease Analysis. *Taxon* Vol. 36, pp. 715-722.
44. Downing, A. J. 1847-1855. The fruits and fruit trees of America; the culture, propagation, and management, in the garden and orchard, of fruit trees generally; with descriptions of all the finest varieties of fruit, native and foreign, cultivated in this country. Vol. I-XIX. Publisher: New York, J. Wiley & sons.
45. Esri, 2009. ArcGis 9.3. Environmental Systems Research Institute, Inc. Redlands, CA.
46. FAO, 2010. Agriculture and breeding developed since the Neolithic in the Report "Gardens of Biodiversity, Conservation of genetic resources and their use in traditional food production systems by small farmers of the Southern Caucasus". Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome.
47. Fischer, M. 2009. Pear breeding. In book: 'Breeding Plantation Tree Crops: Temperate Species' edited by Mohan, J. Sh. & Priyadarshan, P.M. ISBN: 978-0-387-71203-1. Pp.: 135-160. Springer.
48. Gagnidze R. 2005. Vascular Plants of Georgia. A Nomenclatural Checklist. Tbilisi.
49. Goudet, J., 1995. FSTAT, a program for IBM PC compatibles to calculate Weir and Cockerham's (1984) estimators of F-statistics. *J. Hered.* 86,485-486.
50. Grant, K., Russel, Ch. & Everill, P. 2009. Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi. Interim report on excavations in July 2009. Interim Report
Available from:
<http://www.nokalakevi.org/Downloads/Reports/English/Site/2009.pdf>.
51. Haines, J., Crampton, J. S. 2000. Improvements to the method of fourier shape analysis as applied in morphometric studies. *Palaeontology*, Vol. 43 (4), pp. 765-783.
52. Hamon, C. 2008. From Neolithic to Chalcolithic in the Southern Caucasus: Economy and Macrolithic Implements from Shulaveri-Shomu Sites of Kwemo-Kartli (Georgia). *Paléorient*, CNRS Éditions. Vol. 34 (2), Pp: 85-135.
53. Hancock, J.F., Lobos, G.A. 2008. Pears. In book: 'Temperate fruit crop breeding: germplasm to genomics' Ed. Hancock J.F. ISBN: 978-1-4020-6907-9 (Online). Pp.: 299-395. Springer.
54. Hanelt, P. 2001. Mansfeld's Encyclopedia of Agricultural and Horticultural Crops (except ornamentals). First English edition based on a revision of the German editions of 1959 (Mansfeld, R.) and 1986 (Schultze-Motel, J.) . Ed. by Hanelt, P. and the Institute of Plant Genetics and Crop Plant Research (Vol. 1-6). Springer.
55. Hemmat, M., Weeden, N.F., Brown, S.K., 2003. Mapping and evaluation of *Malus × domestica* microsatellites in apple and pear. *J. Amer. Soc. Hort. Sci.* 128, 515-520.

56. Hijmans, R.J., Guarino, L., Mathurm, P., 2012. DIVA-GIS Version 7.5, <http://www.diva-gis.org/download>.
57. Hill, T., Lewicki, P. 2007. Statistics: Methods and Applications. Dell, Tulsa, OK.
58. Hunter, D., Heywood. V. 2011. Crop Wild Relatives - A manual of *in situ* conservation. Earthscan London Washington, DC. P-149.
59. IUCN, 2001. IUCN Red List categories, version 3.1 International Union for the Conservation of Nature, Species Survival Commission, Gland, Switzerland.
60. Jackson, J., E. 2003. Biology of apples and pears. Cambridge University Press; ISBN 9786610414512, 634/11.
61. Janik, J. 2009. The Pear in History, Literature, Popular Culture, and Art. West Lafayette, Indiana, 47907-1165, USA
62. Katayama, H., Tachibana M. 2012. Phylogenetic utility of structural alterations found in the chloroplast genome of pear: hypervariable regions in a highly conserved genome. Tree Genetics & Genomes. Vol. 8. Pp.:313–326.
63. Kell, S. P., Jury, S. L., Knüpffer, H., Ford-Lloyd, B. V. & Maxted, N. 2007. PGR Forum: serving the Crop Wild Relative user community. *Boccone* 21: 413-421. ISSN 1120-4060.
64. Koehne, E. 1893. Deutsche dendrologie. Stuttgart.
65. Korotkova, N., Nauheimer, L., Ter-Voskanyan, H., Allgaier, M., Borsch, T. 2014. Variability among the Most Rapidly Evolving Plastid Genomic Regions is Lineage-Specific: Implications of Pairwise Genome Comparisons in *Pyrus* (Rosaceae) and Other Angiosperms for Marker Choice. *PLoS One*. Vol. 9 (11). DOI: 10.1371/journal.pone.0112998.
66. Kuhl, F.P., Giardina, C.R., 1982. Elliptic Fourier features of a closed contour. *Comp. Graph. Ima. Proc.* 18, 236–258.
67. Kushnareva K. Kh. 1997. The Southern Caucasus in Prehistory: Stages of Cultural and Socioeconomic Development from the Eighth to the Second Millennium B.C. Translated by H. N. Michael. ISBN 978-0-924171-50-5. University of Pennsylvania Press.
68. Lewis, P.O., Zaykin, D., 2001. GDA User's Manual, <http://lewis.eeb.uconn.edu/lewishome>
69. Liebhard, R., Gianfranceschi, L., Koller, B., Ryder, C.D., Tarchini, R., Weg, E., vande Gessler, C., 2002. Development and characterization of 140 new microsatellites in apple (*Malus × domestica* Borkh.). *Mol.Breed.*10, 217–241.

70. Lodhi, M.A., Ye, G., Weeden, N.F., Reisch, B.I. 1994 A simple and efficient method for DNA extraction from grapevine cultivars and *Vitis* species. *Plant Molecular Biology Reporter* Vol.12,Pp: 6-13.
71. Lyonnet , B., Guliyev, F., Bouquet, L., Bruley-Chabot, G., Samzun, A., Pecqueur, L., Jovenet, E., Baudouin, E., Fontugnee, M., Raymond, P., Degorre, E., Astruc, L., Guilbeau D., Le Dosseur, G., Benecke, N., Hamon, C., Poulmarc'hl, M., Courcier, A. 2015. Mentesh Tepe, an early settlement of the Shomu-Shulaveri Culture in Azerbaijan. *Quaternary International*, Elsevier.
72. Luz, J. P., 2014. Apple and Pear. *Diseases of Temperate Horticultural Plants*. Edited by Raymond George A.T., and Roland T.V. Fox. ISBN-10: 1845937732. pp. 3-21.
73. Marcus, L. F., Corti M., Loy A., Naylor G. J. P. and D. E. Slice, Eds. 1996. *Advances in Morphometrics*. NATO Advanced Science Institute Series A: Life Sciences, vol. 284. New York, Plenum Press.
74. Maxted, N. 2003. Conserving the genetic resources of crop wild relatives in European protected areas. – *Biological Conservation* 113(3): 411-417.
75. Maxted, N., E. Dulloo, B.V. Ford-Lloyd, J.M. Iriondo and A. Jarvis. 2008. Gap analysis: a tool for complementary genetic conservation assessment. *Diversity and Distributions*, 14: 1018–1030.
76. Monte-Corvo, L., Cabrita, L., Oliveira, C., Leitão, J. 2000. Assessment of genetic relationships among *Pyrus* species and cultivars using AFLP and RAPD markers. *Genetic Resources and Crop Evolution* Vol. 47. Pp.: 257–265.
77. Nakhutsrishvili, G., Gagnidze, R., Shetekauri, Sh., Manvelidze, Z., Memiadze, N., Kharazishvili, D., Batsatsashvili, K. 2014. *Georgia*. In: *Red List of Endemic Plants of the Caucasus: Armenia, Azerbaidjan, Georgia, Iran, Russia, and Turkey*. Monographs in Systematic Botany from the Missouri Botanical Garden (MSB) 125. Missouri Botanical Garden Press, Saint Louis. ISBN 9780915279821
78. Nei, M., Tajima, F., Tateno, Y. 1983. Accuracy of estimated phylogenetic trees from molecular data. *J Mol Evol* 19: 153-170.
79. Ovando-Medina, I., Sánchez-Gutiérrez, A., Lourdes A.A., Espinosa-García, F., Núñez-Farfán, J., Salvador-Figueroa, M. 2011. Genetic Diversity in *Jatropha curcas* Populations in the State of Chiapas, Mexico *Diversity*, Vol. 3(4), Pp: 641-659.
80. Pallas, P., S. 1812. *Travels through the southern Provinces of the Russian Empire in the years 1793 and 1794; Second edition*. In two volumes. Vol. I. London.

81. Perrier, X., Flori, A., Bonnot, F., 2003. Data analysis methods. In: Hamon, P., Seguin, M., Perrier, X., Glaszmann, J.C. (Eds.), Genetic Diversity of Cultivated Tropical Plants. Enfield Sci. Publ., Montpellier, pp. 43–76.
82. Perrier, X., Jacquemoud-Collet, J.P., 2006. DARwin Software, <http://darwin.cirad.fr/Darwin>
83. Pritchard, J. K., Stephens, M., and Donnelly, P. 2000 a. Inference of population structure using multilocus genotype data. *Genetics*, 155:945–959.
84. Pruyn, M. L., Spicer, R.. 2012 Parenchyma. In: eLS. John Wiley & Sons Ltd, Chichester. <http://www.els.net> [doi: 10.1002/9780470015902.a0002083.pub2]
85. Redher, A. 1949. Bibliography of cultivated trees and shrubs hardy in the cooler temperate regions of the northern hemisphere. Jamaica plain.
86. Rohlf, F.J., Archie, J.W., 1984. A comparison of Fourier methods for the description of wing shape in mosquitoes (Ritera culicidae). *Syst. Zool.* 33, 302–317.
87. Rubtzov, G., A. 1944, Geographical distribution of genus *Pyrus* and trends of factors in its evolution. *Amer. Naturalist* 78, 777.
88. Schanzer, I. A., Semenova, M.V, Shelepova, O.V., Voronkova, T.V. 2012. Genetic diversity and natural hybridization in populations of clonal plants of *Mentha aquatica* L. (Lamiaceae). *Wulfenia*, Vol. 19, Pp: 131–139.
89. Schneider, C., K. 1906. *Pyrus* L. in *Handbuch der Laubholzkunde* 1, 655. Jena.
90. Seifriz, W. 1932. Sketches of the vegetation of some southern provinces of soviet Russia. III. Plant life in the Bakuriani Basin, Minor Caucasus. *J. Ecol.* 20, 53–68.
91. Shatilova, I., Mchedlishvili, N., Rukhadze, L., Kvavadze, E. 2012. The vegetation and flora history of Georgia. Georgian National Academy of Science Press, Tbilisi. Monograph, 192 p.
92. Sisko, M., Javornik, B., Siftar, A., Ivankik, A. 2009. Genetic Relationships among Slovenian Pears Assessed by Molecular Markers. *J. Amer. Soc. Hhort. Sci.* 134(1):97–108.
93. SPSS Inc., 2004. SPSS v. 13.0 user's guide. McGraw-Hill, New York.
94. Tarkhnishvili, D., Gavashelishvili, A., Murtskhvaladze, M., Gabelaia, M., Tevzadze, G. 2014. Human Paternal Lineages, Languages and Environment in the Caucasus. *Human Biology Open Access Pre-Prints*. Paper 54.
95. Thibault, B., Watkins, R., Smith, R.A., 1983. Descriptor List for Pear (*Pyrus*). IBPGR Secretariat, Rome.

96. Tuz A. S., Likhonos F. D., Lobachev A. Y. 1983. Cultivated flora of the USSR. Pome fruit trees (apple, pear and quince). Vol. 14. Moscow: Kolos. 156-157 p. (In Russian). N.I. Vavilov All-Russian Institute of Plant Industry [VIR], St. Petersburg, Russia.
97. Tuz, A., S. 1974, On the origin and the evolution of genus *Pyrus*. "Botanicheski jurnal" vol 52. N12. Institute of dendrology 62-035 Kornik, Poland.
98. UPOV, 2000. Guidelines for the Conduct of Tests for Distinctness, Uniformity and Stability. Pear (*Pyrus communis* L.). UPOV, Geneva.
99. Verbylaitė, R. Ford-Lloyd, B., Newbury, J. 2006. The phylogeny of woody Maloideae (Rosaceae) using chloroplast trnL-trnF sequence data. School of Biosciences, University of Birmingham, U. K. © Lietuvos mokslų akademijos leidykla, Biologija; Pp 60–63.
100. Vergara, R., Gitzendanner, M.A., Soltis, D.E., Soltis, P.S. 2014. Population genetic structure, genetic diversity, and natural history of the South American species of *Nothofagus* subgenus *Lophozonia* (Nothofagaceae) inferred from nuclear microsatellite data. *Ecology and Evolution*, Vol. 4 (12), Pp: 2450–2471.
101. Volk, G.,M., Richards, C.,M., Henk, A.,D., Reilley, A.,A., Bassil, N.,V., Postman, J.,D. 2006. Diversity of wild *Pyrus communis* based on microsatellite analyses. *J. Am. Soc. Hort. Sci.* 131, 408–417.
102. Voltas, J., Pemán, J., Fusté, F., 2007. Phenotypic diversity and delimitation between wild and cultivated forms of the genus *Pyrus* in North-eastern Spain based on morphometric analyses. *Genet. Res. Crop Evol.* 54, 1473–1487.
103. Wagner, S. B. R., Kleinschmit, I. J. 2003, EUFORGEN Technical Guidelines for genetic conservation and use for wild apple and pear (*Malus sylvestris* and *Pyrus pyrastrer*). International Plant Genetic Resources Institute, Rome, Italy. Drawings: *Pyrus pyrastrer*, Giovanna. Bernetti. © IPGRI
104. Ward, J. H., 1963. Hierarchical grouping to optimize an objective function. *J. Am. Statist. Assoc.* 58, 236-244.
105. Welt, R.S., Litt, A., Franks, S.J. 2015. Analysis of population genetic structure and gene flow in an annual plant before and after a rapid evolutionary response to drought. *Oxford Journals, Science & Mathematics, AoB PLANTS*. Vol. 7. Pp: 1-9.
106. Westwood, M. N., Bjornstad, H. O. 1971. Some fruit characteristics of interspecific hybrids and extent of self-sterility in *Pyrus*. *Bull. Torrey Bot. Club* 98, 22–24.
107. Wolko, L., Antkowiak, W., Lenartowicz, E., Bocianowski, J. 2010. Genetic diversity of European pear cultivars (*Pyrus communis* L.) and wild pear [*Pyrus*

- pyraster* (L.) Burgsd.] inferred from microsatellite markers analysis. Genet. Res. CropEvol. 57, 801–806.
108. Yamamoto, T., Chevreau, E., 2009. Pear genomics. In: Folta, K.M., Gardiner, S.E. (Eds.), Genetics and Genomics of Rosaceae. Springer, NY.
109. Yamamoto, T., 2002. Simple sequence repeats for genetic analysis in pear. Euphytica 124, 129–137.
110. Yoshioka, Y., Iwata, Y., Oshawa, R., Ninomya, S. 2004. Analysis of Petal Shape Variation of *Primula sieboldii* by Elliptic Fourier Descriptors and Principal Component Analysis. Annals of Botany 94: 657–664.
111. Zohary, D., Hopfman, M. 2000. Domestication of Plants in the Old World. The Origin and Spread of Cultivated Plants in West Asia, Europe and the Nile Valley, 3rd ed. Oxford Univ. Press, Oxford.
112. Андрусов, Н.И. 1961. Керченский известняк и его фауна. В кн.: Академик Н.И. Андрусов. Избранные труды. Том I. Изд-во АН СССР, с. 31–108
113. Брежнев, Д. Д., Коровина, О. Н. 1981. Дикие сородичи культурных растений флоры СССР. Л. Колос; 188–190.
114. Вавилов Н. И. 1926. Центры происхождения культурных растений. Тр. по прикл. ботанике, генетике и селекции. 26, 3.
115. Вавилов, Н. И. 1931. Дикие родичи плодовых деревьев Азиатской части СССР и Кавказа и проблема происхождения плодовых деревьев // Тр. по прикл. ботан., генет. и селекции. Т. 26. Вып. 3. С. 85–107.
116. Воронов, Ю. Н. 1925. Новые кавказские виды р. *Pyrus* L. Известия главного Бот. Сада СССР. Том XXVI (6). Издательство всесоюзного института по прикладной ботанике и новых культур. Ленинград.
117. Воронов, Ю. Н. 1925. Материалы к познанию диких груш (*Pyrus* s. str.) Кавказского края. труды по прикладной ботанике и селекции. Том XIV (3), стр 73–90. Издательство всесоюзного института по прикладной ботанике и новых культур. Ленинград.
118. Воронов, Ю. Н. 1927. Дикорастущие родичи плодовых деревьев и кустарников кавказского края и Педней Азии. Труды по прикладной ботанике, генетике и селекции. Том XIV. Издательство всесоюзного института по прикладной ботанике и новых культур. Ленинград.
119. Гвретишвили, М., Н. 1982. Грибы рода *Cytospora* Fr. в СССР. - Тбилиси: Сабчота Сакартвело, - 216 с.
120. Гроссгейм, А. А. 1946. Растительные ресурсы Кавказа. Баку. 671 с.

121. Гроссгейм, А. А. 1952. Флора Кавказа. В 7 томах. Том 5 (Rosaceae-Leguminosae). Изд-во Академии наук СССР. Ленинград.
122. Дуганова, Е. А. 1972. Самоплодность, взаимоопыление и партенокарпия груши. Труды по прикладной ботанике, генетике и селекции. Ленинград. Том 46 (2). стр.: 100-110.
123. Карягин, И. И. (ред.). 1954. Флора Азербайджана. Том 5. Rosaceae-Leguminosae. Академия наук Азербайджанской СССР. Баку.
124. Коваловский, А. 1973. Каталог ископаемых растений Кавказа, часть I. Мецниереба, Тбилиси.
125. Лихонос, Ф. Д., Туз, А. С., Лобачев, А. Я. 1983. Культурная флора СССР. Т.14. Семечковые (яблоня, груша, айва) / Ред. Витковский В.Л., Коровина О.Н. Колос, Ленингр.
126. Малеев, В. П. 1939, *Pyrus* L. Груша. Флора СССР. IX. Москва-Ленинград
127. Смирнов, В. Ф. 1966. Пятьсот новых сортов яблони и груши, выведенных в СССР. Московское о-во испытателей природы АН СССР. Наука, Москва.
128. Соколов, С. Я., Связева, О. А., Кубли, В. А. 1980. Ареалы деревьев и кустарников СССР. Том 2. Гречишные - Розоцветные Ленинград: Изд-во "Наука", Ленинградское отделение, 144 с.
129. Тахтаджян, А. Л. 1958. Флора Армении. Том 3. (Platanaceae-Crassulaceae). Академия наук Армянской СССР. Ереван.
130. Тахтаджян А. Л. 1966. Система и филогения цветковых растений. Академия наук СССР, Ботанический институт имени В.Л. Комарова. Ленинград, "Наука".
131. Тахтаджян, А. Л. 2012. Конспект флоры Кавказа (Conspectus florum Caucasi): В 3 т. / Отв. ред. А.Л. Тахтаджян; Российская акад. наук, Ботанический институт им. В.Л. Комарова. - СПб.; М.: Товарищество научных изданий КМК.
132. Туз, А. С. 1972. К вопросу классификации рода *Pyrus* L. Труды по прикладной ботанике, генетике и селекции. Том 46, вып. 2
133. Федоров А. А. 1937. Новый вид груши из Южной Армении Сбор. науч.труд.Ботю. общ. Арм. Фил. Ак. Наук СССР. II. Ереван.
134. Федоров, А. А. 1943. Кавказские представители рода *Pyrus* L. s. str. Монография. Рукопис.

დანართი

პანტის (*Pyrus caucasica* Fed.) მრავალფეროვნების და დომესტიკაციის პროცესის კვლევის თემატიკაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები:

